საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
27 ნოემბერი - 3 დეკემბერი, 2019
№43 (514)

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru

17 პუტინი შიშობს, რომ ევროკავშირი მალე დაიშლება



# უსირცხვილო მონების ლოზუნგი — «სირცხვილია, მონებო!» 2



## «რატომ აძლევს თბილისი ამდენის უფლებას ვიგინდარებს?!» 10

## სანახაობები უნდა დასრულდეს და ქვეყნის მართვის სადავეები ხელში ეროვნულმა ძალამ უნდა აიღოს 4





## გარყვნილება-გათახსირების მეტი დასავლეთიდან საქართველოში 7 ჯერჯერობით არაფერი შემოსულა



## რა უპასუხა რუსეთის პრეზიდენტმა სააკაშვილს «ულტიმატუმზე» 8





3 ნანა კაკაბაძე: საკმარისია, რეალური პოლიტიკური ალტერნატივა გაჩნდეს, რომ ჩათვალეთ, «ნაც-ქოცური» მასკარადი დასრულებულია

ვაჟა ოთარაშვილი: ეკლესია ერთხელ და სამუდამოდ უნდა გათავისუფლდეს «პეტრიზმისგან»

5



ბაჩურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ადამიანი, მაღალჩინოსანი იმ პოლიტიკური პარტიისა, რომელმაც დადასტურებულად, ღიად, დაუფარავად აწამა, დახოცა, შეურაცხყო, გაანადგურა ათასობით ადამიანი და მთლიანი ოჯახებიც კი; რომლის ქვეყნის სათავეში ყოფნის პერიოდში ციხეებში მყოფნი იხსენებენ, რომ მსგავსი გოდებისა და წამების ხმები, როგორიც იმ დროს საპატიმრო საკნებიდან ინტენსიურად ისმოდა, ცხოვრებაში კი არა, კინოფილმებშიც არ მოუსმენიათ, გველაპარაკება, რომ ნიურნბერგის პროცესი უნდა მოუწყოს სხვას. ნამდვილად არ აქვს ახლა მნიშვნელობა, ის ბიძინაზე ამბობს ამას თუ ვინმე სხვაზე...**

# უსირცხვილო მონების ლოზუნგი — «სირცხვილია, მონებო!»

**ასეთი მძიმე და წარმოუდგენელი პარადოქსების ქვეყანაში ვცხოვრობთ! ზოგიერთმა დარეხვილმა ამას წინათ სოციალურ ქსელში ლგბტ-აქტივისტი გიგა მაქარაშვილი მერაბ კოსტავას შეადარა. აი, აქ შეიძლებოდა ამ ერთი ფრაზით დაგვემთავრებინა ეს საგაზეთო სტატია — უბრალოდ, მთელ გვერდზე, მთლიან თეთრ ფონზე ეს ერთადერთი ფრაზა დაგვეწერა და მორჩა! გასაგები იქნებოდა ის უტიფრობა, რომელიც ახასიათებთ დღევანდელ „მოპროტესტეებს" რუსთაველზე, ის სირეგვნე, რომელიც ახასიათებთ მათ მხარდამჭერებს სოციალურ ქსელებში და ის ტრაგიზმი, რომელიც ახასიათებს საქართველოს ყოფასა და ცხოვრებას, რამდენიმე თვეა...**

ალბათ, ეს ყოველივე უფრო შთამბეჭდავიც იქნებოდა მკითხველისთვის... მაგრამ მე მაინც განვაგრძობ და ჩამოვთვლი კიდევ რამდენიმე საოცარ უტიფრობასა და უსირცხვილობას, რომლებიც „მოძრაობა სირცხვილიას" წევრებისა და მათი ორგანიზებით გამართული „ნაცისტურ-მიშისტური" საპროტესტო აქციების თანმდევი და განუყოფელი ატრიბუტია.

რომელი ერთი გავიხსენო? დავიწყოთ, თუნდაც, იმით, რომ ამ ორიოდე დღის წინათ ნაცი **გრიგოლ ვაშაძე** აქციაზე სიტყვით გამოსვლისას „ქართული ოცნების" ჩინოსნებს „ნიურნბერგის პროცესით" დაემუქრა. „დღევანდელი ხელისუფლების ჩინოსნებს მივმართავ: ის დროა, გადმოწეროთ „იუთუბიდან" ნიურნბერგის პროცესი და ჩაუჯდეთ და კარგად უყუროთ. მალე იგივე მოგელით თქვენც და იცოდეთ, არ გიშველით თავის მართლება: მე არ მინდოდა, გამეკეთებინა ეს, მაგრამ ჰიტლერმა დამავალა და ასეთები..." — მოუწოდა ვაშაძემ დღევანდელ მინისტრებსა და მათ მოადგილეებს, დეპარტამენტების ხელმძღვანელებს და ა.შ.

რაც უნდა მოწინააღმდეგე იყო ადამიანი **ბიძინა ივანიშვილისა** და მისი პარტიის, ვის-ვის და ჰიტლერს მას ნამდვილად ვერ შეადარებ, თუ უტიფარი, ურცხვი და უშუბლისძარღვო არ ხარ. უბრალო და უდანაშაულო ადამიანმაც რომ თქვას ბიძინაზე, — ჰიტლერიაო, ესეც კი უსინდისობაა, მაგრამ, როცა დაუკვირდები და გაიაზრებ, ვინ თქვა ეს ამ კონკრეტულ შემთხვევაში, უკვე უტიფრობა და ურცხვობა კნინობით-საალერსო სიტყვებია იმასთან შედარებით, რასაც სინამდვილეში ის იმსახურებს. სიტყვები, რომლებითაც უნდა შევამკოთ „ზაიბალ" ვაშაძე, ბუნებაში, კოსმოსში, გალაქტიკაში არ არსებობს. **ადამიანი, მაღალჩინოსანი იმ პოლიტიკური პარტიისა, რომელმაც დადასტურებულად, ღიად, დაუფარავად აწამა, დახოცა, შეურაცხყო, გაანადგურა ათასობით ადამიანი და მთლიანი ოჯახებიც კი; რომლის ქვეყნის სათავეში ყოფნის პერიოდში ციხეებში მყოფნი იხსენებენ, რომ მსგავსი გოდებისა და წამების ხმები, როგორიც იმ დროს საპატიმრო საკნებიდან ინტენსიურად ისმოდა, ცხოვრებაში კი არა, კინოფილმებშიც არ მოუსმენიათ, გველაპარაკება, რომ ნიურნბერგის პროცესი უნდა მოუწყოს სხვას. ნამდვილად არ აქვს ახლა მნიშვნელობა, ის ბიძინაზე ამბობს ამას თუ ვინმე სხვაზე...**

ნაცური უტიფრობების ნომინაციაში ღირსეულ ადგილს დაიკავებს **გიგი უგულავას** ფრაზაც. **„მოვუწოდებ მოსახლეობას, რომ მორალური ბოიკოტი გამოუცხადოს „ოცნების" ლიდერებსა და სახეებს. სადაც ნახავთ — ქუჩაში, ბაზრობაზე, სადაც შეგხვდებათ ვინმე, ვინც ამ მოძალადეებს უჭერს მხარს, ხელი არ ჩამოართვათ და სახეში აფურთხეთ",** — განაცხადა თბილისის ყოფილმა მერმა, ისე, რომ წარბიც არ შესტოკებია...

მოკლედ რომ ვთქვათ, ყველაფერი ის, რაც ნაცებს, წესით, 2012 წელს ხალხისგან უნდა მიეღოთ და „ქართული ოცნების" ხელისუფლებისა და პირადად **ბიძინა ივანიშვილის** უაზრო და უნიათო მსოფლმხედველობის გამო არ და ვერ მიიღეს, ნაცებმა ახლა აქეთ მოუტრიალეს „ქართულ ოცნებასაც" და ბიძინა ივანიშვილსაც.

საზოგადოდ, ამ ე.წ. საპროტესტო აქციების პათოსი და ძირითადი ლოზუნგი „სირცხვილია", ასევე ის ძირითადი შეძახილი, რომელსაც მანიფესტანტები იყენებენ — „მონებო!" — თავისთავად უტიფრობისა და უსირცხვილობის ნიმუშია.

არაერთხელ გვახსოვს ქართულ სინამდვილეში მიტინგებისკენ რიხიანი მოწოდება და შემდეგ შეკრებილი ცოტა ხალხი, რაც მიტინგის ორგანიზატორთა შერცხვენით მთავრდებოდა და ისინი სირცხვილით კაი ხანს ვეღარ ჩნდებოდნენ ბეჭდურ მედიასა და ტელეეკრანებზე....

ახლა კი იმის მომწრეც გავხდით, რომ **ადამიანები, რამდენიმე თვეა, მოუწოდებენ, ეჩხუბებიან, ეხვეწებიან ხალხს, — „გამოდით გარეთ" და, მიუხედავად იმისა, რომ კაციშვილი არ გამოდის, არც ორგანიზატორებს ეტყობათ რამე „დარცხვენისა" და არც ამ აქციების დამკვეთი „ნაციონალური მოძრაობის" ლიდერებს. პირიქით, ისე საუბრობენ „მთელი ქართველი საზოგადოებისა" თუ „სრულიად საქართველოს ახალგაზრდობის" სახელით, გეგონება, ყველაზე მცირე, ნახევარი მილიონი კაცი მაინც გამოიყვანეს ქუჩაში.**

მათი „კრეატიულობის" უკანასკნელი გამოვლინებაა ახალი მოძრაობა სახელწოდებით „გაბედე!". აქაოდა, კი უნდა ხალხს გამოსვლა გარეთ, უბრალოდ, ტირანი ივანიშვილისა ეშინიათ და ვერ ბედავენ გამოსვლასო... აი, ეს უკვე სასაცილოც კი აღარ არის...

თუმცა, რა უნდა ელაპარაკო ადამიანებს, რომლებსაც თავის უმთავრეს მტრად ტელეკომპანია „იმედის" „დრონები" აქვთ მიჩნეული?!

„აი, ახლა დაგვასევენ „იმედის" „დრონებს" და დაითვლიან თავებს", — **ატყდება ხოლმე ირონიული ჟივჟივი სოციალურ ქსელებში, როგორც კი ნაცები და მასთან მიწებებული ერთკაციანი „პარტიები" საპროტესტო აქციას დაიწყებენ.**



**ადამიანები, რომლებიც წლების განმავლობაში მიშას დაუკითხავად საკუთარ ფეხისალაგში გაზების გაშვებასაც ვერ ბედავდნენ; ადამიანები, რომლებსაც მეუღლის საწოლში მოსასმენი თუ სულაც ვიდეოაპარატურა ჰქონდათ დამონტაჟებული და ამის გაპროტესტებასაც ვერ ბედავდნენ, დღეს აქეთ უწოდებენ მონას სხვას... ადამიანები, რომლებიც რეალურად შერცხვენილები არიან, რადგან 500 კაცსაც ვერ მოუყარეს თავი ქუჩაში, «ქართველი ხალხის დაკვეთაზე» საუბრობენ და «სირცხვილაიო», — გაიძახიან... ადამიანები, რომლებიც 2007 წელს ამბობდნენ, — ქუჩაში გამოსული სამასი ათასი კაცი არ არის მთელი საქართველოო, ახლა მოითხოვენ, მთელმა ქვეყანამ სამასი კაცის ხუნტრუცზე იაროს...**

არადა, „დრონი" არის უწყინარი, ვიდეოკამერით აღჭურვილი „არსება", რომელიც არავის არაფერს უშლის... უბრალოდ, რეალობას აღბეჭდავს პირუთვნელად. რას იზამ, ყველას არ აქვს იმის უნარი, რომ ტელეკომპანია „პირველის" ოპერატორებივით იმ კუთხითა და რაკურსით ატრიალოს ვიდეოკამერა, რომ ორასი ადამიანი ორი ათასად გამოჩნდეს...

რაო, ვითომ „დრონებიც" მფრინავი „ტროლები" და „ბოტები" ხომ არ არიან?!

მოგეხსენებათ, ყოველთვის, როდესაც ე.წ. ოპოზიციის მხარდამჭერებს სიმართლეს ეტყვი, ისინი იმ წამს „ტროლობასა" და „ბოტობას" გაბრალებენ — აქაოდა, ბიძინამ თუ რომელიღაც მისმა „თანაშემწემ" დაგავალა იმის თქმა, რასაც ამბობო. საუბარი გადააქვთ არა კონკრეტულ თემასა და საკითხზე, არამედ სწორედ თემისთვის თავის არიდების მიზნით აბრალებენ ყველას „ტროლობასა" და „ბოტობას".

არადა, **ყველაზე სერიოზული „ტროლები" სწორედ გიგა მაქარაშვილი და შოთა დიღმელაშვილი არიან, რომლებიც იქ მისულ მცირე მასას მართლა „პროფესიონალურად" „ტროლავენ" და ისე უტიფრად გაიძახიან, — „მთელი ქართველი ხალხის დაკვეთას ვასრულებთო", ერთი-ორჯერ, ტელევიზორიდან ეს ფრაზა რომ მოვისმინე, მეც რაღაცნაირად გავმედიდურდი, როგორც ერთ-ერთი „დამკვეთი". სინამდვილეში კი, ამ ავანტიურისტი გარეწრებისთვის არავის არაფერი დაუკვეთია, მიშა სააკაშვილის გარდა. მათი დამკვეთიც, პატრონიც მებატონეც და „ღმერთიც" მხოლოდ და მხოლოდ ნომერი პირველი მანიაკი მიშა სააკაშვილია.**

მით უფრო უტიფრობაა მათი მხრიდან ის, რაც 25 ნოემბერს გამართულ აქციაზე იკადრეს — კამერების წინ ბიძინა ივანიშვილის „ხატებით" ხელში წარდგნენ, ხოლო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის შესახებ ისეთი უხამსი ტრანსპარანტები გამოფინეს, იმ სიტყვების აქ გამეორება მართლაც არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად.

მინდა, ვკითხო იმ ადამიანებს, იმ პოლიტიკურ ლიდერებს თუ მათ მხარდამჭერებს, რომლებიც აცხადებენ, — ჩვენ მათ გვერდით ვდგავართ საერთო მიზნის გამო, თორემ კონკრეტულ პოლიტიკურ მიმართულებებში არ ვეთანხმებით და სააკაშვილის დაბრუნება არ გვინდაო:

ჯერ ერთი, მიშა თქვენ ნამდვილად არ შეგეკითხებათ მაგას და, თუკი ბიძინა ივანიშვილს მართლა უმტყუნა ნერვებმა და ზურგი შეაქცია ამ ქვეყანას, სააკაშვილი ნახევარ საათში მოექცევა საქართველოს ხელისუფლების სათავეში!

მეორეც — კარგი, პოლიტიკა იქით იყოს და აი, **ამ მკრეხელებს, უტიფრებს, მატყუარებს რომ უდგახართ გვერდით და მათ ლოზუნგებს ისმენთ, ტრანსპარანტებს კითხულობთ, პროტესტი როგორ არ გიჩნდებათ?! როგორ ითმენთ, რომ ხმას არ იღებთ და არ გადააფხრიწავთ თავზე მათ ამ მკრეხელურ ლოზუნგებს?!**

ან, როდესაც მიშა სააკაშვილის პირადი მონა **გრიგოლ ვაშაძე** ტრიბუნიდან „ნიურნბერგის პროცესზე" საუბრობს, არ წითლდებით მაინც, თქვე მამაცხონებულებო?!

„ბიძინამ მოგვტაყუაო," — ამ საბაბით რომ გამოყრილხართ ქუჩაში, რა, მიშა ნაკლებს გატყუებთ ვითომ?

სხვა რაღა უნდა თქვა. **ადამიანები, რომლებიც წლების განმავლობაში მიშას დაუკითხავად საკუთარ ფეხისალაგში გაზების გაშვებასაც ვერ ბედავდნენ; ადამიანები, რომლებსაც მეუღლის საწოლში მოსასმენი თუ სულაც ვიდეოაპარატურა ჰქონდათ დამონტაჟებული და ამის გაპროტესტებასაც ვერ ბედავდნენ, დღეს აქეთ უწოდებენ მონას სხვას... ადამიანები, რომლებიც რეალურად შერცხვენილები არიან, რადგან 500 კაცსაც ვერ მოუყარეს თავი ქუჩაში, „ქართველი ხალხის დაკვეთაზე" საუბრობენ და „სირცხვილაიო", — გაიძახიან...**

„ჟურნალისტები" რომლებიც, რამე რომ იყოს, პროფესიონალიზმზე დაგიწყებენ ტლიკინს, 24 საათი პირდაპირ ეთერში აშუქებენ 50-ოდე დარეხვილის აქეთ-იქით სირბილს და ძალიან დიდი მონდომებით ცდილობენ, რომ ამ ყოველივეს ისეთი კომენტარები გაუკეთონ და ისეთი ტონით გადმოგვცენ, რომ „ქვეყანაში მიმდინარე მძიმე პოლიტიკური კრიზისის" შთაბეჭდილება შექმნან...

ადამიანები, რომლებიც 2007 წელს ამბობდნენ, — ქუჩაში გამოსული სამასი ათასი კაცი არ არის მთელი საქართველოო, ახლა მოითხოვენ, მთელმა ქვეყანამ სამასი კაცის ხუნტრუცზე იაროს...

დასასრულ, ყველაზე საოცარი ფაქტი, რომელიც ორშაბათს საღამოს მოხდა: **დემაგოგი ავანტიურისტები საქართველოს პრეზიდენტს მიუვარდნენ: „ლობიოს რატომ ჭამო?!".**

აი, ამას კი მართლა ვერანაირ კომენტარს ვეღარ გავუკეთებ...

**„მთავარი ჩვენი პრობლემა ის კი არ არის, მაჟორიტარული იქნება საარჩევნო სისტემა, შერეული თუ პროპორციული, ჩვენ მთავარი პრობლემა გვაქვს არჩევანში. ქვეყანაში არ არსებობს ნორმალური პარტია, რომელიც სუფთა პოლიტიკური წარსულის მქონე ადამიანებით იქნება დაკომპლექტებული და რომელიც რეალურ ალტერნატივას შექმნიდა. აი, ეს არის მიზეზი იმის, რომ ხალხი, პრაქტიკულად, განზე დგას და შორიდან უყურებს ამ სამარცხვინო „ნაც-ქოცურ“ კინკლაობას, თორემ რა სისტემით ჩატარდება არჩევნები, მერწმუნეთ, სულ არ არის ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი“.**

ინტერვიუ

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ნანა კაკაბაძე: საკმარისია, რეალური პოლიტიკური ალტერნატივა გაჩნდეს, რომ ჩათვალეთ, «ნაც-ქოცური» მასკარადი დასრულებულია

**ივანიშვილის მიერ საარჩევნო ცვლილებების ცრუ დაპირებით „გადაგდებული“ ე.წ. გაერთიანებული ოპოზიცია თავის აგრესიულ ლიბერალურ აქტივთან ერთად, ხელისუფლების წინააღმდეგ „დაბოქლომების“ ხმაურიან აქციებს აქტიურად განაგრძობს. ნაცების, ევრონაცებისა და ორპროცენტიანი რესპუბლიკელების მხარდამხარ ბოქლომიანი გოგო-ბიჭები უკვე რეგიონებშიც გამოჩნდნენ. მეტიც, აღნიშნული ეგზალტირებული უმცირესობა, რომელიც ოლიგარქის მიერ მის მოტყუებას ფართო საზოგადოების შეურაცხყოფად ასაღებს, არათუ დაცხრომას არ აპირებს, მმართველ გუნდსა და პირადად ივანიშვილს რევოლუციური წარღვნით ემუქრება.**

დაძაბულობა პიკს რომ აღწევს და ქვეყნის პოლიტიკურ სპექტრში ევრომაიდნის მსურველთა რაოდენობა საკმარისზე მეტია, ამას გარე ძალების (მაგალითად, ამერიკელი სენატორების, სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლების და ა.შ.) უპრეცედენტო გააქტიურებაც ცხადყოფს, თუმცა, მიუხედავად სახიფათო ვითარებისა, კრიზისში მყოფი ხელისუფლება ისევ სირაქლემის პოზაშია და გამოსავალს აგრესიული უმცირესობის მიერ სხვადასხვა სამთავრობო დაწესებულების კარებზე დემონსტრაციულად დადებული ბოქლომების მსხვრევაში ხედავს.

რაც შეეხება საზოგადოებას, ამ დღეებში რუსთაველის გამზირზე გამართული რამდენიმე აქციის მცირერიცხოვნობამ და შემდეგ ამავე აქციებზე ლიდერების ხვეწნა-მუდარამ, რომ ყველა გამოვიდეს ქუჩაში, ხალხის პოზიცია კიდევ ერთხელ ცხადყო. როგორც ჩანს, საზოგადოების უმრავლესობა არათუ უნდობლად უყურებს მიმდინარე პროცესებს, ნაცების, ევრონაცებისა და უცხოეთიდან მართული სხვა აგრესიული ლიბერალების ნებისმიერ აქტივობას მკაცრად ემიჯნება....

**რა პროცესები მიმდინარეობს დღეს ქართულ პოლიტიკურ სპექტრში, რა მხარდაჭერა აქვს ე.წ. გაერთიანებულ ოპოზიციას და რას ნიშნავს მოსახლეობის უმრავლესობის ინდიფერენტიზმი ამ მოვლენებისადმი? „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება უფლებადამცველი ნანა კაკაბაძე.**

**— ქალბატონო ნანა, რამდენიმე დღეა, საზოგადოება ნაცებისა და ევრონაცების ხელმძღვანელობით ქვეყანაში არეულობის მცდელობას ადევნებს თვალყურს. დაძაბულობა პიკს აღწევს, დაპირისპირება უფრო და უფრო მწვავდება. როგორ ფიქრობთ, რა მიზანს ემსახურება ამ მცირე ჯგუფების დესტრუქციული მოქმედებები და რამდენად დიდია გადატრიალების საფრთხე?**

— ჯერ დავიწყოთ იმით, რაც, ჩემი აზრით, არის მთავარი — ვინ დგას რეალურად ქუჩაში. **ქუჩაში დგას ყველა დროის ყველაზე ოდიოზური პოლიტიკური ძალა თავის მცირერიცხოვან აგრესიულ აქტივთან ერთად**, რომელიც უკვე დაუფარავად აკეთებს რევოლუციურ მოწოდებებს და მის ხელთ არსებული ყველა საშუალებით ცდილობს ქვეყანაში არეულობის პროვოცირებას. ყოველ შემთხვევაში ის დაპირისპირება, სისხლისღვრა, გაწევ-გამოწევა და თავ-პირის მტვრევა, რომელიც მათ მოაწყვეს, სხვას არაფერს ნიშნავს, ქვეყნის გადატრიალების მცდელობის გარდა. ახლა რას წარმოადგენს კონკრეტულად ეს ძალა და რა მიზანი ამოძრავებს მას: პირველ რიგში, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს არის ძალა, რომელსაც ამჟამინდელი ხელისუფლება, სანამ სათავეში მოვიდოდა, კრიმინალურ დაჯგუფებად მოიხსენიებდა. ე.ი. ხელისუფლების მთავარი პოლიტიკური გზავნილი საზოგადოებისადმი იყო ის, რომ ამ ძალას ჩამოაშორებდა მმართველობიდან და ყველა დამნაშავე კანონის შესაბამისად დაისჯებოდა. მაგრამ ამის შემდეგ, როცა „ოცნებამ“ მიაღწია თავის პოლიტიკურ მიზანს — მოიგო არჩევნები და ხელში ჩაიგდო ძალაუფლება, სამართლიანობის აღდგენის ნაცვლად შემოაგდო ყბადაღებული კოაბიტაცია. აი, მას შემდეგ დაიწყო საფუძვლის შემზადება ყველა იმ საფრთხისათვის, რომლებზეც დღეს ლაპარაკია და, ბუნებრივია, როცა დესტაბილიზაციის საფრთხეზე ვსაუბრობთ, ამ ყველაფრის თანაავტორი ნაციონალებთან და მათ ანასხლეტებთან ერთად „ქართული ოცნებაცაა“.

**რაც შეეხება ამ ვითომ 22 პარტიისგან შემდგარი ოპოზიციის აქტიურობას „ნაცმოძრაობის“ დირიჟორობით, როგორი პროპაგანდაც არ უნდა ნილბავდეს მათ მოქმედებებს და რა დეზინფორმაციითაც არ უნდა ცდილობდნენ საზოგადოების შეცდომაში შეყვანას, ერთი რამ ყველასთვის ცხადია: ნაცებმაც, ევრონაცებმაც და მათმა სატელიტმა 2-3-პროცენტიანმა პოლიტიკურმა სუბიექტებმაც კარგად იციან, რომ ობიექტურ არჩევნებში მათ გამარჯვების შანსი არ აქვთ. მათი ერთადერთი „შანსი“ — ეს არის გადატრიალება, რევოლუცია, სისხლისღვრა და, რა გზითაც ხედავენ თავიანთ პოლიტიკურ პერსპექტივას, ცხადია, იმ მიმართულებით ცდილობენ პროცესების წარმართვას.**

**— მთავარი ლოზუნგი, რომლის გარშემოც „ნაცმოძრაობა“ საზოგადოების დარაზმვას ცდილობს, არის ის, რომ ხალხის მომტყუებელი ხელისუფლება ქვეყანას არ უნდა მართავდეს. არის დღეს საზოგადოება მოტყუებული?**

— ჯერ ის ვთქვათ — რას ნიშნავს, **ივანიშვილმა** ხალხი მოატყუა? თუ ესენი იმისთვის იბრძვიან, რომ ქვეყანას ერთპიროვნული მმართველი არ ჰყავდეს, მაშინ ამ პიროვნებისგან როგორ ილებენ რამე პირობას? ეს ერთი. და მეორე — რა უნდა ექნა ივანიშვილს? რა უნდა ეთქვა: გადადით პროპორციულზეო და პარლამენტს შეესრულებინა? რეალურად მათ არც ერთპიროვნული მმართველობა აწუხებთ, არც საარჩევნო გარემოსა თუ სისტემის გაუმჯობესება და სხვა რამ სურთ. მათი პრობლემა არის ის, რომ ძალაუფლება დაკარგეს. აი, ეს არის რეალურად „ნაცმოძრაობის“ სატკივარი — ვერ ინელებს 2012 წლის არჩევნებში განცდილ მარცხს, თორემ რეალური ცვლილებები და დემოკრატია მათ ფეხებზე ჰკიდიათ. ეს ცხრა წლის განმავლობაში დაამტკიცეს. **ახლა ამ ყბადაღებულ პროპორციულ საარჩევნო სისტემაზეც ვიტყვი: ეს დღეებია, მედიიდან გვესმის პარტიების ლიდერთა განცხადებები, რომ თურმე პროპორციულ სისტემაზე გადასვლა მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება და ამით უფრო ჯანსაღ პოლიტიკურ ატმოსფეროს მივიღებთ, ადრეც ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: მთავარი ჩვენი პრობლემა ის კი არ არის, მაჟორიტარული იქნება საარჩევნო სისტემა, შერეული თუ პროპორციული, ჩვენ მთავარი პრობლემა გვაქვს არჩევანში.** ქვეყანაში არ არსებობს ნორმალური პარტია, რომელიც სუფთა პოლიტიკური წარსულის მქონე ადამიანებით **იქნება დაკომპლექტებული და რომელიც რეალურ ალტერნატივას შექმნიდა. აი, ეს არის მიზეზი იმის, რომ ხალხი, პრაქტიკულად, განზე დგას და შორიდან უყურებს ამ სამარცხვინო „ნაც-ქოცურ“ კინკლაობას, თორემ რა სისტემით ჩატარდება არჩევნები, მერწმუნეთ, სულ არ არის ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი.**

რაც შეეხება იმას, არის თუ არა ხალხი მოტყუებული, **ხალხი ივანიშვილმა მოატყუა მაშინ, როცა სამართლიანობის აღდგენის დაპირებით მოვიდა ქვეყნის სათავეში და მოსვლის შემდეგ დამნაშავეებს შეეკრა. რატომღაც არ მახსენდება, დღევანდელი ოპოზიციის ლიდერებიდან რომელიმე შეშფოთებულიყო ამ ყველაფრით. რატომ, ალბათ, ყველასთვის გასაგებია, — თბილად იყვნენ.** კიდევ ვიმეორებ, ყველაზე დიდი პრობლემა და უბედურება, რაც ივანიშვილმა გააკეთა, არის ის, რომ რეალური პოლიტიკური არჩევანი არ არის. ალტერნატივა აღარ არსებობს ქვეყანაში და არც ჩანს პერსპექტივა ახლო მომავალში. ალტერნატივა არის მხოლოდ დამნაშავეებისა და კრიმინალების...

**— ბოლო სამი კვირის განმავლობაში „ქართული ოცნება“ 12-მა დეპუტატმა დემონსტრაციულად დატოვა და ზოგიერთი მათგანი უკვე ოპოზიციურ ფლანგშია. როგორ ფიქრობთ, რა არის ამის მიზეზი? ამბობენ, რომ ისინი ივანიშვილმა გაუშვა გუნდიდან.**

— სავარაუდოდ, ასეც არის და, რადგან გაუშვა, ალბათ, მიზეზიც ჰქონდა, თუმცა ვერ გეტყვით, რომ უკეთესები დაიტოვა. ვინ არის დღეს ხელისუფლებაში? მმართველ გუნდს რომ გადახედოთ, სამარცხვინოზე სამარცხვინოა. პარლამენტი სასაცილოა; პრეზიდენტი, მთავრობა — კიდევ უარესი... სხვათა შორის, საზოგადოება უფრო წინდახედულია დღეს და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე, ვიდრე პოლიტიკური სპექტრი ერთად აღებული. განსაკუთრებით ეს გამოჩნდა ამ დღეებში: „ნაცმოძრაობა“ და მისი ანასხლეტები რა საშუალებებით არ ცდილობენ მოსახლეობის „აგდებას“, მაგრამ ხალხი არ გამოდის.

**— გინდათ თქვათ, რომ მიმდინარე საპროტესტო აქციები საერთო-სახალხო მღელვარება არ არის?**

— სახალხო მღელვარება იყო 2007 წლის 7 ნოემბერი და შემდეგ გამართული მრავალათასიანი აქციები, მათ შორის, რიყეზე გამართული დიდი აქცია, სადაც დაახლოებით 100-150 ათასი ადამიანი გამოვიდა. **ამათ რა არ სცადეს, რა პროვოკაციები არ მოაწყვეს და ხუთი ათასი კაცი ვერ გამოჰყავთ, შეიძლება ამას საერთო-სახალხო მღელვარება დაარქვა?! ეს არის „ნაცმოძრაობისა“ და რევანშისტული ძალების გარშემო გაერთიანებული ლიბერალური უმცირესობის პროტესტი, რომელსაც ვერანაირი პროპაგანდით ვერ გაასაღებენ ხალხის პროტესტად.** კიდევ ვიმეორებ: ხალხი მათთან არ დგას და არც დადგება, იმიტომ, რომ **არ შეიძლება, მოსახლეობამ მხარი დაუჭიროს ძალას, რომელიც დაუფარავად ლანძღავს მთავარ ეროვნულ იდეალებს; არ შეიძლება, ხალხი გვერდით დაუდგეს ადამიანებს, რომლებიც ამავე აქციებზე დასცინიან და აქილიკებენ ეკლესიას, პატრიარქს, სამღვდელოებას.**

რაც შეეხება ხელისუფლებას, ის, რომ რევანშისტული „ოპოზიცია“ რეალურ ძალას არ წარმოადგენს და ვერანაირი დეზინფორმაციით ვერ ახერხებს მოსახლეობის მობილიზებას, მმართველი გუნდისთვის დამამშვიდებელი ნამდვილად არ უნდა იყოს. იმიტომ, რომ **ხალხის გულგრილობა ამ ძალებისადმი არ ნიშნავს ხელისუფლების მიმართ ნდობას; მიზეზი, როგორც გითხარით, არის პოლიტიკური ალტერნატივის არარსებობა, მაგრამ საკმარისია, ეს ალტერნატივა გაჩნდეს და იმედი ვიქონიოთ, გაჩნდება, ჩათვალეთ, რომ „ნაც-ქოცური“ მასკარადი დასრულდება.**

**— როგორ ფიქრობთ, არსებობს დღეს რესურსი ქვეყანაში იმისა, რომ ეს ალტერნატივა გაჩნდეს?**

— **გააჩნია, რესურსში რას გულისხმობთ. თუ თქვენ მხედველობაში გაქვთ ადამიანური რესური, რა თქმა უნდა, არიან დღეს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც სუფთა წარსულის მქონე, განათლებული, კომპეტენტური ადამიანები, რომლებიც ნდობას ნამდვილად იმსახურებენ.** რაც შეეხება ფინანსურ რესურსებს, ცხადია, პოლიტიკაში ფინანსები ერთ-ერთი მნიშვნელოვანია, მაგრამ ამ თვალსაზრისით საზოგადოებამაც უნდა გადააფასოს ბევრი რამ. **არ შეიძლება, ამა თუ იმ პოლიტიკური ძალისადმი ნდობის ხარისხი დამოკიდებული იყოს მის ფინანსებზე, იმიტომ, რომ დღემდე ჩვენ ვნახეთ, რა დამართეს ქვეყანას ფულიანმა ადამიანებმა.** ხალხს არ უნდა კაცების გამაუპატიურებელი ნაციონალები და მათი ანასხლეტი დანაშაულებრივი სუბიექტები, მაგრამ არც ამ დამნაშავეებთან შეკრული „ოცნება“ უნდა. **ხალხს უნდა რეალური სახელმწიფოებრივი ძალა, რომელიც, პირველ რიგში, სამართლიანობას აღადგენს და „ნაც-ქოცურ“ მასკარადს დაასრულებს ქვეყანაში.** აი, ეს ძალა თუ არ ჩამოყალიბდა და რეალური ცვლილებები არ დაიწყო, სამუდამოდ დავრჩებით პოლიტიკურ ჭაობში; ნაცები და ქოცები ყოველთვის იკინკლავებენ; ხალხი კი, რაც დრო გავა, სულ უფრო მძაფრ ნიჰილიზმში, უიმედობაში ჩავარდება...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**«რა თქმა უნდა, არიან დღეს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც სუფთა წარსულის მქონე, განათლებული, კომპეტენტური ადამიანები, რომლებიც ნდობას ნამდვილად იმსახურებენ»**

**P.S. ნებისმიერი დღევანდელი „ოპოზიციონერთაგანი“ ახლო წარსულში იყო ხელისუფლებაში, ყველას კარგად გვახსოვს მათი „ნაღვაწი“, ისევ თუ პარლამენტში შევლენ, სხვანაირად რატომ მოიქცევიან? ვთქვათ, ჩატარდა არჩევნები პროპორციული სისტემით და მოხვდნენ ისინი პარლამენტში, მერე ხალხს რა ამით?**

პური და სანახაობა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მოვა 2020 წელი და, თუ ეროვნული ძალები არ გამოვლენ ასპარეზზე, საქართველოს მოსახლეობას არჩევანის გაკეთება ისევ ცუდსა და უარესს შორის მოუწევს. ისევ არ მივა პოლიტიკური ნიჰილიზმით შეპყრობილი ხალხი საარჩევნო ყუთებთან, ისევ მცირე პარტიული აქტივი მიიღებს გადაწყვეტილებას და ისევ იმავე წრეზე დავტრიალდებით, რომელზეც დღეს ვტრიალებთ.**

# სანახაობები უნდა დასრულდეს და ქვეყნის მართვის სადავეები ხელში ეროვნულმა ძალამ უნდა აიღოს

**„დავაბოქლომოთ საქართველო!“ — გაერთიანებული ოპოზიციის ეს მოწოდება ძალიან მოსწონთ თვით ოპოზიციის წევრებს, მაგრამ, თუ დავუკვირდებით, ისინი იმავეს გაკეთებას აპირებენ, რასაც წლების წინათ აკეთებდნენ. ნაციონალების ზეობის პერიოდში ბოქლომი ედო საქართველოს, ყველას და ყველაფერს, რადგან, თუ რამ სიკეთე არსებობდა, მხოლოდ მათთვის იყო, ვინც ხელისუფლებას უკმევდა გუნდრუკს. საკმარისი იყო, მათ წინააღმდეგ წასულიყავი, საუკეთესო შემთხვევაში დაგიჭერდნენ, უარეს შემთხვევაში კი სპეცოპერაციას დაარქმევდნენ და ქუჩაში ისე დაგხვრეტდნენ, ლამის ოჯახის წევრებსაც დააჯერებდნენ, რომ დამნაშავე იყავი.**



საქართველოს დაბოქლომება ხელისუფლება უშლის ხელს და ხალხის სახელით საუბრობს, — აქაოდა, მოსახლეობას განვითარება და წინსვლა სურს, დაბოქლომებას არ დავუშვებთ და არც არავის ვაპატიებთო. **მოსახლეობას წინსვლა და განვითარება რომ სურს, გასაგებია, მაგრამ ხელისუფლებას ვეკითხებით: სად არის ეს წინსვლა და განვითარება? რას ეძახით თქვენ, საერთოდ, წინსვლას? იმას, რომ თქვენი მმართველობის პერიოდში პროდუქტი ლამის ორჯერ გაძვირდა და ორჯერ გაუფასურდა ეროვნული ვალუტა? თუ იმას, საქართველოდან წასულების რაოდენობამა რეკორდულ მაჩვენებლებს რომ „აარტყა“ ბოლო ორ წელიწადში, თუ იმას, ნახევარი საქართველო რომ შიმშილობს და არ იმჩნევთ?**

თუ არ გინახავთ, ინტერნეტში მოიძებნება მეძავების ჩხუბი, რომლებიც დასადგომ ტერიტორიას ან კაცს ვერ იყოფენ. ჰოდა, **რაც დრო გადის, ხელისუფლებისა და ოპოზიციის კინკლაობა სულ უფრო ემსგავსება ჩხუბს ორი მეძავისა, რომლებიც დასადგომ ადგილზე დავობენ, პარლამენტის ტრიბუნასთან დასადგომ ადგილზე. თანაც ერთმანეთს იმას ახსენებენ, ვინ უფრო მეტ დაპირებაზეა გადამხტარი და ვის უფრო მეტი მხარდამჭერი ჰყავს. ცალკე ხელისუფლება ამუნათებს ოპოზიციას: ხალხი ვერ გამოგყავთო, და ცალკე კიდევ ოპოზიცია გაჰკივის ბოლო ხმაზე: სად არიან თქვენი მხარდამჭერები, სრულიად საქართველო ჩვენ გვერდით დგასო.**

**ისე, თუ გახსოვთ, ერთ წელზე ცოტა მეტი გავიდა იმ დაპირებიდან, ივანიშვილმა რომ გასცა: ერთი წელიწადი მაცადეთ, ყველაფერს დავალაგებო. დაალაგა? ვერ დაალაგა და არ დაალაგა. პირიქით, უფრო მეტად აირია მონასტერი (ჰო, მონასტერიც) და სანახაობა სანახაობაზე გვემატება. ერთი ეგაა, პური ვერ მიაბეს ვერაფრით ამ სანახაობას, თორემ პურიც რომ იყოს, ხმის ამომღები ვინ არის?!** ისე, საინტერესო იქნება, რუსთაველის გამზირი რომ გაწმინდოს ორივე მხარემ და თქვან: აბა, ის ხალხი გამოდით ქუჩაში, რომელიც არც ოპოზიციას უჭერს მხარს და არც ხელისუფლებასო, რა მოხდება? ეჭვი გვაქვს, მთელი საქართველო იქ დადგება, მაგრამ ეს ხელს არ აძლევთ, რადგან მერე ხალხთან საუბრის მორალური უფლება არც ერთს არ ექნება და მათ გარეშე კი საქართველოს ხომ ვერ „ეშველება“?! **ასე სჯერათ, ასე სწამთ და მერე რა, რომ ერთნი 9 წელი მართავდნენ და ვერ უშველეს ქვეყანას; მეორენი, აგერ მეშვიდე წელია, სათავეში არიან და ვერაფერს აკეთებენ. ამის მიუხედავად, ორივე მხარე ამტკიცებს: არა მე ვჯობივარ, არა — მეო და საარჩევნო ბარიერის გადახტომაზეც აქტიურად მუშაობენ.**

რეალურად რაოდენობა იმ ადამიანებისა, რომლებსაც ორივე მხარე ყელში აქვს ამოსული და არც ერთის ხილვა არ სურს ხელისუფლებაში, გაცილებით მეტია. ეგ კი არა, ასეთი ადამიანების რაოდენობა იმდენად დიდია, ხმა ვინმეს რომ მისცენ, უმრავლესობა გარანტირებული ექნება. ის ვინმე კი ეროვნული ძალაა, ძალა, რომელიც, სამწუხაროდ, არსად ჩანს. პოლიტიკური ნიჰილიზმი გვაქვს შეყრილი და ამიტომ არის თამამად ხელისუფლებაც და ოპოზიციაც. მათ ზუსტად იციან, რომ **სწორედ ეს ნიჰილიზმშეყრილი ხალხი, ძალიან დიდი ალბათობით, არ მივა არჩევნებზე, მათი აქტივი კი უკლებლად გამოცხადდება.** შესაბამისად, ისინი თავიანთი ამომრჩევლის გარანტირებულ ხმებს მიიღებენ და საკანონმდებლო ორგანოში ისევ მშვიდად მოხვდებიან, ისევ მშვიდად განაგრძობენ საქმიანობას და მერე რა, რომ ამომრჩეველი, რომელიც არჩევნებზე არ მივა, ოპოზიციისა თუ ხელისუფლების ამომრჩეველზე მეტი იქნება?!

**მოსახლეობას წინსვლა და განვითარება რომ სურს, გასაგებია, მაგრამ ხელისუფლებას ვეკითხებით: სად არის ეს წინსვლა და განვითარება? რას ეძახით თქვენ, საერთოდ, წინსვლას? იმას, რომ თქვენი მმართველობის პერიოდში პროდუქტი ლამის ორჯერ გაძვირდა და ორჯერ გაუფასურდა ეროვნული ვალუტა? თუ იმას, საქართველოდან წასულების რაოდენობამ რეკორდულ მაჩვენებლებს რომ «აარტყა» ბოლო ორ წელიწადში, თუ იმას, ნახევარი საქართველო რომ შიმშილობს და არ იმჩნევთ?**



რაც შეეხება მესამე ძალას, მცდელობა არაერთ პარტიას ჰქონდა, არაერთს შეხედა ხალხმა იმედის თვალით, მაგრამ, როცა რომელიმემ ძალა მოიკრიბა და ხალხის მხარდაჭერა იგრძნო, მაშინვე ამერიკა-ევროპისკენ გაიხედა, მაშინვე გაიქცა, მუხლებში ჩაუვარდა, ერთგულების ფიცი დაუდო და მერე ეს ყველაფერი ამაყად მოახსენა ხალხს. ალბათ, **დღემდე ვერ ხვდებიან იმ პარტიის ლიდერები, რატომ უარყო ისინი ამომრჩეველმა, რატომ აღარ ამოუდგა მხარში და რატომ მოიძულა. ხალხი ეროვნულ ძალას არის დანატრებული, ძალას, რომელიც არ იქნება დამოკიდებული არც ევროპაზე და არც ამერიკაზე, ქართველი ხალხის მსახური იქნება და მხოლოდ საქართველოს ინტერესებზე იფიქრებს.** მართალია, ასეთი ძალის გამოჩენა და შემდეგ წარმოჩენა ამ ეტაპზე ერთი შეხედვით არარეალური ჩანს, მაგრამ ქართულ პოლიტიკაში არარეალური რეალურად ქცეულა, ხალხი ამოსდგომია მხარში და ლელოც გაუტანიათ.

ახლაც სწორედ ის დროა, რომ ვიღაც გამოჩნდეს, ის ვიღაც, ვინც საქართველოზე იფიქრებს და საქართველოზე იზრუნებს. ქართველის ბედია — არჩევანს ცუდსა და უარესს შორის აკეთებს და კარგის არჩევის შანსი, უბრალოდ, არ ჰქონია, თორემ, ავის და კარგის გარჩევა რომ შეგვიძლია, არაერთხელ გვინახავს და დაგვიმტკიცებია.

ახლა არ დავიწყებთ მოთქმას ბაზალეთის ტბის ძირას ჩაგდებულ ოქროს აკვანსა და ყრმაზე, მაგრამ რეალურად არსებობენ ეროვნული ძალები, რომლებიც ასპარეზზე გამოსვლისგან თავს იკავებენ. ამის მიზეზი, პირველ რიგში, არის ის, რომ ჰგონიათ, საზოგადოება ბოლომდე მზად არ არის გვერდით დასადგომად და მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი მხარე — ფინანსური რესურსის არარსებობის გამო მასშტაბური, მძლავრი კამპანიის დაწყება ძნელია. სამწუხაროდ, დღევანდელი რეალობა ისეთია, რომ სულიერ საზრდოს მატერიალურიც თუ არ მიახმარე მცირე დოზით მაინც, არაფერი გამოვა. მერე კი აგორებულ ტალღას ვერაფერი შეაჩერებს. აი, ეროვნულ ძალებში ფულის ჩადება დასავლეთს ყველაზე ნაკლებად აძლევს ხელს. **ვინც იმას ფიქრობს, რომ ოპოზიციის ლიდერებმა აქციებისთვის ფული საკუთარი ჯიბიდან გაიღეს, ძალიან ცდება. სწორედ დასავლეთი აფინანსებს არასტაბილური გარემოს შექმნას საქართველოში, რადგან წრიდან, რომელზეც, აგერ უკვე მერამდენე ათეული წელია, დავდივართ, შემთხვევით არ გადავუხვიოთ. მინიმალური გაანგარიშებით, ოპოზიციის აქციების თითო დღე 50 ათასი ლარი ჯდებოდა და მომავალშიც არ დაჯდება ნაკლები. როგორ გგონიათ, ეს ფული ჯიბიდან ვაშაძემ ამოიღო, ნათელაშვილმა, სააკაშვილმა თუ უგულავა-ბოკერიას ტანდემმა? — დასავლეთმა გაიმეტა, ბატონებო. ისიც ვთქვათ, რომ გაერთიანებული ოპოზიცია რამდენჯერმე შალვა ნათელაშვილის ოფისში შეიკრიბა, ამერიკიდან, სავარაუდოდ, ისე გამოჩნდა, რომ ბატონი შალვა გახდებოდა გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერი და... სასწრაფოდ ამერიკაში დაიბარეს ცალკე ინსტრუქტაჟის ჩასატარებლად და ცალკე კიდევ ერთგულების ფიცის დასადებად.** პარალელურად, აქ დარჩენილ ოპოზიციას ძალიან, ძალიან შურს ლეიბორისტების ლიდერის და მზად არის, პირველივე დაძახილზე გაიქცეს ამერიკასა თუ ევროპაში.

ჩვენ კი მორიგი სანახაობის მოლოდინში ვართ, რომელსაც აუცილებლად დადგამენ და აუცილებლად გვაყურებინებენ, მართალია, ისევ მშიერ კუჭზე, მაგრამ ამაზე ნაკლებად დარდობს როგორც ხელისუფლება, ისე ოპოზიცია. თუმცა ჩვენ მაინც იმ აზრზე ვართ, რომ სანახაობები უნდა დასრულდეს და ქვეყნის მართვის სადავეები ხელში ეროვნულმა ძალამ უნდა აიღოს, რომლის დევიზი, რომელიმე ქვეყნისთვის ან ელჩისთვის კოჭის გაგორება კი არა, საქართველო იქნება. საქართველო, რომელშიც გეომეტრიული პროგრესიით იზრდება ემიგრანტთა რაოდენობა და ასევე გეომეტრიული პროგრესიით მრავლდება უცხო ქვეყნიდან ჩამოსული მოქალაქეებიც, რომლებიც აქ მკვიდრდებიან, ბინადრობის უფლებას იღებენ და წასვლას არ აპირებენ. ასე, ნელ-ნელა ვკარგავთ სამშობლოს, რადგან ამ ქვეყანას პატრონი, უბრალოდ, არ ჰყავს. **მოვა 2020 წელი და, თუ ეროვნული ძალები არ გამოვლენ ასპარეზზე, საქართველოს მოსახლეობას არჩევანის გაკეთება ისევ ცუდსა და უარესს შორის მოუწევს. ისევ არ მივა პოლიტიკური ნიჰილიზმით შეპყრობილი ხალხი საარჩევნო ყუთებთან, ისევ მცირე პარტიული აქტივი მიიღებს გადაწყვეტილებას და ისევ იმავე წრეზე დავტრიალდებით, რომელზეც ვტრიალებთ.**

**ბესო ბარბაქაძე**

**„გაიხსენეთ, ვინ ყვიროდა ყველაზე მეტს და ვინ ითხოვდა უფლის დასჯას, როცა ჯალათები ქრისტეს ჯვარს აცვამდნენ — სამღვდელოება, სინედრიონი. ზუსტად იგივე ხდება დღესაც და, ცხადია, როცა ასეთი ძალები მძლავრობენ ქვეყანაში, არაფერი არ უნდა გაგვიკვირდეს. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ საზოგადოებამ გულხელდაკრეფილმა ადევნოს მიმდინარე მოვლენებს თვალყური“.**

თვალსაწიერი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ვაჟა ოთარაშვილი:

# ეკლესია ერთხელ და სამუდამოდ უნდა გათავისუფლდეს «პეტრიზმისგან»

**21 ნოემბერს თბილისში ევროკავშირის სტრატეგიული კომუნიკაციების სამსახურის ორგანიზებით მიმდინარე კონფერენციაზე ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა გრიგოლმა (ბერბიჭაშვილმა) დეზინფორმაციის საფრთხეებზე ისაუბრა და განაცხადა, რომ რუსეთის ფედერაციის სურვილი, გავლენა მოახდინოს „ქართულ საზოგადოებრივ აზრზე, სერიოზულ სირთულეებს ქმნის“. მისი თქმით, აღნიშნული დეზინფორმაციის მექანიზმებს სათავე ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პერიოდში დაედო, რომელიც შემდეგ და შემდეგ დაიხვეწა და მასშტაბური გახდა. მისივე განმარტებით, დღევანდელ ვითარებაში „აქტიური რუსული დეზინფორმაცია“ ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა ქართული დემოკრატიისთვისაც, რომელიც ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია. მეტიც, ეს პროპაგანდა, თურმე, სხვადასხვა თემაზე და მათ შორის რელიგიურ ფაქტორზე აპელირებით საზოგადოებაში ანტიდასავლურ განწყობებს აღვივებს, რომლითაც, ერთი მხრივ, ქართული სახელმწიფოებრიობის დასუსტებას, ხოლო, მეორე მხრივ, დასავლური სამყაროს ხატის დისკრედიტაციას ცდილობს.**

შეგახსენებთ, რომ ანტიდასავლური და, კერძოდ, ანტილიბერალური განწყობები საქართველოში განსაკუთრებით მას შემდეგ გამწვავდა, რაც ხელისუფლებამ (როგორც წინამ, ისე მოქმედმა) სწორედ წამყვანი დასავლური ინსტიტუციების დირექტივებით ქვეყანაში საზოგადოების უმრავლესობისთვის მიუღებელი „ლიბერალური რეფორმები“ დაიწყო. ეს „რეფორმები“ (როგორიც იყო, მაგალითად, მამათმავლობის პროპაგანდის წამაქეზებელი „ანტიდისკრიმინაციული კანონი“, ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაცია, „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ და ა.შ.) პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა ქვეყნის ეთნოკულტურულ, რელიგიურ თუ სხვა სახის ტრადიციებს, მაგრამ, როგორც ჩანს, მიტროპოლიტ გრიგოლისთვის ეს ყველაფერი მაინც „რუსული პროპაგანდით“ ნასაზრდოები გარემოებებია, რომლებსაც „განათლებითა და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებით“ უნდა დაუპირისპირდეს სახელმწიფო...

**არის თუ არა დღეს „რუსული პროპაგანდის“ შედეგი საზოგადოებაში არსებული მზარდი ანტილიბერალური განწყობები და რატომ ცდილობს სასულიერო პირების ერთი ნაწილი ამ განწყობების ახსნას სწორედ ამ პროპაგანდით, „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება პოეტი ვაჟა ოთარაშვილი.**

**— ბატონო ვაჟა, ხობისა და ფოთის მიტროპოლიტ გრიგოლს (ბერბიჭაშვილი) თუ დავუჯერებთ, დღეს საქართველოში არსებული მზარდი ანტილიბერალური განწყობების მიზეზი რუსული დეზინფორმაციაა. ის, რომ, მაგალითად, საზოგადოების უმრავლესობისთვის დასავლეთის მიერ ნაკარნახევი სოდომიის პროპაგანდა და ნორმად გამოცხადება მიუღებელია, თურმე რუსული პროპაგანდის გავლენის ბრალია. რა აზრის ხართ ამ ყველაფერზე?**

— საზოგადოებაში არსებულ განწყობებს ზუსტი სახელი უნდა დავარქვათ — ის, რასაც ლიბერალური ელიტა ანტიდასავლურ განწყობებს ეძახის, რეალურად არის არა ანტიდასავლური მოძრაობა, რომელსაც რაღაც ძალები ხელოვნურად აღვივებენ, არამედ საზოგადოების უმრავლესობის ჯანსაღი რეაქცია გლობალისტური ძალების აგრესიული ნეოლიბერალური დღის წესრიგის თავსმოხვევისადმი. კონფლიქტს იწვევს კონკრეტული იდეოლოგია, რომელიც თვით ევროპის მოსახლეობისთვისაც მიუღებელია, იმიტომ, რომ ეს იდეოლოგია ევროპულ ტრადიციულ კულტურასა და ფასეულობებსაც უპირისპირდება. ახლა თუ ვინმე იტყვის, რომ ევროპაშიც რუსული დეზინფორმაცია ასაზრდოებს კონსერვატიულ ძალებსო (მაგალითად, ინგლისში, გერმანიაში, უნგრეთში), მასთან რამე დისკუსიას აზრი არ აქვს.

რაც შეეხება კონკრეტული სასულიერო პირის განცხადებას დეზინფორმაციაზე, მგონი, ადრეც ვთქვი თქვენთან ინტერვიუში და ახლაც გავიმეორებ: ძალიან სამწუხაროა, რომ **ცრუ პეტრეს კიდევ ჰყავს რამდენიმე მიმდევარი საქართველოს საპატრიარქოში. ისინი არიან პირები, რომლებიც სხვადასხვა დროს სპეცსამსახურებმა ჩანერგეს ეკლესიაში მისთვის ძირის გამოსათხრელად. აი, სანამ ამ ანაფორიანი სპეცაგენტებისგან არ გაიწმინდება ჩვენი დედაეკლესია, ბინძურ კამპანიებსა და პროვოკაციებს, ალბათ, ხშირად ვიხილავთ,** მათ შორის უწმინდესის მისამართითაც. სხვათა შორის, ამას წინათ ეთერში იყო **მამა ბიძინა (გუნია),** რომელმაც შესანიშნავად ახსნა თანამედროვე დასავლური მედიასაშუალებებიდან მომდინარე გენდერული და „ლიბერალური“ თეორიების არსი. იქნებ უყუროს ზოგიერთმა ვაიეპისკოსმა ამ გადაცემას. კიდევ ვიმეორებ: **საქართველოს ეკლესია ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაიწმინდოს შემთხვევითი პირებისგან, რომლებიც წარმოადგენენ მტრული გარე ძალების აგენტურას და თავიანთი პროვოკაციული ქმედებით, საქციელით ძირს უთხრიან ქვეყნის ყველაზე ავტორიტეტულ ინსტიტუტს...**

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ საპატრიარქო უფრო ქმედითი და აქტიური უნდა იყოს მის წიაღში მოქმედი მტრული ძალების მხილებისას მათგან განწმენდის თვალსაზრისით?**

— საპატრიარქო არ არის რაღაც კანტორა, რომელიც სწრაფად იღებს გადაწყვეტილებებს, და არც ის ეპოქაა, როცა **დავით აღმაშენებელი** გვყავდა ქვეყანაში... ეკლესია თვითონ განიწმინდება. მერწმუნეთ, ადრე თუ გვიან, მოვა დრო და, როგორც ცრუ პეტრემ ამხილა საკუთარი თავი და მერე განყენებულ იქნა, სხვებიც იმხილებიან. თუმცა **საკმაოდ ბევრია დღეს ქვეყანაში ცრუ პეტრე, მაგრამ ეკლესია ერთხელ და სამუდამოდ უნდა გათავისუფლდეს ამ „პეტრიზმისგან“.**

რაც შეეხება ჯანსაღი სამღვდელოების წინააღმდეგ მიმართულ ბინძურ ლიბერალურ პროპაგანდას, რომელიც პეტრეს მკრეხელობის შემდეგ განსაკუთრებული სიმწვავით მოედინება ზოგიერთი მედიასაშაულების ეთერიდან, საზოგადოებამ საღად უნდა შეხედოს მოვლენებს და გაიაზროს, ვინ ვინაა. თუმცა მე ერთი რამის მჯერა და ამაში ნამდვილად არ ვცდები: **ყველა პროპაგანდის, ყველა დეზინფორმაციის მიუხედავად, მორწმუნე მრევლმა ძალიან კარგად იცის, ვინ რით სუნთქავს — ვინ არის პატრიარქი, ვინ არის ბერბიჭაშვილი, ვინ არის ცრუ პეტრე და ა.შ.**

**— ლიბერალური პროპაგანდა არა მხოლოდ საქართველოში, სრულიად მსოფლიოში უპირისპირდება ქრისტიანულ და განსაკუთრებით მართლმადიდებლურ ფასეულობებს, ეს აქტიურ მადისკრედიტებელ და ცილისწამებლურ კამპანიაშიც გამოიხატება... ამას წინათ მოსკოვში ვიზიტით მყოფმა იერუსალიმის პატრიარქმა თეოფილემ გამოთქვა ინიციატივა, რომ შეიკრიბოს ყველა ადგილობრივი ეკლესიის ხელმძღვანელობა, რათა იმსჯელონ ბოლო პერიოდში მართლმადიდებელ სამყაროში განვითარებულ მოვლენებზე. ნახსენები იყო მსოფლიო პატრიარქ ბართოლომეოსის მიერ უკრაინის ეკლესიისთვის ავტოკეფალიის თვითნებურად მინიჭების საკითხიც. როგორ ფიქრობთ, დროული და ადეკვატურია ეს ინიციატივა?**

— აბსოლუტურად დროულია და აუცილებელი, იმიტომ, რომ ის თავდასხმები, რომლებსაც დღეს საქართველოს ეკლესია განიცდის, არის არა მხოლოდ ერთ კონკრეტულ ქვეყანაში მიმდინარე პროცესი, არამედ ნაწილი მსოფლიოში გაჩაღებული ანტიმართლმადიდებლური კამპანიისა. ეს ერთი. მეორე — **უნდა გვახსოვდეს, რომ ლიბერალური იდეოლოგია არის მოძღვრება, რომელიც თავის დროზე საფუძვლად დაედო ფაშიზმს და არა მხოლოდ ფაშიზმს, მათ შორის ლენინურ კომუნიზმსაც.**

ახლა რატომ ჰყავთ სამიზნეში ამოღებული გლობალისტურ ძალებს საქართველო, როგორც მართლმადიდებლურ ქრისტიანულ ფესვებზე დაფუძნებული სახელმწიფო: ერთი შეხედვით, ეს ძალიან მარტივია და ჩვენ ამაზე ადრეც გვისაუბრია. საქართველოს და ქართველ ერს თავისი ტრადიციებით, ტრადიციული ფასეულობებით, კულტურით, მენტალობით ისე აქვს გამჯდარი ძვალსა და რბილში **ქრისტიანობა, ისე ბუნებრივი და სისხლხორცეულია ეს ჩვენთვის, რომ მართლმადიდებლობა ერთგვარი სინონიმიცაა ქართველობის.** შეგახსენებთ, რომ საქართველოშია ქრისტეს კვართი, სვეტიცხოველში დავანებული; ზუგდიდშია ღვთისმშობლის კვართის ნაწილი; აქ არის **სვიმონ კანანელის** საფლავი... გარდა ამისა, საქართველოში ქადაგებდა **ანდრია პირველწოდებული, წმინდა ნინო,** მოციქულთა სწორი, და მთავარი: საქართველოა ქვეყანა, რომელსაც ამდენი, მოწამე კი არა, დიდმოწამე ჰყავს. აი, ეს ყველაფერი არის ჩვენი ქრისტიანობასთან მაიდენტიფიცირებელი გარემოებები, რომლებიც გლობალისტ-ლიბერალებს აშფოთებთ და ამ შეშფოთებას ისინი, უკვე დიდი ხანია, არ მალავენ. სხვათა შორის, თანამედროვე ლიბერალური პროპაგანდა ცდილობს, დაამკვიდროს აზრი, რომ **ილია ჭავჭავაძე** და **ვაჟა-ფშაველა** ლიბერალები იყვნენ. მინდა, ერთი რამ შევახსენო ამ პროპაგანდის მოთავეებსა და მესვეურებს: **ილიას უკვდავი სიტყვა, რომ „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან“, საქართველოს მთავარ ეროვნულ იდეოლოგიურ თეზად იქცა; ხოლო ვაჟა-ფშაველამ, თავისი პატრიოტიზმით ფარდა აჰხადა ლიბერალიზმის, როგორც იდეოლოგიის, უაზრობას...**

რაც შეეხება ეკლესიის წიაღში მყოფ კოლექტიურ პეტრეებს, **გაიხსენეთ, ვინ ყვიროდა ყველაზე მეტს და ვინ ითხოვდა უფლის დასჯას, როცა ჯალათები ქრისტეს ჯვარს აცვამდნენ — სამღვდელოება, სინედრიონი. ზუსტად იგივე ხდება დღესაც და, ცხადია, როცა ასეთი ძალები მძლავრობენ ქვეყანაში, არაფერი არ უნდა გაგვიკვირდეს. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ საზოგადოებამ გულხელდაკრეფილმა ადევნოს მიმდინარე მოვლენებს თვალყური.** საზოგადოებამ ასი თვალითა და ასი ყურით უნდა აღიქვას ამ პროცესები, სწორად უნდა გავაანალიზოთ ყველამ ყველაფერი...

**— რა იქნება შედეგი, თუ თქვენ მიერ ნახსენები ანტიმართლმადიდებლური ძალები დასახულ მიზანს მიაღწევენ?**

— ამის საილუსტრაციოდ შეგვიძლია გავიხსენოთ ლიბერალიზმის „ლოზუნგები“, რომლებიც ამ იდეოლოგიის ძირითადი ბაზისია: „არა — სარწმუნოებას“, „არა — ეროვნებას“, „არა — ოჯახს“, „არა — სქესს“... თუ რა მოჰყვება ამ იდეოლოგიის გამარჯვებას, ძნელი მისახვედრი არ არის: არ იქნება სარწმუნოება — არ იქნება ეროვნება, არ იქნება ოჯახი — არ იქნება ქვეყანა და სახელმწიფო... სხვათა შორის, ევროპამ ეს ყველაფერი უკვე მთელი სიმწვავით გამოსცადა და შედეგსაც ყველა ვხედავთ. მაგალითად, ინგლისში ეკლესიები გაყიდეს, რისთვის გვჭირდებაო და იქ სხვადასხვა დაწესებულება გახსნეს. იგივე უნდოდათ საფრანგეთშიც, მაგრამ პარიზში ღვთისმშობლის ტაძარი დაიწვა... **ეს ყველაფერი უკვე მოწმობს, რომ დასავლეთში ანტიქრისტეს ძალები ბობოქრობენ და ამ ძალების მიზანი არა მხოლოდ ერთი რომელიმე ქვეყნის, ერთი რომელიმე ერისა და კულტურის, არამედ მთლიანად ქრისტიანული ცივილიზაციის მოსპობაა.**

რაც შეეხება მამათმავლობის პროპაგანდასა და ნორმად დამკვიდრების მცდელობას, რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარტყმაა კაცობრიობისთვის, ეს არის სულიწმინდის გმობა და უარყოფა, რადგან უფალმა შექმნა კაცი და ქალი ცალ-ცალკე და ერთმანეთისთვის, და არა კაცი და კაცი, ან ქალი და ქალი. ეს არის მორალისა და ზნეობისგან კაცობრიობის დაცლის, გადაგვარების მცდელობა, რათა ადამიანი სატანის კერძი გახდეს. ჩვენ გვახსოვს, რა დაემართა სოდომ-გომორული ცოდვით მოცულ ხუთ ქალაქს, რომელებშიც ერთი ღვთისნიერი ადამიანიც არ აღმოჩნდა... უფლის რისხვამ აღგავა ეს ქალაქები პირისაგან მიწისა...

«ცრუ პეტრეს კიდევ ჰყავს რამდენიმე მიმდევარი საქართველოს საპატრიარქოში. ისინი არიან პირები, რომლებიც სხვადასხვა დროს სპეცსამსახურებმა ჩანერგეს ეკლესიაში მისთვის ძირის გამოსათხრელად. აი, სანამ ამ ანაფორიანი სპეცაგენტებისგან არ გაიწმინდება ჩვენი დედაეკლესია, ბინძურ კამპანიებსა და პროვოკაციებს, ალბათ, ხშირად ვიხილავთ»

ესაუბრა **ჯაბა ჭუანია**

ხალხი და ხელისუფლება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საერთაშორისო სტანდარტით, თუ ორ დოლარზე ნაკლები შემოსავალი აქვს ადამიანს, ის სიღატაკის ზღვარზეა, ანუ, შიმშილობს კი არა, შიმშილით სიკვდილისთვის არის განწირული. ჩვენს პენსიონერებს დღევანდელი კურსით რომ დავუჯამოთ შემოსავალი, დღეში 2,20 დოლარი გამოსდით, ანუ საერთაშორისო სტატისტიკასა და სიღატაკით შიმშილს 0,20 ცენტი აშორებთ. დაახლოებით 60 თეთრი წყვეტს, ღატაკი და შიმშლისთვის განწირული დაერქმევა საქართველოში ყველა პენსიონერს თუ როგორაა საქმე?**

# ხელისუფლებამ ის გააცნობიეროს, რომ 77 ათასი ბავშვი ახალ წელსაც მშიერი იქნება

**გსმენიათ, ალბათ, ციფრები არასოდეს ტყუიანო. მართლაც, ძნელია, ციფრებში ტყუილი გააპარო. მოკლედ, გასულ კვირას ოპოზიციამ ხელისუფლებას ბრალად ისიც წაუყენა, რომ ქვეყნის სათავეში დარჩენის მორალური უფლება აღარ გაქვთ, რადგან საქართველოში ნახევარი მილიონი ბავშვი შიმშილობსო. ხელისუფლებამ ოპოზიცია ტყუილში ამხილა, — ყველა კვლევის მიხედვით, საქართველოში, ნახევარი მილიონი კი არა, მხოლოდ 77 ათასი ბავშვი შიმშილობსო. როგორია? „მხოლოდ 77 ათასი ბავშვი?!" ლოგიკას რომ გავყვეთ, 73 მაჟორიტარი ხომ გვყავს და გამოდის, რომ მოშიმშილე ბავშვების რაოდენობა თითო მაჟორიტარულ ოლქში თითო სკოლას გაავსებს, ანუ თითოეულ ოლქში იმდენი ბავშვი შიმშილობს, რამდენიც ერთ სკოლაში დადის (სულ ცოტა, რადგან ათასბავშვიანი სკოლები რეგიონებში დიდი იშვიათობაა).**



წლევანდელი წელი რომ ავიღოთ და ხელისუფლებას დავუჯეროთ ეკონომიკურ წინსვლასა და უმუშევრობის შემცირების დონეზე ნათქვამი, იქნებ გვითხრან კონკრეტული მაგალითი იმისა, რა გააკეთეს ამ ერთი წლის განმავლობაში საიმისოდ, რომ ეს 77 ათასი თუნდაც ათასით შემცირებულიყო. მე გეტყვით — არაფერი! სხვათა შორის, თბილისის მერია თავს იმით იმართლებს, რომ თავშესაფრებში ადგილები აქვთ, მაგრამ ბავშვები იქ არ ჩერდებიან. სტატისტიკის მიხედვით, ყველაზე მეტი მიუსაფარი ბავშვი დედაქალაქშია და ყველაზე მეტიც სწორედ აქ შიმშილობს. იქნებ მერიამ იმაზე იფიქროს, რომ რაღაც არ არის კარგად იმ თავშესაფრებში, რომლებსაც ბავშვებს სთავაზობენ. ესეც არ იყოს, მოზარდებს ფსიქოლოგის დახმარება სჭირდებათ მაგ დროს, თორემ გარეთ ყოფნას რომ არის მიჩვეული, ძნელია, მერე დახურულ სივრცეში გაჩერება, თუ არ აუხსნეს, თუ არ დააჯერეს, რომ ეს მისთვის არის უკეთესი. თუმცა, ეს ტექნიკური მხარეა და იმას კი არ ვამბობთ, თავშესაფრები გინდათ თუ არა, უფრო კეთილმოწყობილი გახადეთო, არამედ იმას, რომ ხელისუფლებამ იმდენი ქნას, ბავშვთა თავშესაფრების რაოდენობა შემცირდეს. სხვაგვარად, **ძალიან სასაცილოა თავის მართლება, რომ თურმე ოპოზიცია იტყუება და, ნახევარი მილიონი კი არა, 77 ათასი ბავშვი შიმშილობს. ისე, ეჭვი გვაქვს, უკეთესი მაჩვენებელი არც წინა ხელისუფლების პერიოდში იქნებოდა, მაგრამ მაშინ ამაზე ხმამაღლა არავინ საუბრობდა, რადგან არ შეიძლებოდა, სააკაშვილის საქართველოში გეშიმშილა, ამას ხმამაღლა ვერ იტყოდი, შიმშილით ჩუმად უნდა მომკვდარიყავი.**

მეორე მხრივ, საინტერესოა, რას ეძახის ხელისუფლება (გნებავთ, ოპოზიცია) შიმშილობას. **საერთაშორისო სტანდარტით, თუ ორ დოლარზე ნაკლები შემოსავალი აქვს ადამიანს, ის სიღატაკის ზღვარზეა, ანუ შიმშილობს კი არა, შიმშილით სიკვდილისთვის არის განწირული. ჩვენს პენსიონერებს დღევანდელი კურსით რომ დავუჯამოთ შემოსავალი, დღეში 2,20 დოლარი გამოსდით, ანუ საერთაშორისო სტატისტიკასა და სიღატაკით შიმშილს 0,20 ცენტი აშორებთ. დაახლოებით 60 თეთრი წყვეტს იმას, ღატაკი და შიმშლისთვის განწირული დაერქმევა საქართველოში ყველა პენსიონერს თუ როგორაა საქმე?** ახლა იტყვის ხელისუფლება, — პენსიებს კიდევ ვუმატებთო და თარიღიც გამოცხადებული აქვთ, მომავალი წლის ზაფხული. მანამდე იმის იმედად უნდა ვიყოთ, რომ ლარი კიდევ რამდენიმე თეთრით არ გაუფასურდება და მსოფლიოს თვალში ქართველი პენსიონერები შესაწირ ზვარაკად არ გამოჩნდებიან.

ისევ ჩვენს მოწინავე ეკონომიკას დავუბრუნდეთ. ჰო, მოწინავეს, რადგან ხელისუფლება ამტკიცებს: წელს რეგიონში ყველაზე დიდი ეკონომიკური ზრდა გვექნება და გაისად უფრო წინ წავალთო. თუ დავუჯერებთ, გამოდის, რომ გაისად უფრო მეტად გაუჭირდება ხალხს, რადგან ეკონომიკური ზრდის სიკეთე წელს სხვანაირად ვიგრძენით. სხვანაირად კი იმას ნიშნავს, რომ **გაძვირდა პროდუქტი, არნახულად გაძვირდა თამბაქო, ეროვნული ვალუტა ისე გაიქცა, ექსპერტები პროგნოზის გაკეთების წინ კურსს ამოწმებდნენ, — კიდევ რამდენით გაუფასურდა, არ შემეშალოსო. ციფრები რომ არ ტყუიან, ხომ გითხარით უკვე და ისევ ციფრებს მივუბრუნდეთ.**

ოფიციალური მონაცემების მიხედვით, **გასული წლის 10 თვეში საქართველომ რუსეთისგან 74,6 მილიონი კილოვატი ენერგია იყიდა. წელს ათ თვეში რუსეთისგან შესყიდული ენერგიის რაოდენობა 392,2 მილიონი კილოვატია, ანუ შარშანდელთან შედარებით ეს მაჩვენებელი 425%-ით არის მომატებული. ეს იმ პირობებში, როცა მაქსიმალურად შევეცადეთ რუსეთის გაღიზიანებას და ჩრდილოელ მეზობელს მარტივად შეეძლო ეთქვა უარი. უარის შემთხვევაში, 1990-იანი წლები რომ დაგვიბრუნდებოდა, უშუქობის სერიოზული პრობლემა რომ იქნებოდა, ადვილი მისახვედრია. ბარემ ისიც ვთქვათ, რომ, ასევე ოფიციალური მონაცემების მიხედვით, ექსპორტზე ყველაზე მეტი პროდუქტი... ისევ რუსეთში გავიტანეთ.** ეს იმ პირობებში, როცა საჰაერო ფრენა აიკრძალა და, ამის მიუხედავად, რუსეთის ბაზარი მაინც პირველ ადგილზეა. **მიმდინარე წლის ათ თვეში რუსეთში ექსპორტიდან საქართველომ 409,8 მილიონი დოლარი მიიღო. საინტერესოა, ყველაზე მეტად რომელ ქართულ პროდუქციას მოიხმარენ ჩვენი მეზობლები. ღვინის ექსპორტის შედეგად რუსეთიდან ქართულმა კომპანიებმა 107 მილიონი დოლარი მიიღეს, ამდენივე მიიღეს ფერადი ლითონების გატანით, 50 მილიონ დოლარამდე მინერალურ წყლებზე მოდის, 30 მილიონამდე — ალკოჰოლურ სასმელებზე...**

**მიმდინარე წლის ათ თვეში რუსეთში ექსპორტიდან საქართველომ 409,8 მილიონი დოლარი მიიღო. საინტერესოა, ყველაზე მეტად რომელ ქართულ პროდუქციას მოიხმარენ ჩვენი მეზობლები. ღვინის ექსპორტის შედეგად რუსეთიდან ქართულმა კომპანიებმა 107 მილიონი დოლარი მიიღეს, ამდენივე მიიღეს ფერადი ლითონების გატანით, 50 მილიონ დოლარამდე მინერალურ წყლებზე მოდის, 30 მილიონამდე — ალკოჰოლურ სასმელებზე**

რა გამოდის? პროდუქტი, რომლის გაყიდვაც გვინდა ევროპაში და არ გამოგვდის, ძალიან კარგად იყიდება რუსულ ბაზარზე. სერიოზული ეჭვი გვაქვს, **ის მზარდი ეკონომიკაც, რომელსაც მხოლოდ ხელისუფლება ხედავს, დიდწილად სწორედ ამ ექსპორტზე იქნება დამოკიდებული თუ ჩამოკიდებული. ყველაფრის მიუხედავად, არც ხელისუფლება და არც ოპოზიცია ძალღონეს არ იშურებენ იმისთვის, რომ შინაურ თუ საერთაშორისო ასპარეზზე რუსეთი გალანძღონ. იგივე, რაც საქართველოში რუსეთის პირველი პირის მიმართ თქვეს, რუსეთში რომ ეთქვათ ქართველ ლიდერზე, ხომ ხვდებით, რა მოხდებოდა?** წავიდოდა მოწოდებები: არც ერთი კილოვატი ელექტროენერგია მტერს! არც ერთი რუსული პროდუქტი ქართულ ბაზარზე!.. და ამ ურაპატრიოტიზმით არაერთხელ წაქცეულ ქვეყანას კიდევ ერთხელ წავაქცევდით. ხომ ვთანხმდებით იმაზე, რომ 425%-ით გაზრდილი ელექტროენერგიის ყიდვა იმას ნიშნავს, რომ უფრო იაფია, უფრო მისაღებია, უფრო სტაბილურია. **ეს გვინდა — გვინდა გავთბეთ, გვინდა შუქი გვქონდეს და... ამასთანავე, გვინდა, რომ ბოლო ხმაზე ვაგინოთ რუსეთს და საერთაშორისო ასპარეზზე თითი ვუქნიოთ. არ ჯდება ეს ლოგიკაში, მაგრამ...**

**გასული წლის 10 თვეში საქართველომ რუსეთისგან 74,6 მილიონი კილოვატი ენერგია იყიდა. წელს ათ თვეში რუსეთისგან შესყიდული ენერგიის რაოდენობა 392,2 მილიონი კილოვატია, ანუ შარშანდელთან შედარებით, ეს მაჩვენებელი 425%-ით არის მომატებული. ეს იმ პირობებში, როცა მაქსიმალურად შევეცადეთ რუსეთის გაღიზიანებას და ჩრდილოელ მეზობელს მარტივად შეეძლო ეთქვა უარი. უარის შემთხვევაში, 1990-იანი წლები რომ დაგვიბრუნდებოდა, უშუქობის სერიოზული პრობლემა რომ იქნებოდა, ადვილი მისახვედრია. ბარემ ისიც ვთქვათ, რომ, ასევე ოფიციალური მონაცემების მიხედვით, ექსპორტზე ყველაზე მეტი პროდუქტი... ისევ რუსეთში გავიტანეთ**

როგორც წესი, წლის ბოლოს საახალწლო დაპირებები იმატებს ხოლმე და ხელისუფლებაც გვპირდება, რომ მომავალი წელი გაცილებით უკეთესი იქნება. ერთი არგუმენტი მაინც რომ გვქონდეს იმისა, რომ დავუჯეროთ ძლიერთა ამა ქვეყნისათა, ხმას არ ამოვიღებდით, მაგრამ **მერვე ახალი წელი მოდის ამ ხელისუფლების პირობებში და ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ დაპირებები შეესრულებინოთ და მიმდინარე წელი მომდევნოზე უკეთესი ყოფილიყოს. გამოდის, რომ ხელისუფლება ტრადიციას არც ახლა უღალატებს და მომავალი წელი მიმდინარეზე ცუდი იქნება, რაც საბოლოოდ წელში გაწყვეტს მოსახლეობას. სწორედ ახალი წლის წინ ვამბობთ, რომ, საახალწლო ნობათი კი არა, ძალიან, ძალიან ბევრ ოჯახს საქართველოში 31 დეკემბრის ღამეს პურისა და ყველის პრობლემა ექნება, კუჭის სანახევროდ ავსების პრობლემა ექნება და, რაც მთავარია, ხელისუფლება ამას ან არ ამჩნევს, ან არ იმჩნევს.**

მანამდე კი ხელისუფლებამ ის გააცნობიეროს, რომ 77 ათასი ბავშვი (სულ ცოტა) ახალ წელსაც მშიერი იქნება, სხვისი სამზარეულოდან გამოსული საჭმლის სურნელით მოუწევს „გაძღომა" და სხვის მიერ ნასროლ მაშხალებს გააყოლებს თვალს. დარწმუნებით შეგვიძლია იმის თქმა, რომ საახალწლოდ პარლამენტარები, მინისტრები, დეპარტამენტის ხელმძღვანელები ჯიბეს მოიქექავენ, 2-3 გაჭირვებულ ოჯახს დაეხმარებიან და ქულებს ჩაიწერენ ამომრჩევლის თვალში. მათ ის არ იციან, რომ თუნდაც იმ ბავშვებს, რომლებსაც შიმშილი უწევთ, ახალი წელი მაშინ აქვთ, როცა შინ საჭმელი ეგულებათ და სულ არ აინტერესებთ, კალენდარზე რა რიცხვია. მათ არც ის იციან, როგორ იქცევა თოვლის პაპა, რადგან მხოლოდ სურათებზე ჰყავთ ნანახი და მათთან არასდროს მისულა, ანუ **თოვლის პაპას საქართველოში, სულ ცოტა, 77 ათასი ბავშვისთვის არ ეცლება.**

ეს არის ის მწარე რეალობა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ და რამდენიც უნდა იძახოთ, ქვეყანა წინ მიდისო, არ დავიჯერებთ, რადგან წინ წასულ ქვეყნებში 77 ათასი ბავშვი არ შიმშილობს.

**ბესო ბარბაქაძე**

**P.S. „ჯინგლ ბელზ", ხელისუფლებავ... თუ როგორც არის...**

**236 წლის წინათ რუსეთთან შეერთებამ გვიხსნა ქართველები ფიზიკური განადგურებისა და ისლამიზაციით მენტალური გადაგვარებისგან; სსრკ-ის შემადგენლობაში საქართველოს სსრ-მ არნახული აღორძინება-განვითარება განიცადა. მას შემდეგ კი, რაც საქართველომ „დამოუკიდებლობა“ მოიპოვა, ქართველი ერის საქმე უკან-უკან წავიდა, დავკარგეთ ტერიტორიები და კვლავ ფიზიკურ-მენტალური განადგურების საფრთხის წინაშე აღმოვჩნდით — თუ ადრე ისლამიზაციის გზით გვემუქრებოდა გადაგვარება, ახლა იმავეს ტოტალური ლგბტ-ზაცია გვიქადის, რომლისგანაც ხსნასაც მხოლოდ ისევ რუსეთისგან უნდა ველოდოთ.**



ავი მუსაიფი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გარყვნილება-გათახსირების მეტი დასავლეთიდან საქართველოში ჯერჯერობით არაფერი შემოსულა

**წინამდებარე წერილი გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნებული სტატიის გაგრძელებად მქონდა ჩაფიქრებული, რაც სრულიად ბუნებრივია, რადგან მას შემდეგ იმავე ვითარებას ვუყურებთ — ერთი მხრივ, საფუძვლიანად ნდობადაკარგული „ქართული ოცნება“ და, მეორე მხრივ, ასევე საფუძვლიანად არასანდო, ათას „ლობეზე“ გადამხტარი ე.წ. გაერთიანებული ოპოზიცია ჯიუტი თხებივით არაფერს უთმობენ ერთმანეთს. ამ ჭიდილის ყურება სასაცილო იქნებოდა, სატირალი რომ არ იყოს. ამ დაქცეული ქვეყნის გადარჩენა ნუთუ მხოლოდ იმაზეა დამოკიდებული, არჩევნები პროპორციული სისტემით ჩატარდება თუ შერეულით?! მით უმეტეს იმ რეალობის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მოსახლეობის უმეტესობამ ან არ იცის, ვინც იცის, უკაცრავად და, სულ ფეხებზე ჰკიდია ნებისმიერი საარჩევნო სისტემა.**




**დღევანდელ პუტჩისტებს მემკვიდრეობად ჯორჯ სოროსის მილიარდები ერგოთ და, როგორც ამბობენ, სწორედ სოროსის მილიონებით არის დაფინანსებული ე.წ. გაერთიანებული ოპოზიცია და ამით ახერხებენ ქვეყნის მასშტაბით რამდენიმე ათასი აქტივისტის პერმანენტულ მობილიზებას, რაც, ხალხის კრიტიკული მასის ქუჩაში გამოსაყვანად თუ არა, ხელისუფლებისთვის მუდმივად დისკომფორტის შესაქმნელად ნამდვილად საკმარისია. ყოველივე ზემოთქმულს თუ იმ ფაქტსაც დავუმატებთ, რომ თბილისში აკრედიტებული დიპკორპუსის წარმომადგენელთა უმრავლესობა ღიად თუ ფარულად უჭერს მხარს ე.წ. გაერთიანებულ ოპოზიციას, დამეთანხმებით, რომ გულარხეინობისთვის ნამდვილად არ გვაქვს საქმე...**

აქედან გამომდინარე, ყველა ნორმალურ ადამიანს ნერვები გვაწყდება, როდესაც მავანი ქართველი ერის სახელით ლაპარაკს ბედავს, ქუჩაში იქნება ეს თუ სამთავრობო ტრიბუნიდან. მაგრამ განსაკუთრებით გამაღიზიანებელია, როდესაც დემოკრატიის, ადამიანის უფლებების დამცველებად, ქართველი ხალხის გუშინდელი ჯალათები გვევლინებიან ევროპული თუ, უბრალოდ, ნაცების სახით... სწორედ ამ უზნეობის ბრალია, რომ, მიუხედავად ოპოზიციციური პარტიების გაერთიანებისა, პარლამენტის შენობის წინ ერთი ბეწო მოედნის გავსებასაც ძლივს ახერხებენ.

რასაც ახერხებენ, უახლესი წარსულიდან გამომდინარე, არც ეგ არის ხელწამოსაკრავი. ის კინო, რომელიც დღეს გადის რუსთაველზე, უკვე ნანახი გვაქვს და დღეს იმ კინოს თანამედროვე ვარიანტს ვუცქერით — ძველ სცენარს ახალი აქტორების შესრულებით — „კმარა“ „გაბედე-შეცვალეს“ შეუცვლია, **თეა თუთბერიძე** —კაპიტან **ეკა გიგაურს** და ა.შ.

ჰო, კინაღამ დამავიწყდა: იმჟამინდელი „რუსთავი 2“, რომლის პირდაპირ ეთერში მიმდინარეობდა ე.წ. ვარდების რევოლუცია, ერთბაშად ორმა „დამოუკიდებელმა“ ნაციონალურმა არხმა — „მთავარმა“ და „ტვ პირველმა“ ჩაანაცვლეს და ახლა მათი უწყვეტი პირდაპირი ეთერების საშუალებით ვუყურებთ სახელმწიფო გადატრიალების მორიგ მცდელობას, ჯერჯერობით, მხოლოდ მცდელობას...

ერთადერთი განსხვავება ე.წ. ვარდების რევოლუციის წინა პერიოდსა და სახელმწიფო გადატრიალების დღევანდელ მცდელობას შორის არის ის, რომ მაშინ გიჟვრაცუა **მიშა სააკაშვილის** „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ ქართველი საზოგადოების უმრავლესობას, ასე თუ ისე, სჯეროდა.

სამაგიეროდ დღევანდელ პუტჩისტებს მემკვიდრეობად **ჯორჯ სოროსის** მილიარდები ერგოთ და, როგორც ამბობენ, სწორედ სოროსის მილიონებით არის დაფინანსებული ე.წ. გაერთიანებული ოპოზიცია და ამით ახერხებს ქვეყნის მასშტაბით რამდენიმე ათასი აქტივისტის პერმანენტულ მობილიზებას, რაც, ხალხის კრიტიკული მასის ქუჩაში გამოსაყვანად თუ არა, ხელისუფლებისთვის მუდმივად დისკომფორტის შესაქმნელად ნამდვილად საკმარისია. ყოველივე ზემოთქმულს თუ იმ ფაქტსაც დავუმატებთ, რომ თბილისში აკრედიტებული დიპკორპუსის წარმომადგენელთა უმრავლესობა ღიად თუ ფარულად უჭერს მხარს ე.წ. გაერთიანებულ ოპოზიციას, დამეთანხმებით, რომ გულარხეინობისთვის ნამდვილად არ გვაქვს საქმე...

„დამეთანხმებით“-ში მათ ვგულისხმობ, ვინც, მიუხედავად ცარიელი მაცივრებისა და კუჭებისა, ჩემსავით არასდროს იტყვის, რომ მიშას მმართველობის პერიოდში ცხოვრება სჯობდა დღევანდელ, თუნდაც ცრუპენტელა ივანიშვილის მმართველობის პერიოდში ცხოვრებას.

წერილზე მუშაობის პარალელურად, რომ იტყვიან, ცალი თვალით ვუცქერდი ხსენებული „ობიექტური“ ტელევიზიების პირდაპირ ეთერში გადაცემულ რუსთაველის პროსპექტზე მიმდინარე პროცესებს, რომელთგან ჯერჯერობით მხოლოდ ის დასკვნა გამოვიტანე, რომ გაზეთის მორიგი ნომრის გამოსვლამდე მოვლენების კვანძის გახსნა არ მოხდება და ამიტომ გადავწყვიტე, წერილობით **ციცერონობას** (თუ ასე თქმა შეიძლება) თავი დავანებო და წინამდებარე წერილის თემატიკას ტელევიზორის გარეშე, სხვა კუთხით, გლობალურ კონტექსტში შევხედო, რასაც ბოროტსა და კეთილს შორის მარადიული ომი ჰქვია; ხოლო ის, რაც დღეს რუსთაველზე ხდება, ამ ომის შემადგენელი ერთი პატარა ბრძოლაა; პატარა — მსოფლიოსათვის, თორემ ჩვენთვის?

ზემოთ ხსენებული რაღაცები, რა თქმა უნდა კრემლის, რუსეთის და, ასე გასინჯეთ, პირადად **ვლადიმერ პუტინის** ბრალია. შესაბამისად, რუსეთის ინტერესია... არადა, სამწუხაროდ, ასე არ არის, რადგან რუსეთს საქართველო სულ ფეხებზე ჰკიდია.

დიახ, სამწუხაროდ, რადგან სააკაშვილის უტვინობის გამო 2008 წლის ომის შედეგად რუსეთმა ყველაფერი მიიღო, რაც სურდა, და ამიტომ მას შემდეგ საქართველო რუსეთის პოლიტიკური რადარებიდან გაქრა და ამის გამო, მრავალი წელია, „მცოცავი პრობლემები“ არ გველევა.

ადრეც არაერთხელ გვითქვამს და ახლაც გავიმეორებთ: **მსოფლიოში ბოროტსა და კეთილს შორის მიმდინარე მარადიულ ომში ფრონტის ერთ მხარეს მართლმადიდებელი რუსეთია, ხოლო მეორე მხარეს — აშშ-ის მეთაურობით მთელი დასავლეთი. ამის გამო ამ ომს მართლმადიდებლობასა და სატანისტებს შორის დაპირისპირებასაც უწოდებენ.**

ამ შემთხვევაში სად უნდა იდგეს საქართველო, არაერთხელ გვისაუბრია ილიას, აკაკის, ნიკო ნიკოლაძის, იაკობის, ტატო ბარათაშვილის, გრიგოლ ორბელიანისა და სხვა გამოჩენილი ქართველების ენით, ამიტომ მათ ციტატებს აქ აღარ გავიმეორებთ. მკითხველს მხოლოდ უტყუარ ფაქტებს შევახსენებთ:

236 წლის წინათ რუსეთთან შეერთებამ გვიხსნა ქართველები ფიზიკური განადგურებისა და ისლამიზაციით მენტალური გადაგვარებისგან; სსრკ-ის შემადგენლობაში საქართველოს სსრ-მ არნახული აღორძინება-განვითარება განიცადა. მას შემდეგ კი, რაც საქართველომ „დამოუკიდებლობა“ მოიპოვა, ქართველი ერის საქმე უკან-უკან წავიდა — დავკარგეთ ტერიტორიები და კვლავ ფიზიკურ-მენტალური განადგურების საფრთხის წინაშე აღმოვჩნდით. თუ ადრე ისლამიზაციის გზით გვემუქრებოდა გადაგვარება, ახლა იმავეს ტოტალური ლგბტ-ზაცია გვიქადის, რომლისგან ხსნასაც მხოლოდ ისევ რუსეთისგან უნდა ველოდოთ.

ამ პოზიციის საწინააღმდეგოდ ჩვენს ლიბერასტ ოპონენტებს ერთი „რკინისებური არგუმენტი“ აქვთ: დასავლეთი მხოლოდ ლგბტ არ არის, იქაც ნორმალური სქესობრივი ორიენტაციის ხალხია უმრავლესობა, რაშიც ვეთანხმებით, ოღონდ ერთი „უმნიშვნელო“ შენიშვნით — კი, ბატონო, დასავლეთშიც ნორმალური ხალხია უმრავლესობა, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ამ უმრავლესობას უმცირესობა მართავს, კანონი და სამართალი პედერასტების მხარესაა. სოციოლოგიური კანონის თანახმად, მასები მიჰყვებიან ელიტებს და ამიტომ დასავლეთის მმართველი წრეები ელიტების ლგბტ-ზაციას წარმატებით ეწევიან? **ქსავიე ბეტელი** — ლუქსემბურგის პრემიერმინისტრი 2015 წლიდან, კანონიერ გეიქორწინებაშია არქიტექტორ **გოტიე დესტნესთან.** ბელგიის ყოფილი პრემიერი **ჰელიო დერუპო,** სიცილიის გუბერნატორი **როზარიო კროჩეტო,** შვედეთის დემოკრატიისა და კულტურის მინისტრი **ამანდა ლინი** და ათობით ყოფილი თუ მოქმედი პოლიტიკოსი ამაყობს საკუთარი სოდომისტურ- ლესბოსური ორიენტაციით.

გერმანელმა ფილოსოფოსმა **ოვალდ შპენგლერმა** 1918 წელს გამოაქვეყნა ვრცელი ნაშრომი „ევროპის დაისი“, რომელშიც იგი წინასწარმეტყველებდა, რომ ადამიანთა თეთრ რასას 100 წლის შემდეგ დაუდგებოდა კრიზისი, როდესაც მას კონკურენციას გაუწევდა იმ მომენტში მათთან შედარებით განუვითარებელი, მაგრამ მომავლის მქონე რასა და მართლაც, რადგან დღეს ძირძველი ევროპელები უხალისოდ მრავლდებიან. მაგალითად, ქრისტიანულ ავსტრიაში ახალშობილი ვაჟის ყველაზე გავრცელებული სახელი მუსლიმური მოჰამედია, ხოლო ბერლინში ყოველ მეხუთე სკოლაში გერმანელი ბავშვები უმცირესობაში არიან, ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება — ევროკავშირი ახლო აღმოსავლეთიდან უკონტროლო მიგრაციის გამო ძალიან შეიცვალა.

მერე რაო? — იკითხავს მავანი და ერთი შეხედვით სამართლიანადაც. — ევროკავშირმა საკუთარი თავი ინაღვლოს, ჩვენ რა გვენაღვლებაო?

რა და, რუსთაველზე დღეს, ძირითადად, ის ძალა აცხადებს ხელისუფლებაში მოსვლაზე პრეტენზიას, რომლისთვისაც სულაც არ არის უცხო ზემოხსენებული „ღირებულებები“ და ამიტომ გაისმის შიგადაშიგ რუსოფობიური რიტორიკა. გარადა, გარყვნილება-გათახსირების გარდა, საქართველოში დასავლეთიდან ჯერჯერობით არაფერი შემოსულა და არც მომავალში უნდა გვქონდეს უკეთესის იმედი.

დასასრულ, მცირე ლირიკული გადახვევა დასკვნების გამოსატანად:

აი, რა იწინასწარმეტყველა ცნობილმა ამერიკელმა წინასწარმეტყველმა **ედგარ კეისმა** (1877-1944), რომელსაც რუსოფილიას ვერც ჩვენი ლიბერასტები დასწამებენ:

**„სწორედ რუსეთი ჩაუდგება სათავეში დედამიწის აღორძინებულ ცივილიზაციას და ამ აღორძინების ცენტრი ციმბირი იქნება. რუსეთი იქნება იმედი მსოფლიოში მტკიცე და სამართლიანი წესრიგისა“...** და იქვე — ყველასთვის ცნობილი **ვანგა:** **„არ არსებობს ძალა, რომელიც შეძლებს რუსეთის გატეხვას. იგი მის სავალ გზაზე ყველაფერს აღგვის პირისაგან მიწისა და არა მხოლოდ გადარჩება, არამედ მსოფლიოს მბრძანებელი გახდება“...**

ათონის მთაზე მოღვაწე წმინდა ბერი იოსებ **ვატპაპეცკი,** რომელიც 2009 გარდაიცვალა, ამბობს: **„რუსეთი უძლიერესი იმპერიაა, მაგრამ მას ძნელი მისია აკისრია. სწორედ მას მოუწევს დასავლეთის მომაკვდავ ცივილიზაციასთან დაპირისპირება“.** ათონის წმინდა მიწაზე მოღვაწე ბერი **რაფაელ ბერისტოვი:** **„ზეციური ძალები და მხედრობა აღდგებიან და დაეხმარებიან რუსეთს. მოვა ხელმწიფე მრავალტანჯულ მიწაზე. დასავლეთთან უთანასწორო ბრძოლაში მართლმადიდებელი რუსეთი გაიმარჯვებს“...**

**დავით მხეიძე**

განსაიდუმლოებული დოკუმენტები
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რუსეთის მხარე მზად იყო მოლაპარაკების მაგიდასთან დასაჯდომად. დოკუმენტი, რომელსაც დღეს ვაქვეყნებთ, სწორედ ამაზე მეტყველებს. რუსეთის პრეზიდენტის წინადადება კონკრეტული იყო: იგი სააკაშვილს სათათბიროდ იწვევდა ივლისში ან აგვისტოში აფხაზეთის პრობლემის მშვიდობიანად გადასაწყვეტად. შედეგად კი — „და ხვალ იყო ომი", აგვისტოს ხუთდღიანი ომი, რომელსაც შეეწირა ადამიანების სიცოცხლე, დალის ხეობა მთლიანად და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი დავკარგეთ.**

# რა უპასუხა რუსეთის პრეზიდენტმა სააკაშვილს «ულტიმატუმზე»

**საქართველოს განათლებულმა საზოგადოებრიობამ იცის ან ყური მაინც აქვს მოკრული, რომ საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 2008 წელს რუსეთის იმჟამინდელ პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევს მიმართა წერილით და აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების თავისი წინადადებები შესთავაზა. იცის ეს მიხეილ ნიკოლაევიჩის საჯარო გამოსვლიდან მიღებული ინფორმაციით, რომელიც იყო ზოგადი და მისთვის ჩვეული ნარცისული ელემენტებით შეზავებული. თქვა ის და იმგვარად, რაც მას ხელს აძლევდა.**

მაშასადამე, კი იცის, მაგრამ არ იცნობს.

სამაგიეროდ არც იცის, არც გაუგია, არც თვითონ სააკაშვილს არ გაუმხელია, რომ **დიმიტრი მედვედევმა** საპასუხო წერილი გამოუგზავნა საქართველოს პრეზიდენტს.

„საქართველო და მსოფლიოს" რედაქციას კომპეტენტურმა წყარომ მოგვაწოდა ორივე ეს დოკუმენტი, რომლებსაც დღეს გთავაზობთ.

გაეცანით.

სააკაშვილის მიმართვა ულტიმატუმს უფრო ჰგავს, ვიდრე პრობლემის გადასაწყვეტად რუსეთის ხელმძღვანელობისთვის მიწოდებულ წინადადებებს: **გაივაჟკაცა გორის ქუჩაზე გართხმულმა მომავალმა გმირმა, მიშა მხოხავმა.**

* „(*გალისა და ოჩემჩირის*) **რაიონებში, — წერს სააკაშვილი, — ყალიბდება შერეული ქართულ-აფხაზური ადმინისტრაცია და შერეული ქართულ-აფხაზური სამართალდამცავი ორგანოები. გალისა და ოჩემჩირის რაიონებში იქმნება ადგილგადანაცვლებულ პირთა და ლტოლვილების უსაფრთხოდ და ღირსეულად დაბრუნების პირობები".**

*„სამშვიდობო ოპერაცია დსთ-ის ეგიდით **გაგრძელდება შეცვლილი მანდატით.** მშვიდობისმყოფელები გაყვანილი იქნებიან მათი ამჟამინდელი დისლოკაციის ადგილებიდან და განთავსდებიან მდინარე კოდორის გაყოლებით".

***„იქმნება** ქართულ-რუსული უწყებათაშორისი კომისია საქართველოს რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის რეკონსტრუქციის მიზნით, რათა უმოკლეს ვადაში აღდგეს სარკინიგზო მიმოსვლა მოსკოვი-თბილისი-ერევნის მიმართულებით".

***„ჩვენ სათანადოდ შევაფასებთ** რუსეთის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს აფხაზეთში ურთიერთდაპირისპირების შესამცირებლად".

ერთი მხრივ, კატეგორიული: **ყალიბდება, იქმნება, გაგრძელდება შეცვლილი მანდატით, გაყვანილი იქნებიან, განლაგდებიან, სათანადოდ შევაფასებთ** და ა.შ.

და ამის პარალელურად:

***„რუსეთის მხარის დაინტერესების შემთხვევაში საქართველო მზად არის, შეძლებისდაგვარად მონაწილეობა მიიღოს 2014 წლის ოლიმპიური თამაშების მომზადებაში, მით უფრო, რომ ოლიმპიური დედაქალაქის არჩევის პროცესში ჩვენ აქტიურად ვუჭერდით მხარს ქ. სოჭს".**

შეახსენა და დააყვედრა!

ამას ჰქვია დიპლომატიის ენაზე წერა და მეტყველება? თუმცა, რა გვიკვირს — იმხანად საქართველოს საგარეო საქმეთა უწყებას ხელმძღვანელობდა **ეკა ტყეშელაშვილი,** რომელსაც ამ სამინისტროს სისტემაში საქმიანობის მხოლოდ ორიოდე წლის გამოცდილება ჰქონდა და ისიც მხოლოდ სასამსახურო კარიერის დასაწყისში, ხოლო 1998 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული სამუშაო ადგილებს ისე იცვლიდა, როგორც გაჭუჭყიანებულ ხელთათმანს: 9 ხელმძღვანელ თანამდებობაზე იმუშავა სააკაშვილის ხელში, ძირითადად, სამართალდამცავ სტრუქტურებში — იყო იუსტიციის მინისტრი, შს მინისტრის მოადგილე, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე და გენერალური პროკურორიც.

**სააკაშვილის ეს მიმართვა რუსეთის პრეზიდენტის კანცელარიამ 2008 წლის 23 ივნისს მიიღო და ერთ კვირაში პასუხი გამოუგზავნა საქართველოს პრეზიდენტს.**

**პასუხი, რომელიც 2008 წლის 1 ივლისითაა დათარიღებული, საქართველოს ხელისუფლებამ ისე გაასაიდუმლოა, როგორც მიშასდროინდელი ელიტური კორუფციის პირობებში საერთაშორისო გრანტებიდან მითვისებული მილიონები.**



დოლარებში, რა თქმა უნდა.

დამალა, დაფარა, გააქრო, ვითომ არც არსებობდა, რადგან ხელს არ აძლევდა: როგორც ახლა ირკვევა, იმ დროს უკვე აქტიურად მიმდინარეობდა პრობლემის ძალისმიერი გადაწყვეტისთვის მზადება.

**წერილის მიღებიდან ერთ თვესა და 8 დღეში დაიწყო აგვისტოს ხუთდღიანი ომი.**

**ისეთი რა ბარათი მიიღო სააკაშვილმა, რომ იძულებული გახდა, გაელაშქრა განდგომილი ცხინვალის წინააღმდეგ და დაეკარგა საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტი, რომელიც მას ქვა-ღორღად წარმოედგინა?**

ის დროა, როცა სააკაშვილმა ჯერ არ იცის, როგორი გემო აქვს წითელ ჰალსტუხს, ჯერ არ დაუღეჭია, არ „დაუგემოვნებია" (ახლა ასე ამბობენ), ჭაშნიკი არ გაუსინჯავს (ეს ღვინოზეა ნათქვამი. არ წავშალე. დამენანა).

**მაგრამ ერთ თვეზე ცოტა მეტი გავა და დორბლით დამბალი წითელი ჰალსტუხის ღეჭვას მსოფლიო არა მარტო იხილავს, არამედ ფიგურალურ გამოთქმად ჩამოყალიბდება.**

აიტაცებენ.

11 წლის შემდეგაც კი გაიხსენებენ: ინგლისის ბრექსიტის პრობლემებით შეწუხებული დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი **ბორის ჯონსონი** დაუნინგ სტრიტზე დაბრუნების შემდეგ საკმაოდ ემოციურად ახსნის ვითარებას, რომელიც მის ქვეყანაში ჩამოყალიბდა.

იტყვის: **„ჩვენ იმ სტადიას მივაღწიეთ, როცა არჩევანის საშუალება არ გვაქვს, რადგან ჩვენი პარლამენტი პარალიზებულია და სამწელიწადნახევარია, ჩიხშია მოქცეული. უნდა გითხრათ, რომ იმ ზღვარს მივაღწიე, როცა მზად ვარ, დავღეჭო საკუთარი ჰალსტუხი".**

ამაზე იტყვიან: პრეზიდენტი წავიდა და სათქმელი დაგვიტოვაო.

ან არ იტყვიან.

მაინც რა მოიწერა ისეთი რუსეთის იმდროინდელმა პრეზიდენტმა სააკაშვილის „ულტიმატუმის" საპასუხოდ?

დიმიტრი მედვედევმა აღნიშნა, რომ ყურადღებით გაეცნო მიხეილ ნიკოლაევიჩის წინადადებებს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პრობლემატიკის შესახებ. ხაზი გაუსვა, რომ ბევრი ელემენტი შეიძლება იყოს გამოყენებული პრობლემის მოგვარების ამა თუ იმ ეტაპზე შესაბამისი შესწავლის შემდეგ და „ამ დროს თქვენი მთავარი პარტნიორი უნდა იყოს აფხაზეთის მხარე". აღნიშნა, რომ საამისოდ **აუცილებელია, უწინარეს ყოვლისა, სრულფასოვანი მოლაპარაკების პროცესის გამართვა; რომ იგი მზად არის პრეზიდენტების ასეთი შეხვედრისთვის ივლისში ან აგვისტოში.** ეს იქნებოდა „ქართულ-აფხაზური ურთიერთობის მშვიდობიანი მოწესრიგების პროცესის ათვლის ახალი წერტილი, რეალური შედეგი სამიტის, რომლის აუ-

В обоих районах формируются смешанные грузино-абхазская администрация и смешанные грузино-абхазские правоохранительные органы. В Гальском и Очамчирском районах организуется безопасное и достойное возвращение перемещенных лиц и беженцев. Грузинская сторона берет обязательство по полному социальному обеспечению населения этих районов.

Миротворческая операция под эгидой СНГ будет продолжена с пересмотренным мандатом. Миротворцы выводятся из мест их нынешней дислокации и располагаются вдоль реки Кодори.

Создается грузино-российская межведомственная комиссия с целью реконструкции абхазского участка Грузинской железной дороги, с тем, чтобы в кратчайшие сроки восстановить сквозное железнодорожное сообщение Москва – Тбилиси – Ереван.

Открывается морское сообщение между Сухуми и Трабзоном (Турция), которое должно осуществляться в соответствии с законодательством и международными обязательствами Грузии.

При условии достижения договоренностей по другим вопросам, грузинская сторона была бы готова легализовать и другие транспортные коммуникации, а также открыть новые пути сообщения.

Предлагаю разработать, подписать и ввести в силу соглашения, в которых будут закреплены вышеизложенные предложения. В качестве гарантов реализации соглашения наряду с Российской Федерацией могли бы выступить и другие заинтересованные стороны.

В дальнейшем стороны конфликта могли бы заключить отдельное соглашение о неприменении силы и возвращении перемещенных лиц и беженцев на всю территорию Абхазии, Грузия.

Представляется целесообразным создание совместной грузино-российской межправительственной комиссии по вопросам экономической реабилитации Абхазии, Грузия.

При наличии заинтересованности российской стороны Грузия готова принять посильное участие в подготовке Олимпийских игр 2014 года, тем более что в процессе выбора олимпийской столицы мы активно поддержали кандидатуру г. Сочи.

Вместе с тем хочу отметить, что мы должным образом оценили бы шаги российской стороны, направленные на снижение противостояния в Абхазии, Грузия.

Имеем в виду возможную отмену поручения Президента Российской Федерации Правительству Российской Федерации от 16 апреля 2008 года по налаживанию прямых контактов с Абхазией и Цхинвальским регионом Грузии.

При этом мы готовы рассмотреть вариант совместной реализации отдельных положений этого документа.

Помимо этого, приветствовали бы незамедлительный вывод из Абхазии, Грузия всех дополнительных воинских частей РФ, пребывание которых не предусматривается форматом миротворческой операции – частей ВДВ, оснащенных артиллерией и средствами ПВО, а также подразделений железнодорожных войск.

С целью обсуждения и согласования вышеизложенных предложений полагаю необходимым проведение регулярных консультаций между внешнеполитическими ведомствами наших государств, а также создание совместной рабочей группы, которая должна подготовить нашу встречу таким образом, чтобы мы смогли выйти на конкретные решения.

Уверен, что при наличии политической воли мы с Вами могли бы достичь прорыва и вернуть межгосударственные отношения между Российской Федерацией и Грузией на тот уровень, который был бы достоин наших народов.

Рассчитываю на Ваше понимание и плодотворную совместную работу в интересах наших государств.

С уважением,

Михаил Саакашвили

განსაიდუმლოებული დოკუმენტები
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რუსეთის პრეზიდენტისთვის გაგზავნილი მიმართვა ისეთი ქედმაღლური ტონითაა შედგენილი, რომ, ავტორების გათვლით, ადრესატს იმავე ტონალობით უნდა მოეწერა პასუხი. ეს იქნებოდა საბაბი და გამართლება ომის დაწყებისა, მაგრამ არ მოუწერია. ამან მიხეილი და მისი ატეხილი აქტივისტები ვერ შეაჩერა და, რადგან ახალი წლის მოლოცვა ცხინვალიდან არ გამოუვიდათ, რევანშის აღება სოხუმიდან მოინდომეს. ავანტიურას კი არავისთვის გაუმართლებია. იმასაც ნუ გამოვრიცხავთ, რომ სააკაშვილმა მედვედევისთვის წერილის გაგზავნით შეიქმნა ალიბი: ყველაფერი ვიღონე კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოსაგვარებლად, მაგრამ არ გამოვიდა, მშვიდობიან შეთავაზებაზე ცივი უარი მივიღე და ომი დავიწყეო, რუსეთს ნიღაბი ჩამოვხსენითო.**

ПРЕЗИДЕНТ
РОССИЙСКОЙ ФЕДЕРАЦИИ

«1» июля 2008 г.
№ Пр-1350
Москва, Кремль

Уважаемый Михаил Николаевич,

Благодарю за послание, переданное 23 июня с.г. через Вашего высокого представителя.

Полностью разделяю Ваш настрой на продолжение диалога, основой которого, как Вы справедливо отмечаете, должен быть взаимный учет законных интересов. При этом считаю важным поддерживать доверительность наших контактов, чему способны серьезно повредить как эмоциональные публичные выступления, так и неоправданно большое число "заинтересованных сторон".

Внимательно ознакомился с Вашими предложениями по проблематике урегулирования грузино-абхазского конфликта. Многие их элементы, несомненно, могут быть востребованы на том или ином этапе урегулирования, разумеется, после должной проработки. Главным Вашим партнером здесь должна быть абхазская сторона.

Очевидно, что это предполагает прежде всего наличие полноценного переговорного процесса. Сегодня, к сожалению, стороны конфликта испытывают глубокое взаимное недоверие, а возобновившиеся недавно контакты между Тбилиси и Сухуми носят пока лишь эпизодический характер.

ЕГО ПРЕВОСХОДИТЕЛЬСТВУ
ГОСПОДИНУ М.Н.СААКАШВИЛИ,
ПРЕЗИДЕНТУ ГРУЗИИ

г.Тбилиси

2

В подобной ситуации, откровенно говоря, трудно представить себе, например, создание совместной грузино-абхазской администрации и правоохранительных органов в каких-либо районах Абхазии. Явно преждевременна и столь категоричная постановка вопроса о возвращении беженцев. В нынешней конфронтационной атмосфере абхазы - и их нужно понять - видят в этом угрозу своему национальному выживанию.

Поэтому предлагаю сосредоточиться все же на первоочередном и главном сегодня, а именно - на реальных мерах по снижению напряженности и восстановлению доверия, что позволило бы возобновить процесс грузино-абхазского урегулирования, прерванный в июне 2006 года.

Ключевая роль в этом принадлежит лично Вам, Михаил Николаевич. Именно от грузинского лидера зависит радикальное оздоровление атмосферы вокруг урегулирования, придание ему позитивной динамики. Вновь возвращаюсь к целесообразности подписания между Тбилиси и Сухуми документа о неприменении силы и вывода вооруженных сил Грузии из верхней части Кодорского ущелья. Об этом мы говорили с Вами в ходе телефонной беседы 18 июня, и возражений - равно как и предварительных условий - с Вашей стороны тогда не прозвучало.

Очевидна политическая выигрышность такого решения, требующего, бесспорно, мудрости и мужества. Оно показало бы ответственность руководства Грузии, его приверженность миру, позволило бы разорвать порочный круг взаимных упреков и конфронтации в отношениях с Сухуми.

При таком развитии событий наша с Вами предстоящая встреча - а я был бы готов к ней уже в июле или августе - зафиксировала бы упомянутые договоренности, обозначив возобновление с новой точки отсчета процесса мирного грузино-абхазского урегулирования. Это и стало бы тем реальным результатом саммита, о необходимости которого Вы пишете в своем послании.

Достижение такого результата позволило бы предметно рассматривать дальнейшие конструктивные шаги в процессе урегулирования. Россия со своей стороны будет содействовать этому.

По мере снижения уровня противостояния в зоне конфликта можно будет вернуться к вопросу об оптимальной численности контингента миротворцев СНГ. Что касается подразделения Железнодорожных войск России, то оно будет выведено по

3

завершении в августе с.г. восстановительных работ на участке Сухуми - Очамчира. Будем рады перейти к совместной деятельности в контексте Ваших предложений по восстановлению сквозного железнодорожного сообщения Москва-Тбилиси-Ереван. Естественно, потребуется привлечь и абхазскую сторону.

Готовы рассмотреть и Вашу идею создания российско-грузинской межправительственной комиссии по вопросам экономической реабилитации Абхазии. Насколько я понимаю, это будет означать, помимо прочего, отмену санкционных мер, введенных в январе 1996 года на основании Решения Совета глав государств СНГ о санкциях в отношении Абхазии. Кстати, по направленности это было бы созвучно тем мерам, которые принимаются российской стороной в рамках реализации апрельских поручений Президента Российской Федерации.

И, разумеется, мы будем только приветствовать подключение Грузии к процессу подготовки Олимпийских игр 2014 года в Сочи.

Словом, вырисовывается вполне конкретная и позитивная повестка наших совместных действий.

С уважением,

Д.Медведев

ცილებლობაზე მწერთ თქვენს მომართვაში“.

ამასთანავე, მედვედევი მიიჩნევს, რომ არსებულ სიტუაციაში **„ძნელი წარმოსადგენია აფხაზეთის ნებისმიერ რაიონში ერთობლივი ქართულ-აფხაზური ადმინისტრაციისა და სამართალდამცავი ორგანოების შექმნა. აშკარად ნაადრევია, აგრეთვე, ლტოლვილების დაბრუნების საკითხის ამგვარი კატეგორიულობით დაყენება“.**

რუსეთის პრეზიდენტის აზრით, ამ ეტაპზე ყურადღება უნდა გამახვილდეს დაძაბულობის შესამცირებელ და ნდობის აღდგენის რეალურ ღონისძიებებზე, რომლებიც შესაძლებელს გახდის ქართულ-აფხაზური ურთიერთობის მოწესრიგების პროცესის ნორმალიზაციას. მოლაპარაკებები 2006 წლის ივლისში შეწყდა.

და შემდეგ — პირდაპირი მიმართვა საქართველოს პრეზიდენტს:

**„საკვანძო როლი ამ საკითხში გეკუთვნით პირადად თქვენ, მიხეილ ნიკოლოზის ძევ. სწორედ საქართველოს ლიდერზეა დამოკიდებული მოწესრიგების გარშემო არსებული ატმოსფეროს რადიკალური გაჯანსაღება, მისთვის პოზიტიური დინამიკის მინიჭება. კვლავ ვუბრუნდები თბილისსა და სოხუმს შორის ძალის გამოუყენებლობისა და საქართველოს შეიარაღებული ძალების კოდორის ხეობის ზემო ნაწილიდან გაყვანის შესახებ დოკუმენტის ხელმოწერის მიზანშეწონილობის საკითხს. ამის თაობაზე ჩვენ ვილაპარაკეთ 18 ივნისს ტელეფონით და საწინააღმდეგო აზრი, ისევე, როგორც წინასწარი პირობები, თქვენი მხრიდან არ გამოთქმულა.**

**ამგვარი გადაწყვეტილების პოლიტიკური მომგებიანობა უეჭველად მოითხოვს სიბრძნესა და გამბედაობას. იგი დაგვანახვებდა საქართველოს ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობას, მშვიდობისადმი მის ერთგულებას, ხელს შეუწყობდა ურთიერთსაყვედურებისა და სოხუმისადმი კონფრონტაციის მანკიერი წრის გაწყვეტას“.**

მედვედევმა განაცხადა, რომ მზად არის, განიხილოს სააკაშვილის იდეა აფხაზეთის ეკონომიკური რეაბილიტაციის საკითხების გადასაწყვეტად რუსულ-ქართული სამთავრობოთაშორისი კომისიის შექმნის შესახებ, „თავისთავად იგულისხმება, რომ ჩვენ მხოლოდ მივესალმებით საქართველოს ჩართულობას ქ. სოჭში 2014 წლის ოლიმპიური თამაშების მომზადების პროცესში.

ერთი სიტყვით, ისახება ჩვენი ერთობლივი მოქმედების სრულიად კონკრეტული და პოზიტიური დღის წესრიგი“.

მიმართვაში პასუხი გაცემულია სააკაშვილის წამოყენებულ სხვა წინადადებებზეც.

მოკლედ, **რუსეთის მხარე მზად იყო მოლაპარაკების მაგიდასთან დასაჯდომად. დოკუმენტი, რომელსაც დღეს ვაქვეყნებთ, სწორედ ამაზე მეტყველებს. რუსეთის პრეზიდენტის წინადადება კონკრეტული იყო: იგი სააკაშვილს სათათბიროდ იწვევდა ივლისში ან აგვისტოში აფხაზეთის პრობლემის მშვიდობიანად გადასაწყვეტად.**

**შედეგად კი — „და ხვალ იყო ომი“, აგვისტოს ხუთდღიანი ომი, რომელსაც შეეწირა ადამიანების სიცოცხლე, დალის ხეობა მთლიანად და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი დავკარგეთ.**

საქართველო დამარცხდა. სააკაშვილმა გამარჯვება იზეიმა. იტაშფანდურა. იხალისა.

რა მოხდა?

„სიმართლის ლაპარაკი მსუბუქია და სასიამოვნო. მოსმენაა მძიმე და უსიამოვნო“ *(გოლუბენკო-ბულგაკოვი).*

ჩვენი სავარაუდო პასუხიც ამ შეკითხვაზე უსიამოვნო იქნება.

მაგრამ მაინც უსმინეთ, რათა არ დაემსგავსოთ **გოგლა ლეონიძის** ბატისფრთიან პიიტებს, რომლებიც „წვანან სიჩუმის ნავსადგურებში“, სადაც ჩამოწერილ, სმენადაკარგულ ბებერ ხომალდებს, აღარაფერი რომ აღარ აინტერესებთ, ყურებზე ჰკიდიათ ღუზები:

В ушах оглохших пароходов
Горели серьги якорей, — ეს მაიაკოვსკია, მეტაფორების დიდოსტატი.

შეაგულიანა ვინმემ სააკაშვილი? მე და თქვენ ერთნაირი აზრი გვაქვს ამაზე. მაინცდამაინც მე ნუ მათქმევინებთ...

ისე კი, შეფარვით გეტყვით: **შეაგულიანა მან, ვინც მსოფლიოში გაბატონების მანიით არის შეპყრობილი სხვისი ხელითა და სხვა ქვეყნების გენოფონდის საზარბაზნე ხორცად გაწირვის ხარჯზე.**

**აშშ-ის მაშინდელი სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი, რომელიც მედვედევის წერილის მიღებიდან 8 დღეში — 9-10 ივლისს სასწრაფოდ ესტუმრა თბილისს, თავის მემუარებში იფიცებოდა, რომ სააკაშვილს სთხოვდა, აერიდებინა რუსეთთან ომის დაწყება. სხვა წყარო კი ირწმუნება, რომ პირიქით — ამერიკელები სააკაშვილს აქეზებდნენ: დაიწყე ომი და დარწმუნებული იყავი, ხმას არავინ ამოიღებს. წინასწარ შეთანხმებულიაო.**

რომელი ვარიანტია მართალი, თავს ვერავინ დადებს, მაგრამ მარიონეტ თოჯინას ზედმეტი ხმარებისგან ძაფები რომ დაუწყდება და სანამ „მარტივ თანამამრავლებად დაიშლება“ (მიშას საყვარელი გამოთქმაა), სანამ თეატრის დამლაგებელი ნაგვის კონტეინერში გადაუძახებს, შეიძლება ისეთი კონვულსიური მოძრაობით გაგვაოცოს, „ოცნების“ უმრავლესობიდან გაქცეულებს რომ შეშურდებათ.

ამას გარდა: **რუსეთის პრეზიდენტისთვის გაგზავნილი მიმართვა ისეთი ქედმაღლური ტონითაა შედგენილი, რომ, ავტორების გათვლით, ადრესატს იმავე ტონალობით უნდა მოეწერა პასუხი. ეს იქნებოდა საბაბი და გამართლება ომის დაწყების.**

მაგრამ არ მოუწერია.

ამან მიხეილი და მისი ატეხილი აქტივისტები ვერ შეაჩერა და, რადგან ახალი წლის მოლოცვა ცხინვალიდან არ გამოუვიდათ, რევანშის აღება სოხუმიდან მოინდომეს.

ავანტიურას კი არავისთვის გაუმართლებია.

იმასაც ნუ გამოვრიცხავთ, რომ **სააკაშვილმა მედვედევისთვის წერილის გაგზავნით შეიქმნა ალიბი: ყველაფერი ვიღონე კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოსაწესრიგებლად, მაგრამ არ გამოვიდა: მშვიდობიან შეთავაზებაზე მივიღე ცივი უარი და ომი დავიწყეო, რუსეთს ნიღაბი ჩამოვხსენითო.**

ვარაუდების ჩამოთვლის გაგრძელება შეიძლება, რა თქმა უნდა, მაგრამ ეგებ აჯობოს, ჩვენმა მკითხველებმა გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები დღემდე გასაიდუმლოებული ამ მიმოწერის შესახებ?

საზოგადოებრიობის დამოკიდებულების გაგება გაცილებით საინტერესო იქნება.

**არმაზ სანებლიძე**

**აშშ-ის სახელმწიფო მდივანი, კონდოლიზა რაისი, კარგი პიანისტი და უმცროსი ბუშის «პასია», თავის მემუარებში იფიცებოდა, რომ სააკაშვილს სთხოვდა, აერიდებინა რუსეთთან ომის დაწყება, მაგრამ მიშამ არ მოუსმინა. სხვა წყარო კი ირწმუნება, რომ პირიქით — ამერიკელები სააკაშვილს აქეზებდნენ: დაიწყე ომი და დარწმუნებული იყავი, ხმას არავინ ამოიღებს. წინასწარ შეთანხმებულიაო**

ალელვებული კაცის ნათქვამი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„რა ქნან ჩვენმა შვილებმა და შვილიშვილებმა? იმ პატარა ბავშვებმა რა ქნან, რომლებსაც სწორი აზრი ვერ მოუსმენიათ, რა უნდა ისწავლონ, ვის უნდა მიემხრონ? გამოდის ვიღაც ვიგინდარა, ბოდიშს ვიხდი, უსაქმური, თავის სიცოცხლეში არაფერი რომ არ გაუკეთებია, ზოგი ნარკომანია, ზოგი იმნაირი, ზოგი ამნაირი და საქართველო ჩემი ქვეყანააო, — აცხადებს, კაცო! მე უნდა დამიჯეროთო, აბა! ჩვენ, დანარჩენები, კი ისე შევცქერით და ვუსმენთ, ვითომ ჩვეულებრივი ამბავია“.**



ზარბეგ ბერიაშვილი:

# არ რცხვენია თბილისს, ამდენის უფლებას რომ აძლევს ვიგინდარებს?!



**ასეთი აღელვებული, დაძაბული და ასე უარყოფითად დამუხტული ზარბეგ ბერიაშვილი ჯერ არ მინახავს. თვითონაც განიცდიდა ამ უჩვეულობას და ინტერვიუს დასაწყისშივე მითხრა: „საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველებს ბოდიშს ვუხდი, მაგრამ, რასაც დღევანდელ ვითარებაზე ვფიქრობ, პირდაპირ უნდა ვთქვა, შეიძლება ცოტა მკაცრად და სიტყვების შეურჩევლადო. თქვა კიდეც.**

— ოთხმოცი წლის კაცი ვარ და იმ პრობლემებზე ლაპარაკი, რომლებიც ჩვენს ქვეყანას აწუხებს, ჩემგან არ უნდა მოდიოდეს.

ისე აირია ქვეყანა, რომ კაცს ველარ გაურკვევია, ვინ არის კარგი, ვინ — ცუდი, ვინ არის ერისა და ქვეყნის პატრიოტი, ვინ — მტერი.

ძალიან არ მომწონს ეს ამბავი.

ჩემი თავი ჯანდაბას, ჩვენი თაობა წამსვლელია, მაგრამ **რა ქნან ჩვენმა შვილებმა და შვილიშვილებმა? იმ პატარა ბავშვებმა რა ქნან, რომლებსაც სწორი აზრი ვერ მოუსმენიათ, რა უნდა ისწავლონ, ვის უნდა მიემხრონ? გამოდის ვიღაც ვიგინდარა, ბოდიშს ვიხდი, უსაქმური, თავის სიცოცხლეში არაფერი რომ არ გაუკეთებია, ზოგი ნარკომანია, ზოგი იმნაირი, ზოგი ამნაირი და საქართველო ჩემი ქვეყანააო,— აცხადებს, კაცო! მე უნდა დამიჯეროთო, აბა! ჩვენ, დანარჩენები, კი ისე შევცქერით და ვუსმენთ, ვითომ ჩვეულებრივი ამბავია.**

ამას როგორ უნდა ბედავდეს! მაგრამ ბედავს და მოიწევს, გვემუქრება კიდეც...

20-21 ივნისის ამბავი გავიგეთ, გააშუქეს, გამოაშუქეს, ხან აქეთ იყო გადაჭარბებული, ხან იქით, მაგრამ ხომ იყო, რომ, ფაქტობრივად, პარლამენტის ხელში ჩაგდებას შტურმით აპირებდნენ. ჩვენ კი ამას ისე ვუყურებთ, როგორც ჩვეულებრივ ამბავს. ამაში ხალხი ვართ დამნაშავე, თბილისია დამნაშავე. ამის უფლება როგორ უნდა მივცეთ? უწინ რომ იტყოდნენ: თბილისელი ვარო, რამეს ნიშნავდა. დღეს რაღა არის?..

ბოდიშს ვუხდი ყველა კარგ ჟურნალისტს, მაგრამ, აქამდე რომ მივიდა საქმე, გაყიდული, არაწესიერი მათი კოლეგების ბრალია. ჟურნალისტი უნდა იყოს ადამიანების ერთმანეთთან ნორმალური ურთიერთობის დამყარების მაგალითი.

— **ობიექტური.**

— რა თქმა უნდა. მაგრამ არა ისეთი, ყოველ ნაბიჯზე რომ ვხვდებით — მიკერძოებული, ხამი, უზრდელი, უფროსი რომ არ იცის და უმცროსი; რომელსაც ჰგონია, რაც უფრო მეტად ააყროლებს ტელეეთერს, რაც უფრო მეტად დაძაბავს სიტუაციას, მით უფრო კარგი პროფესიონალია, გაბედული და უშიშარი.

— **ერთი ფრთიანი ფრაზა მახსენდება: არავითარი გმირობა და მამაცობა არ არის, თუ გადაეფარები ამბრაზურას, საიდანაც იცი, რომ არავინ გესვრის.**

— ცუდად არ გამიგოთ: ამ ფონზე კარგი და ობიექტური ჟურნალისტიკაც არსებობს — „ასავალ-დასავალი“, თქვენი გაზეთი, სხვა გაზეთებიც შემიძლია დავასახელო. მე უმეტესად ტელევიზიის არხები მაქვს მხედველობაში, რომლებიც პირდაპირ ჩანს, რომ ვიღაცას ემსახურებიან და ეს სამსახური ქვეყნის განვითარების წინააღმდეგ არის მიმართული.

ჩემ გარდა ვერავინ ხედავს ამას?!

დაჩემებული აქვთ, რომ ამერიკასა და დასავლეთზე კარგი მსოფლიოში არაფერი არ შეიძლება იყოს.

**რა დიდი ჭკუა და გონება სჭირდება იმის ცოდნას, რა ჯდება ჩვენთან ერთი პატარა ოფისის შეძენა-შენახვა, თუნდაც დაქირავება, მოვლა და პატრონობა?! ვინ უფინანსებს ამ ყველაფერს ორკაციან პარტიებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს? ამდენი გულუხვი უცხოელი ინვესტორი საიდან გაჩნდა, რომლებმაც მაინცდამაინც ოპოზიციურად განწყობილი ე.წ. პარტიების დაფინანსება თავიანთი ცხოვრების მიზნად გაიხადეს?! ტყუილია ეს ყველაფერი! ყველამ კარგად იცის, საიდან მოდის საქართველოში ეს ფინანსური ნაკადი და ვის ინტერესებს ემსახურება.**

**«განა შეიძლება, ნებისმიერი სხვა ქვეყნის ელჩი ერეოდეს ჩვენს საშინაო საქმეებში? მეტი უარესობა შეიძლება? არ ვარ პოლიტიკოსი, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ელჩის უფლება-მოვალეობა გარკვეული ჩარჩოებით არის შეზღუდული. მან უნდა იზრუნოს ქვეყნებს შორის ნორმალური ურთიერთობის დასამყარებლად. ეს კი ართულებს და ამწვავებს. ამერიკა რუსეთის წინააღმდეგ რომ არის ამხედრებული, ცნობილია, მაგრამ რატომ გვითრევს ჩვენ იმ მორევში, რომელსაც, თუ ჩავყვებით, გადარჩენა არ გვიწერია»**

ბიძინა ივანიშვილს უზარმაზარი სიკეთეები რომ აქვს გაკეთებული, ამაზე სიტყვას არ გავაგრძელებ, მაგრამ ისიც ხომ კაცია თავისი სისუსტეებით, რაც ყველა ჩვენგანს გვახასიათებს.

მაგრამ ვიღაც ვიგინდარა, რომელმაც წერა-კითხვაც არ იცის, ქუჩაში უკანასკნელი სიტყვებით რომ ლანძღავს, ეს ყველა ზღვარს სცილდება. ამნაირების პოზიცია ერთია: მე პირადად რა გამიკეთა?! დგას და ილანძღება.

შეცდომებიც ჰქონდა, მაგალითად, კადრების შერჩევაში. ნახეთ, რამდენი პრემიერმინისტრი გამოიცვალა. არ ივარგეს. მაგრამ მე არჩევნების საკითხზე შევჩერდები.

არ მაქვს პრეტენზია, რომ ჩემი აზრი აუცილებლად სწორი იქნება, მაგრამ, დასაფიქრებელი რომ არის, ნაღდია.

დაგვპირდნენ, რომ არჩევნები გაიმართებოდა პროპორციული სისტემით, არა მაჟორიტარულით.

ახლა ვუყურებ, რომ ტელევიზიით გამოდის ვიღაც დასავლელი მოხელე და ისე წარმოგვიდგენს, რომ ვითომ ჩვენს პარლამენტს დიდი შეცდომა დაუშვია, დანაშაულიც კი, როცა არ შეუსრულებია უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს დაპირება.

კი, არ შეასრულა, მაგრამ ვის სად უნახავს, რომ უმრავლესობის წევრ პარლამენტარებს ყველას ყოველთვის ერთნაირი აზრი ჰქონდეთ ამა თუ იმ საკითხზე?! ოპოზიცია იმას გაიძახის: ქვეყანას ივანიშვილი მართავსო. თურმე არ უმართია, აგერ, კაცო! ახლა კი ამაზე ედავებიან: რატომ ვერ მართავო!

პირდაპირ ვიტყვი, დასავლეთში ბევრი დახვეწილი არამზადა მოღვაწეობს საზოგადოებრივ ასპარეზზე. თავიანთ საქმეს აკეთებენ.

ე.ი., იმ მოხელემ გვისაყვედურა, რატომ თქვით უარი პროპორციულ არჩევნებზეო. და იქვე, იმავე წუთში ტელეკომენტატორი თუ ტელეწამყვანი იძახის, რომ ეს კაცი იმ ქვეყნიდან არის, რომელშიც პროპორციული არჩევნები არ არსებობს.

მაშ, გამაგებინეთ: ჩვენ რომ თავს გვახვევს პროპორციულს, თავის ქვეყანაში დანერგოს, თუ ასეთი კარგია.

რა უნდა დავუჯერო? ხომ აშკარაა, რომ დავალებას ასრულებს! და ასეთ გარეწრებს, რომლებსაც ამერიკა თამადობს, უჯერებენ საქართველოში.

დასავლეთი მისაბაძია თანამედროვე ტექნოლოგიებით, მეცნიერული მიღწევებით, ცხოვრების მაღალი დონით. ამაში მივბაძოთ.

გთხოვთ, აუცილებლად ჩაწეროთ ის, რასაც ახლა გეუბნებით: **თითქმის ოცდაათი წელიწადია, გავიძახით „ამერიკა, დასავლეთი“! სულ მაგათ ჭკუაზე დავდივართ. მაშ, ვიღას რას ვედავებით?! ცხოვრებას მათი წესით ვმართავთ. საქმე იქამდის მიდის, რომ დამლაგებელი ვერ დაგვინიშნია მათ გარეშე.**

— **ახლა თქვენ უტრირებთ, ბატონო ზარბეგ.**

— კი, შეგნებულად, რადგან სხვაგვარად ვერავის ვერაფერს შეასმენ, მაგრამ მითხარით: **განა შეიძლება, ნებისმიერი სხვა ქვეყნის ელჩი ერეოდეს ჩვენს საშინაო საქმეებში? მეტი უარესობა გაგიგიათ? არ ვარ პოლიტიკოსი, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ელჩის უფლება-მოვალეობა გარკვეული ჩარჩოებით არის შეზღუდული. მან უნდა იზრუნოს ქვეყნებს შორის ნორმალური ურთიერთობის დასამყარებლად. ეს კი ართულებს და ამწვავებს.**

**ამერიკა რუსეთის წინააღმდეგ რომ არის ამხედრებული, ცნობილია, მაგრამ რატომ გვითრევს ჩვენ იმ მორევში, რომელსაც, თუ ჩავყვებით, გადარჩენა არ გვიწერია.**

— **კერძოდ რა გაქვთ მხედველობაში?**

— თუნდაც ეკონომიკა. რაში დაგვეხმარა აშშ? არაფერში!

საბჭოთა კავშირის დროს მხოლოდ ორი რესპუბლიკა იყო, რომლებსაც ასე თუ ისე დაბალანსებული ჰქონდათ ბიუჯეტი, შემოსავალ-გასავალი — ბელარუსი და უკრაინა. დანარჩენები იმაზე მეტს ხარჯავდნენ, ვიდრე გამოიმუშავებდნენ. განსხვავებას უფარავდა საკავშირო ბიუჯეტი, უფრო ზუსტად — რუსეთი.

დოტაციურ რესპუბლიკებს შორის იყო საქართველოც. რასაც ახლა გეუბნებით, გაზეთებიდან მაქვს ამოკითხული.

დაიშალა საბჭოთა კავშირი. მოვლენები მაშინ ისე ვითარდებოდა, მთელი მსოფლიო ფეხზე რომ დამდგარიყო, სსრკ მაინც დაიშლებოდა. საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის სათავეში მოვიდა ეროვნული მთავრობა, სამწუხაროდ, დილეტანტები, ისეთები, მაგალითად, როგორიც იყო **ძიძიგური,** ▶

**«ჟურნალისტებზე გეკითხებით: სად, რომელ ოჯახში გაიზარდნენ თქვენი კოლეგები? ვინ ასწავლა, რომელ უნივერსიტეტში, რომ უნდა იყოს უზრდელი, გარეწარი, ყველაფერზე წამსვლელი, ოღონდ სენსაციური მასალა მოიპოვოს, დაამციროს, ღირსება შეულახოს რესპონდენტს? საკუთარი თვალით ვნახე ჩვენს სახელგანთქმულ ფალავანსა და ღირსეულ მამულიშვილს — ლერი ხაბელოვს ვიღაც ჟურნალისტი პირში ჩრიდა მიკროფონს და ისე უკმეხად ელაპარაკებოდა, რომ შეგზარავდა. ლერი სირცხვილისგან დაიწვა, მაგრამ თავი შეიკავა, პატივი სცა ჟურნალისტის პროფესიას და ტელემაყურებელს და იმავე ტონალობაში არ უპასუხა...»**

**„20-21 ივნისის ამბავი გავიგეთ, გააშუქეს, გამოაშუქეს, ხან აქეთ იყო გადაჭარბებული, ხან იქით, მაგრამ ხომ იყო, რომ, ფაქტობრივად, პარლამენტის ხელში ჩაგდებას შტურმით აპირებდნენ. ჩვენ კი ამას ისე ვუყურებთ, როგორც ჩვეულებრივ ამბავს. ამაში ხალხი ვართ დამნაშავე, თბილისია დამნაშავე. ამის უფლება როგორ უნდა მივცეთ?“ უწინ რომ იტყოდნენ: თბილისელი ვარო, რამეს ნიშნავდა. დღეს რაღა არის?.. ბოდიშს ვუხდი ყველა ჟურნალისტს, მაგრამ, აქამდე რომ მივიდა საქმე, იმ გაყიდული, არაწესიერი ჟურნალისტის ბრალია. ჟურნალისტი უნდა იყოს ადამიანების ერთმანეთთან ნორმალური ურთიერთობის დამყარების მაგალითი“.**

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ამჟამად კონსერვატიული პარტიის ლიდერი და საქართველოს პარლამენტის წევრი, რომელმაც თავის დროზე „ბლოკადა“ მოუწყო რუსეთს, გადაკეტა რკინიგზა სამტრედიაში იმ მიზნით, რომ „დაენგრია“ რუსეთის ეკონომიკა. სინამდვილეში კი ისეთი დარტყმა მიაყენა ისედაც სუსტ საქართველოს ეკონომიკას, რომ მას შემდეგ წელში ვერ გაიმართა.

ახლა გამაგებინეთ, **რა იყო ამაში ჭკვიანური, დღეს პარლამენტიდან ჭკუას რომ მარიგებს?! რა უნდა ძიძიგურს პარლამენტში!**

**დღეს რომ ვიძახით, რუსეთი ოკუპანტიაო, ამერიკამ მსოფლიო რომ გაანადგურა, რატომ ხმას არ ვიღებთ?! „დემოკრატიის დანერგვის“ ლოზუნგით სისხლის წვიმებით რომ წალეკა მთელი ქვეყნები, წესიერი სახელმწიფოა?! ჩამოვთვალო? ერაყი, ავღანეთი, სირია, ლიბია... დავხუჭოთ ამაზე თვალი და ვიძახოთ: რუსეთი ოკუპანტია. არის ეს სწორი და სამართლიანი?! სად არის მათი სამართლიანობა?! ხომ გახსოვთ, რა თქვა აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა, როცა მოახენეს, რომ თურქეთში, საუდის არაბეთის საელჩოში გააქრეს საუდელი ჟურნალისტი: საუდის არაბეთთან კარგი ურთიერთობა გვაქვს და ამის გამო ვერ დავუპირისპირდებითო. ჩემს ხალხს რა ვუყოო?! ასეთი იყო მისი რეაქციის მოკლე შინაარსი.**

საქართველოს აღარ აქვს თავისი ინტერესები, ხალხო?

საქართველოში, ფაქტობრივად, რუსების მიერ იყო აშენებული 31-ე ქარხანა, კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხანა, ცენტროლიტი, მთელი რუსთავი, ქუთაისის ავტოქარხანა, წყალქვეშაფრთიანი კატარღების ქარხანა და ასე შემდეგ. ყველაფერი გააჩერეს, რუსეთთან ურთიერთობა რომ არ გვქონოდა. სანაცვლოდ რა მივიღეთ? — ქვეყანა ეკონომიკის გარეშე. დავღუპეთ თუ არა ამით საქართველო, კაცო?!

მეტი სიგიჟე წარმოგიდგენიათ?!

ორ სიტყვას არჩევნების წესის შესახებაც დავუმატებ. საქართველო პატარა ქვეყანა კი არის, მაგრამ ყველა კუთხეს თავისი სპეციფიკა აქვს. ეს ხომ ცნობილია.

— **დიახ, ცნობილია.**

— ერთმანეთზე უკეთესია, მაგრამ განსხვავებულია. მაშ, **გამაგებინეთ, მაჟორიტარი დეპუტატები რატომ არ უნდა ჰყავდეს რაიონებს? წლების განმავლობაში დამტკიცდა, რომ ეს ინსტიტუცია საჭირო და აუცილებელია. ასე უკეთესი იქნება ჩვენი პროვინციისთვის. მაჟორიტარი დეპუტატი უკეთ დაეხმარება, რადგან აირჩევენ ადგილობრივ, სპეციფიკურ პრობლემებში კარგად გარკვეულ კაცს, რომელიც მათი წარმომადგენელი იქნება ქვეყნის პარლამენტში.**

ქუთაისს არ უნდა ჰყავდეს თავისი მაჟორიტარი?

**აი, ვიღაც გარეწარმა, სოროსის ფულებით გაპოლიტიკოსებულმა, უნდა მოისყიდოს რამდენიმე პარტია და პარლამენტში დაჯდეს? ასეთი ნასყიდი კაცი საქართველოზე იზრუნებს?! მან უნდა გვატაროს თავის ჭკუაზე, ეგ იქნება სწორი?**

მახსოვს, სატირულ ჟურნალ „კროკოდილში“ გამოქვეყნებული კრიტიკული წერილი, რომელშიც ეწერა, რომ ერთ-ერთ გასტრონომში ქურდმა მომხმარებელს რაღაც მოჰპარა და ამის გამო გასტრონომი დახურეს. ხალხს პრობლემა გაუჩინეს. ასე ვაკეთებთ ჩვენც მაჟორიტარული წესის გაუქმებით.

— **პარლამენტის წევრი რომ ყოფილიყავით, დაუჭერდით მხარს არჩევნებთან დაკავშირებულ საკონსტიტუციო ცვლილებას?**

— არავითარ შემთხვევაში **ხმას არ მივცემდი მაჟორიტარული არჩევნების გაუქმებას. სოროსელებს უნდა ვუყუროთ, რას გვიკარნახებენ?**

ამას რომ გელაპარაკებით, მერიდება კიდეც, მაგრამ ვბედავ იმიტომ, რომ, მაგალითად, თბილისში ხალხის უმრავლესობა ასე ფიქრობს. მაინცდამაინც პარლამენტის წინ უნდა მოვაწყოთ აქცია, რომ ყურად იღონ ჩვენი აზრი?

თბილისელობა ბევრ რამეს ნიშნავს. გაიხსენეთ, **ევგენი პრიმაკოვი** სადაური იყო, **ივანოვი** (რუსეთის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი) სადაური იყო, **სერგეი ლავროვი** სადაურია?

ბოდიშს გიხდით, მაგრამ ერთი შენიშვნა კიდევ მაქვს და ამით მინდა დავასრულო.

**ჟურნალისტებზე გეკითხებით: სად, რომელ ოჯახში გაიზარდნენ თქვენი კოლეგები? ვინ ასწავლა, რომელ უნივერსიტეტში, რომ უნდა იყოს უზრდელი, გარეწარი, ყველაფერზე წამსვლელი, ოღონდ სენსაციური მასალა მოიპოვოს, დაამციროს, ღირსება შეულახოს რესპონდენტს?**

საკუთარი თვალით ვნახე ჩვენს სახელგანთქმულ ფალავანსა და ღირსეულ მამულიშვილს — ლერი ხაბელოვს ვიღაც ჟურნალისტი პირში ჩრიდა მიკროფონს და ისე უკმეხად ელაპარაკებოდა, რომ შეგზარავდა. ლერი სირცხვილისგან დაიწვა, მაგრამ თავი შეიკავა, პატივი სცა ჟურნალისტის პროფესიას და ტელემაყურებელს, იმავე ტონალობაში არ უპასუხა...

ხომ უნდა იცოდეს ამ „სამოქალაქო აქტივისტმა“, ვისთან აქვს საქმე? თუ არ იცის, წაიკითხოს, გაიკითხოს. რომ გაეკითხა, აუცილებლად ეტყოდნენ, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 1992 წელს მსოფლიო პირველობაზე გამარჯვებული ლერი ხაბელოვი კვარცხლბეკზე არ ავიდა მანამდე, სანამ საქართველოს დროშა არ აღმართეს და საქართველოს ჰიმნი არ დაუკრეს მისი წარმატების აღსანიშნავად.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**P.S. ამას უბედავენ დამსახურებულ კაცს საქართველოს დედაქალაქში. არ რცხვენია თბილისს, ამდენ უფლებას რომ აძლევს ვიგინდარებს?!**

**„ვიგინდარა: საქმისთვის უცხო, შემთხვევითი პირი; არაფრის მაქნისი, ოხერი ვინმე“.**

**ა.ს.**

# თხოვნა ბიძინა ივანიშვილს

**ბატონო ბიძინა, წლების განმავლობაში უკვე განხორციელებულ და მიმდინარე პროექტებში 2 მილიარდ 800 მილიონზე მეტი დახარჯეთ. და ქველმოქმედებას დღემდე განაგრძობთ. უფალმა დაგლოცოთ და კიდევ უფრო გაგაძლიეროთ თქვენს დიდ ოჯახთან ერთად.**



ბატონო ბიძინა, ვარ 95 წელს მიღწეული ღრმა მოხუცი, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი, ვალმოხდილი ჩვენი ქვეყნის წინაშე 1941-45 წლებში.

ვეტერანი სპორტის ჭიდაობა სამბოში 1947-1960 წლებში. ვეტერანი შრომისა 1942-1997 წლებში და, რაც ყველაზე მეტად მძიმეა ჩემთვის და ჩემი ოჯახისათვის, ვარ I ჯგუფის ინვალიდი. საბუთში მიწერია „შრომის უუნარო. საჭიროებს მომვლელს“. დიდი ხნის წინათ იყო, რომ მომვლელის ფულს ვღებულობდი. სხვა შეღავათებიც მქონდა. ყველაფერი მომიხსნეს. პენსიის გარდა არაფერს ვიღებ. კომპიუტერში შეტანილია ასაკი, ვეტერანობა და ინვალიდობა.

ბატონო ბიძინა, გაითვალისწინეთ ჩემი მძიმე მდგომარეობა — ღრმა მოხუცებულობა, ვეტერანობა-ინვალიდობა, უმწეობა. დასუსტებული ადამიანის თხოვნა და დამინიშნეთ სოციალური დახმარება. დიდხანს არ მოგიწევთ გადახდა.

ეს იქნება დიდი მადლი და დიდი სიკეთე ჩემი და ჩემი ოჯახის მიმართ. იმედი მაქვს თქვენი კეთილი ნების, წინასწარ გიხდით მადლობას.

**ვარლამ სულაქველიძე**

**ჩემი პირადი №60001060335**

**ტელ. 2 27-65-34**

**ქუთაისი, თავისუფლების ქუჩა, მე-3 შესახვევი, №4.**

# რუსეთის ნამდვილი მეგობარი — ასე შეაფასა პუტინმა მეჰრიბან ალიევას წვლილი მოსკოვისა და ბაქოს ურთიერთობაში

**აზერბაიჯანის პირველი ვიცე-პრეზიდენტი მეჰრიბან ალიევა ოფიციალური ვიზიტით ეწვია მოსკოვს და შეხვდა რუსეთის პრემიერს დიმიტრი მედვედევს, ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარე ვალენტინა მატვიენკოსა და პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს.**



რუსეთის პრეზიდენტმა მეგობრობის ორდენი გადასცა მეჰრიბან ალიევას და მას რუსეთის ნამდვილი მეგობარი უწოდა.

„ნება მომეცით, გულითადად მოგესალმოთ მოსკოვში — უკვე იმ რანგში, რომელშიც ჯერ ჩვენთან არ ყოფილხართ — ვიცე-პრემიერის. ვიცი, რომ თქვენ ძალიან დიდი და დატვირთული პროგრამა გაქვთ“, — თქვა რუსეთის ლიდერმა.

მხარეებმა იმსჯელეს საქონელბრუნვაზე ორ ქვეყანას შორის, აგრეთვე, თბილ ურთიერთობებზეც.

მეჰრიბან ალიევამ პუტინს აზერბაიჯანის პრეზიდენტ **ილჰამ ალიევისგან** სალამი გადასცა და სთხოვა, მისთვის მოსახერხებელ ნებისმიერ დროს სწვეოდა აზერბაიჯანს.

**„ყველა მიმართულებით ვხედავთ დადებით დინამიკას. არსებობს რეგულარული პოლიტიკური დიალოგი სახელმწიფო მეთაურების დონეზე. აზერბაიჯანი და რუსეთი მხარს უჭერენ ერთმანეთს საერთაშორისო არენაზე. აზერბაიჯანში უდიდეს პატივს სცემენ რუსულ კულტურას, რუსულ ენას“,** — აღნიშნა ალიევამ.

აზერბაიჯანის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა, აგრეთვე, განაცხადა: აზერბაიჯანში ძალიან უყვართ რუსული ენა, მას სწავლობენ ბევრ სკოლაში. ქვეყანაში არის ცნობილი რუსული უმაღლესი სასწავლებლების ფილიალები, მაგალითად, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის. ეს ყველაფერი მიმართულია იმისკენ, რომ ახალგაზრდა თაობამ იცოდეს რუსული ენა.

აზერბაიჯანის პირველი ლედი ქვეყნის პირველ ვიცე-პრემიერად 2 წლის წინათ დაინიშნა. მანამდე ის დეპუტატი იყო მმართველი პარტიიდან.



# ევროპული ფასეულობები, რომლებსაც უნდათ, რომ გვაზიარონ

**მიმდინარე წლის სექტემბერში ნიდერლანდების პარლამენტში წარადგინეს ანგარიში, რომლის თანახმადაც ქვეყანაში გამოკითხული პედიატრების 84 პროცენტს სურს უკურნებელი სენით დაავადებული 12 წლამდე ბავშვებისთვის ევთანაზიის დაწესება მშობლების თანხმობით.**

ამ საკითხს მალე განიხილავს ნიდერლანდების პარლამენტი.

2001 წელს ნიდერლანდები მსოფლიოში პირველი ქვეყანა გახდა, რომელმაც ევთანაზია ლეგალურად აღიარა. ამ მომენტისთვის ქვეყანაში უკვე ნებადართულია 12-დან 16 წლამდე ბავშვების ევთანაზია მშობლების თანხმობით.

# უკრაინის უსაფრთხოების სამსახურმა განაცხადა, რომ დააკავა ტერორისტი, რომელიც საქართველოს მოქალაქეა

**სოციალურ ქსელში უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, დაკავებულია „ისლამური სახელმწიფოს“ ე.წ. ომის მინისტრის მოადგილე, საქართველოს მოქალაქე ალ ბარა შიშანი, რომელიც უკრაინაში 2018 წლიდან იმყოფებოდა.**



გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, უკრაინელმა სამართალდამცველებმა საქართველოს მოქალაქე შიშანი, რომელიც სხვადასხვა პოსტს იკავებდა „ისლამურ სახელმწიფოში“, აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დახმარებით დააკავეს.

უკრაინამდე ტერორისტმა თურქეთის გავლით მიაღწია, სადაც 2016 წელს სირიიდან ჩავიდა. მანამდე, 2012 წლიდან ის ტერორისტებს მეთაურობდა სირიის ქალაქ ლატაკიაში და იყო **აბუ უმარ აშ-შიშანის** მოადგილე, რომელიც სიკვდილამდე (2016 წლამდე) მეთაურობდა „ისლამური სახელმწიფოს“ „ბოევიკებს“ კავკასიაში.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**დიდი ბრიტანეთის ყველაზე გამოჩენილი ისტორიკოსის, სერ ალან ბულოკის, კვლევები, რომლებშიც განხილულია ორი დიდი ქვეყნის — გერმანიისა და საბჭოთა კავშირის — პოლიტიკურ-ეკონომიკური საფუძვლები და გავლებულია პარალელები, ზუსტად მიანიშნებს მკითხველს, სად უახლოვდება და სად იყრება ამ ორი ქვეყნის ურთიერთშედარების პარალელური ხაზები, რაც აშკარად ქმნის ისტორიკოსისადმი ნდობის ფაქტორს. ასეთივეა მისი მცდელობა, ზუსტად აღწეროს მსოფლიოს ორი გამოკვეთილი ფიგურის — სტალინისა და ჰიტლერის — პორტრეტები, თუმცა მეჩვენება, რომ მკვლევარი რიგ მომენტებში ჰიტლერისკენ იხრება.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №42, 2019 წ.

# სტალინი — მსოფლიო პოლიტიკისა და დიპლომატიის კორიფე

**წინა ნომერში გამოქვეყნებული და წინამდებარე მასალა განსხვავებული თვალსაზრისისა და განმარტებების, ასე ვთქვათ, კოლაჟია, რომელიც ბევრი უცხოელი მკვლევარის მასალებზეა აგებული. ჩვენთანაც და საზღვარგარეთაც არიან როგორც კარის, ისე მიუმხრობელი ისტორიკოსები, რომელთა თვალსაზრისი ჭეშმარიტებასთან ახლოს დგას და გინდა, მზის სინათლეზე გამოიტანო იმ მკითხველისთვის, რომელსაც ნამდვილად აინტერესებს ისტორიული სიმართლე. მე ხშირად ამივლია გვერდი სტალინზე დაწერილ იმ უსიამოვნო პასაჟებისთვის, რომლებიც უცხოელთა კვლევებში საკმარისად მოიპოვება, მაგრამ ისინი აშკარად ცილისმწამებლურია, ამიტომ გული არ მწყდება, როდესაც მას ნაცარს მივაყრი ხოლმე.**



**იმ უხილავი კედლის მიღმა, რომლითაც სტალინმა საბჭოთა კავშირი დანარჩენი სამყაროსგან გამოყო, ომის დამთავრებიდან ბოლო ხუთი წლის შემდეგ საოცარი ეკონომიკური აღმშენებლობა დაიწყო. ეკონომისტებს შორის ერთი აზრი არ არსებობს, თუ რა როლი ითამაშა ამაში რეპარაციებმა, მაგრამ ბოლოს ყველა მივიდა დასკვნამდე, რომ ომის შემდგომი აღორძინება და წარმოების საოცარი ზრდა პირადად სტალინის დამსახურება იყო და სხვა არაფერი**

**დიდი ბრიტანეთის ყველაზე გამოჩენილი ისტორიკოსის, სერ ალან ბულოკის, კვლევები, რომლებშიც განხილულია ორი დიდი ქვეყნის — გერმანიისა და საბჭოთა კავშირის — პოლიტიკურ-ეკონომიკური საფუძვლები და გავლებულია პარალელები, ზუსტად მიანიშნებს მკითხველს, სად უახლოვდება და სად იყრება ამ ორი ქვეყნის ურთიერთშედარების პარალელური ხაზები, რაც აშკარად ქმნის ისტორიკოსისადმი ნდობის ფაქტორს. ასეთივეა მისი მცდელობა, ზუსტად აღწეროს მსოფლიოს ორი გამოკვეთილი ფიგურის — სტალინისა და ჰიტლერის — პორტრეტები, თუმცა მეჩვენება, რომ მკვლევარი რიგ მომენტებში ჰიტლერისკენ იხრება, მაგრამ, როგორც სხვა სამყაროსა და სხვა საზოგადოების წარმომადგენელს, ხელი არ უმრუდდება და სტალინსაც შესაფერის პატივს მიაგებს.** ამ ორ ქვეყანასა და გიგანტზე მასალები ერთდროულად დაიბეჭდა ინგლისში, ამერიკასა და გერმანიაში და უდიდესი ინტერესი გამოიწვია საზოგადოებაში.

წინამდებარე წერილი სწორედ ამ კვლევის შედეგებით არის გაჯერებული, მაგრამ, რადგან დოკუმენტური მასალა ჩემთვის მიუწვდომელია, მეც ავტორის სინდისზე ვარ მინდობილი.

იმ დროს, როცა მსოფლიო რუსეთის სამხედრო შესაძლებლობებით იყო გაოგნებული, რომელიც გერმანიის დასამარცხებლად გამოიყენა, სტალინი რუსეთისა და ამერიკის ეკონომიკებს შორის წარმოქმნილმა კონტრასტმა აღაშფოთა. რუსეთის უპირველესი საფიქრალი იმ გიგანტური ზარალის ანაზღაურება იყო, რომელიც დიდ სამამულო ომში განიცადა — ეს იყო ადამიანური დანაკარგები და განადგურებული საწარმოები. ზარალის მასშტაბების შესახებ არც ერთმა მოკავშირემ არაფერი იცოდა. ეკონომიკის ხელახლა აშენება და შეერთებული შტატების დაწევა — აი ეს იყო მთავარი ამოცანა, რომლითაც დაკავებული იყო ქვეყანა. სტალინს სურდა ამერიკის მონოპოლიის დანგრევა და ომისგან დასუსტებული ქვეყანის აღდგენა. ეს ყველაფერი კი უნდა გაეთვალათ მეცნიერ-ტექნიკოსებს. პირველი ატომური ბომბის გამოცდამ 1949 წლის ზაფხულში წარმატებით ჩაიარა. მას მოჰყვა 1953 წელს წყალბადის ბომბის გამოცდა.

მსოფლიო ხედავდა, როგორ განაგრძობდა წითელი არმია აღმოსავლეთ ევროპის გათავისუფლებას — ეს განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ქმნიდა და საბჭოთა დიპლომატიაც სამხედრო ძალებს ეყრდნობოდა. **რუზველტი** მოკვდა, **ტრუმენს** თვითრწმენა აკლდა, ამერიკის სახელმწიფო მდივანი **ბირნსი** კი კომპრომისების ძიებისკენ მიდრეკილი პიროვნება იყო. **ჩერჩილი** თანამდებობაზე შეცვალეს, ინგლისის ლეიბორისტული მთავრობა, რომელიც პარლამენტის უმრავლესობას წარმოადგენდა, სოციალისტური რუსეთის მიმართ კეთილგანწყობილი იყო და ქვეყნის შიგნით რეფორმების გატარებით უფრო იყო დაკავებული, ვიდრე საგარეო პოლიტიკით. ახლა, როცა ომი წარსულს ჩაბარდა, ჰიტლერი განადგურებული იყო და გაერთიანებულმა ერებმა მსოფლიოს მომავალზე ზრუნვა საკუთარ თავზე დაიკისრა, საერთაშორისო ვითარების გართულება არავის ეხალისებოდა. როგორც მალე გაირკვა, **ინგლისელები გაკოტრების საფრთხის წინაშე იდგნენ, ამერიკისგან სესხს თუ არ მიიღებდნენ, ევროპაში თანამეგობრობის შენარჩუნებასა და წამყვანი როლის თამაშს ვეღარ შეძლებდნენ (ეს დასკვნა დიდი ბრიტანეთის ისტორიკოსისაა). საბჭოთა დიპლომატიისთვის ეს მომგებიანი ვითარება იყო. სტალინს შეეძლო იმ სირთულეების გამოცნობა, რომლებსაც დემოკრატიები აწყდებოდნენ. იგი განაგრძობდა ამერიკასა და ინგლისს შორის არსებული განსხვავებების შესწავლას და შემდეგში ეს ხერხი საბჭოთა ტაქტიკის წამყვან პრინციპად აქცია.**

სტალინი ყოველთვის დიდი პატივისცემით უსვამდა ხაზს ამერიკის ეკონომიკურ ძალასა და სამხედრო პოტენციალს. ამასთანავე, იგი იმედოვნებდა, რომ უახლოეს მომავალში ამერიკა ევროპაში საქმიანობის მიმართ ინტერესს დაკარგავდა და დაახლოებით ორ წელიწადში ევროპიდან თავის ჯარებს გაიყვანდა. სხვა მხრივ, სტალინი სწრაფად გაერკვა, რომ ინგლისელები, რომლებიც ხანგრძლივი გამოცდილების წყალობით პოლიტიკურ შეფასებებში შედარებით რეალისტები იყვნენ, მსოფლიოს ან თუნდაც წამყვანი ევროპული ქვეყნის როლის შესანარჩუნებლად რესურსებს აღარ ფლობდნენ.

ხუთი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირსა და მის მოკავშირეებს შორის ურთიერთობა შემოიფარგლებოდა მხოლოდ საჯარო პოლემიკით, რომელსაც საგარეო საქმეთა სამინისტროს მკაცრი ნოტები ენაცვლებოდა. თვითონ სტალინი სცენაზე იშვიათად გამოდიოდა და, მიმდინარე მოვლენებზე წარმოდგენა რომ შეგვექმნას, ინგლისური და ამერიკული წყაროებით უნდა ვისარგებლოთ, რომლებიც, საბედნიეროდ, იმ წლების მოვლენებს სრულად აღწერას. რა თქმა უნდა, ამ ყველაფერს ოფიციალური ხასიათი აქვს მაგრამ არავინ დავობს იმაზე, რომ დასავლეთის სახელმწიფოების მიმართ საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განსაზღვრაში სტალინის აზრი გადამწყვეტი იყო, ისევე, როგორც ომის პერიოდში ნაცისტური-საბჭოთა პაქტის დადებისას. უახლესი ისტორიის ზოგიერთი მკვლევარი კი ამტკიცებს, რომ სტალინს ომის შემდეგ ღირებული არაფერი შეუქმნიაო, რაც სისულელეა.

**1947 წელს საბჭოთა კავშირსა და დასავლეთის სახელწიფოებს შორის მნიშვნელოვანი აზრთა სხვადასხვაობა ორ საკითხში წარმოიშვა: პირველი იყო აღმოსავლეთ ევროპაში მშვიდობის დამყარება და დასავლეთის მზადყოფნა იმ გავლენის მიმართ, რომელიც ამ ტერიტორიაზე საბჭოთა კავშირს ჰქონდა. 1946 წელს სტალინი საბჭოეთის ძალისხმევით მიღწეული შედეგით კმაყოფილი უნდა ყოფილიყო — მან აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების ყველა მთავრობის აღიარება მოიპოვა, სამშვიდობო კონფერენციაზე შეთანხმებული ტერიტორიული რეგულირების საკითხი კი მნიშვნელოვანწილად რუსების მიერ იყო გატარებული.**

1940 წლის ნოემბერში ბერლინში **მოლოტოვის** ვიზიტისას **ჰიტლერმა სტალინს შესთავაზა, ბრიტანეთის იმპერიის განაწილების საკითხში გერმანიასთან, იტალიასა და იაპონიასთან გაერთიანებულიყო. საბჭოთა კავშირი წილის სახით სპარსეთის ყურისა და ინდოეთის ოკეანის მიმართულებით მიიღებდა ტერიტორიებს. სტალინი ამ წინადადების განხილვის წინააღმდეგი არ იყო მხოლოდ ერთი პირობით: რუსეთის ინტერესები ბალკანეთსა და მის გარშემო არსებულ ყურეებზეც უნდა გავრცელებულიყო, რაც ჰიტლერის მიერ წამოყენებულ წინადადებაში შეგნებულად არ იყო ნახსენები. ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ჰიტლერს ამ საკითხის განხილვაზე მომავალში უარი ეთქვა, 1945-1946 წლებში კი, როცა ბალკანეთი საბჭოთა გავლენის სფეროში აღმოჩნდა, სტალინს ამ იდეის შესწავლის შესაძლებლობა გაფართოების კუთხით უკვე ჰქონდა.** იგი ამ სახელმწიფოების შანსებს სკეპტიკურად აფასებდა და ცდილობდა, პირდაპირ არ ჩარეულიყო მათ საქმიანობაში. ამის საჭიროებაც არ ყოფილა, რადგან საბერძნეთის მეზობელ ქვეყნებს — იუგოსლავიას, ბულგარეთსა და ალბანეთს კომუნისტები აკონტროლებდნენ. საბჭოთა კავშირს კი დასავლეთის წინააღმდეგ ფართო პროპაგანდისტული კამპანიის შენარჩუნებაღა დარჩენოდა, რომლის საგანიც გერმანიის ტერიტორიებიდან ფაშისტური მთავრობის მომხრე ინგლისის ჯარების გაუსვლელობა იყო.

პრობლემები 1947 წლის თებერვალში წარმოიქმნა, როცა ომის შემდგომმა ეკონომიკურმა სირთულეებმა ინგლისში უმაღლეს წერტილს მიაღწია და ინგლისის მთავრობა იძულებული შეიქნა, ეღიარებინა, რომ მას მსოფლიო პოლიტიკურ ასპარეზზე თავისი როლის თამაში აღარ შეეძლო. რამდენიმე დღეში მან ინდოეთიდან გასვლის გადაწყვეტილება მიიღო, პალესტინის პრობლემა გაეროს ორგანიზაციას გადასცა და საიდუმლოდ მოელაპარაკა, რომ საბერძნეთისა და თურქეთის დახმარებას 31 მარტის შემდეგ ვეღარ შეძლებდა და ინგლისის ჯარები ამ ტერიტორიებს დატოვებდნენ.

1947 წლის 21 თებერვალს ინგლისელებმა ამერიკის სახელმწიფოს წინაშე თვითონ დასვეს საკითხი: მზად იყო თუ არა ამერიკა, საბერძნეთისა და თურქეთის მიმართ ვალდებულება დაეკისრებინა? მათ, ვისაც ვაშინგტონში გადაწყვეტილება უნდა მიეღო, კარგად ესმოდათ, რომ საქმე იმაზე სერიოზული ჩანდა, ვიდრე ეს საბერძნეთისა და თურქეთის დახმარება იყო. თუ ინგლისელები ეკონომიკური სიდუხჭირის გამო იძულებულები იქნებოდნენ, ტერიტორიებიდან გარნიზონები გაეყვანათ, აზიაში წარმოიქმნებოდა ვაკუუმი, რომლის შევსებაც საბჭოთა კავშირს უფრო მეტად ხელეწიფებოდა, ვიდრე სხვა სახელმწიფოს. მეორე მხრივ, რუსეთის მიერ ტერიტორიების შეძენის და მასზე გავლენის მოპოვების გათვალისწინებით ამერიკა ფიქრობდა, რომ ეს მსოფლიო ძალების გადანაწილების შესაძლებლობა იყო. ამ მოვლენის მიმართ კი ამერიკას არ შეეძლო გულგრილი დარჩენილიყო (ამას ინგლისელი ისტორიკოსი ამბობს და არა ვინმე სტალინის მეხოტბე. — გრ. ონიანი).

**ჯორჯ მარშალი** აჭიანურებდა სტალინთან შეხვედრას. ბოლოს და ბოლოს, ერთმანეთს შეხვდნენ. იგი მშვიდად ლაპარაკობდა, მაგრამ არ მალავდა, რომ ორმხრივი ურთიერთობების გაუარესებას სერიოზულად თვლიდა.

სტალინი იქამდე დუმდა, სანამ მარშალმა საუბარი არ დაასრულა. შემდეგ მან ამერიკელივით მშვიდად დაიწყო ლაპარაკი და რუსული პოზიციების შესახებ შეახსენა.

მარშალი და ამერიკული გუნდი ევროპიდან ორ რამეში დარწმუნებული დაბრუნდა: პირველი მდგო- ▶

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჰიტლერმა სტალინს შესთავაზა, ბრიტანეთის იმპერიის განაწილების საკითხში გერმანიასთან, იტალიასა და იაპონიასთან გაერთიანებულიყო. საბჭოთა კავშირი წილის სახით სპარსეთის ყურისა და ინდოეთის ოკეანის მიმართულებით მიიღებდა ტერიტორიებს. სტალინი ამ წინადადების განხილვის წინააღმდეგი არ იყო მხოლოდ ერთი პირობით: რუსეთის ინტერესები ბალკანეთსა და მის გარშემო არსებულ ყურეებზეც უნდა გავრცელებულიყო, რაც ჰიტლერის მიერ წამოყენებულ წინადადებაში შეგნებულად არ იყო ნახსენები. ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ჰიტლერს ამ საკითხის განხილვაზე მომავალში უარი ეთქვა, 1945-1946 წლებში კი, როცა ბალკანეთი საბჭოთა გავლენის სფეროში აღმოჩნდა, სტალინს ამ იდეის შესწავლის შესაძლებლობა გაფართოების კუთხით უკვე ჰქონდა.**

◀ მარეობდა იმაში რომ, დასავლეთ გერმანიის ტერიტორიებზე ეკონომიკური მარცხისა და შიმშილის გამო მდგომარეობა ისეთი მძიმე იყო, რომ გერმანიის მრეწველობის განვითარების შეყოვნება აღარ შეიძლებოდა; მეორე კი — იმაში, რომ გერმანიის აღორძინების ნებისმიერი გეგმა, რაც შეიძლება ფართო, ევროპული ეკონომიკის კონტექსტში უნდა განხილულიყო, მათ შორის ინგლისისაც, რომელიც, აგრეთვე, საჭიროებდა ფეხზე დადგომას.

ამერიკელებმა, თავდაპირველად, არაორაზროვნად მიუთითეს, რომ იმედი ჰქონდათ, კონგრესი ევროპის დასახმარებლად თანხის გამოყოფას მხარს დაუჭერდა.

1947 წელს ინგლის-საფრანგეთის ინიციატივით ჩატარდა სპეციალური კონფერენცია, რომელზეც ევროპის ყველა ქვეყანა მიიწვიეს, მათ შორის საბჭოთა კავშირიც. დღის წესრიგში იდგა საკითხი, რომელიც ზოგადი ევროპული პროგრამის მომზადებას შეეხებოდა და რომელიც ხელმძღვანელ კომიტეტს უნდა მოემზადებინა. ეს კომიტეტი კი საფრანგეთის, ინგლისისა და საბჭოთა კავშირის მიერ იყო შექმნილი.

საინტერესო იქნებოდა სტალინის, მოლოტოვისა და პოლიტბიუროს სხვა წევრების ჩანაწერების გაცნობა. მოლოტოვმა თავიდანვე გამორიცხა ზოგადევროპული გეგმის იდეა. სანაცვლოდ მან მოკავშირეებს შესთავაზა, თითოეულ ქვეყანას მოთხოვნების ჩამონათვალი მოემზადებინა, ამ მოთხოვნებისთვის თავი მოეყარათ და შემდეგ ამერიკისთვის მიემართათ, როდის შეძლებდა ამ მოთხოვნების დაკმაყოფილებას. მოლოტოვმა კრემლთან კონსულტაციებისთვის მეტი დრო ითხოვა, რომლის შემდეგაც საბოლოო პასუხს გასცემდა.

დღემდე არაფერია ცნობილი იმ განხილვების შესახებ, რომლებიც კრემლში მიმდინარეობდა. დასკვნით სხდომაზე კი გაირკვა, რა ინსტრუქციები მიიღო მოლოტოვმა. მან ფრანგები და ინგლისელები მარშლის წინადადების გამოყენებაში დაადანაშაულა. ეს წინადადება ისეთი ორგანიზაციის დაფუძნებას გულისხმობდა, რომელიც სხვა ქვეყნებისგან ეროვნული დამოუკიდებლობის დათმობას მოითხოვდა, რათა ამერიკული დახმარება მიეღოთ, ამიტომ საბჭოთა კავშირმა ინგლის-საფრანგეთის გეგმა უარყო, რომელიც არა მხოლოდ ეროვნულ სუვერენიტეტს, არამედ გერმანიიდან რეპარაციების მოთხოვნასაც უქმნიდა საფრთხეს. მოლოტოვმა სიტყვა ინგლისისა და საფრანგეთის ხელისუფლებების გაფრთხილებით დაასრულა. **მოლოტოვის პასუხი იმ პოლიტიკას შეესაბამებოდა, რომლის გატარებასაც სტალინი იალტის კონფერენციის პერიოდიდან ახორციელებდა. მას შეეძლო საგარეო საქმეთა სამინისტროს გამოყენება, მაგრამ ერთი წუთითაც არ ავიწყდებოდა, რომ პარტნიორები — ამერიკა და ინგლისი — ერთდროულად მისი პოტენციური მტრები იყვნენ. სტალინს კარგად ჰქონდა წარმოდგენილი დასავლეთ ევროპის ეკონომიკური სისუსტე და ამერიკის პოლიტიკურ კეთილ ნებას სკეპტიკურად უყურებდა, რაც მარშლის გეგმის ცხოვრებაში გატარებას გულისხმობდა.**

ორივე მხარე მზად იყო კონფრონტაციისთვის. არც ერთი მთავრობა არ ფიქრობდა სამხედრო მოქმედებების დაწყებაზე. ახალი ომის წინაშე ევროპა შიშს განიცდიდა. 1950 წლის ზაფხულამდე, როცა კორეაში ომი დაიწყო, ამ ორი მხარის არც ერთ ლიდერს კონფლიქტის მოგვარება ძალისმიერი მეთოდით არ უცდია, თუმცა 1947 წელს ღია დარჩა საკითხი **— შეძლებდა თუ არა ინგლის-ამერიკის გეგმა საბჭოთა კავშირის გარეშე ამუშავებას? სტალინი ყველანაირად შეეცადა, ამისათვის ხელი შეეშალა.**

1947-1948 წლებში ევროპაში არა მხოლოდ შიმშილისა და უმუშევრობის საფრთხე გაჩნდა, არამედ კომუნისტების მიერ საფრანგეთსა და იტალიაში ხელისუფლების ხელში ჩაგდებაც იყო მოსალოდნელი (იტალიაში — **პალმირო ტოლიატი**, საფრანგეთში — **მორის ტორეზი.** — გრ. ონიანი).

მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად სტალინს შეეძლო, ორ უძლიერეს კომუნისტურ პარტიას დაყრდნობოდა. იტალიაში, სადაც წინააღმდეგობის გაწევაში საფრანგეთის მსგავსად კომუნისტები თამაშობდნენ მთავარ როლს, პარტიის წევრების რაოდენობა ორ მილიონამდე გაზარდეს. საერთო ჯამში, ორივე პარტიის მიზანი ისეთი პირობების შექმნა იყო, როცა მთავრობა მათ გარეშე არსებობას ვერ შეძლებდა და ამ გზით მინისტრთა თანამდებობებს დაიბრუნებდნენ.

1948 წელი კიდევ სხვა მიზეზით იყო კრიტიკული. ნოემბერში ამერიკაში არჩევნები იყო დანიშნული. ყველა ამბობდა, რომ ტრუმენი დამარცხდებოდა. ამ შემთხვევაში, სტალინის გათვლით, მარშლის გეგმა და უსაფრთხოების პაქტი ნაგვის კალათში უნდა მოესროლათ. ამასთანავე, სტალინმა აღმოსავლეთ ევროპაზე კონტროლი გააძლიერა. ომის დასრულების შემდეგ პირველ ორ წელიწადს მხოლოდ იუგოსლავია და ალბანეთი წარმოადგენდნენ ერთპარტიულ კომუნისტურ სახელმწიფოებს, თუმცა კომუნისტის ხსენებას გაურბოდნენ და სახალხო ფრონტის და დემოკრატიულ ფრონტის სახელწოდებას მიმართავდნენ.

1947 წელს პოლონეთში გამართულ კონფერენციაზე სტალინმა საფრანგეთისა და იტალიის პარტიების ლიდერები გამოიძახა, დაფუძნდა კომუნისტური საინფორმაციო ბიურო (კომინფორმი). ყველა კომუნისტურ პარტიას ერთი გეზი ჰქონდა აღებული: „ყველა სფეროში ამერიკულ-იმპერიალისტური ექსპანსიისა და აგრესიის გეგმების ჩაშლა", რომლის იდეოლოგიური ბაზაც „ორი ბანაკის" სახელწოდებით ცნობილი თეზისი შეიქნა. ამ თეზისის ავტორი **ჟდანოვი** იყო: **„იმპერიალისტურ და ანტიდემოკრატიულ ბანაკს ძირითად მიზნად აქვს, ამერიკული იმპერიალიზმის მსოფლიოში ბატონობას შეუწყოს ხელი, დემოკრატია კი ფეხქვეშ გათელოს. და ეს იმ დროს, როცა ანტიიმპერიალისტური და დემოკრატიული ბანაკის ძირითადი მიზანი იმპერიალიზმის განადგურება და დემოკრატიის გამყარებაა, ფაშიზმის ნარჩენები კი ბოლომდე უნდა განადგურდეს".**



მოლოტოვი და ჯორჯ მარშალი




მარშლის გეგმა

კონფერენციაზე მოლოტოვი და მალენკოვიც იმყოფებოდნენ, რათა დარწმუნებულიყვნენ, რომ ეს, უბრალოდ, კომუნისტური ინტერნაციონალიზმის თვალსაზრისი არ იყო. ჟდანოვის მთავარი გამოსვლა ორგანიზაციის ახალ გამოცემაში სრულად იქნა დაბეჭდილი.

ლონდონში 25 ნოემბერს საგარეო საქმეთა მინისტრთა საბჭოს გახსნის მომენტისთვის საბჭოთა პროპაგანდული კამპანია მარშლის გეგმის წინააღმდეგ ამუშავდა. ამერიკულ პოლიტიკას კაპიტალიზმთან, იმპერიალიზმთან, ფაშიზმსა და ომთან აიგივებდნენ. ამის საპირისპიროდ საბჭოთა წინააღმდეგობა სოციალური სამართლიანობით, ეროვნული დამოუკიდებლობითა და დემოკრატიითა და მშვიდობით გამოიხატებოდა.

საბჭოთა კავშირს იმედი ჰქონდა, რომ საკმარისი ოპოზიციის მობილიზება შეეძლო, რათა დასავლეთის გეგმების ცხოვრებაში გატარება არ დაეშვა. მოლოტოვი კი მოლაპარაკებების გასაგრძელებლად დათმობებზე წასვლის აუცილებლობას ვერ ხედავდა. ის თვეები, რომლებიც 1947 წელს ლონდონში შეხვედრასა და 1949 წელს საფრანგეთში შეხვედრებს შორის გავიდა, სტალინისა და მისი მოკავშირეების ძალების გამოსაცდელად შესანიშნავი პერიოდი იყო. სტალინისა და დასავლეთში კიდევ ბევრის გასაკვირად, დასავლეთის სახელმწიფოების პოლიტიკური ნება საკმაოდ ძლიერი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ერთმანეთში არსებული უთანხმოება გადაელახათ და მათ შორის ნდობა კვლავ გაჩენილიყო. **არსებული მტკიცებულებები არ ადასტურებს, რომ სტალინს ომის დასასრულს ჰქონდა რაიმე გეგმა, რომელიც აღმოსავლეთ ევროპაში არსებულ კოალიციურ მთავრობებს კომუნისტური მონოპოლიებით შეცვლიდა და ერთიანი ფრონტის ქვეშ გააერთიანებდა. პირველ რიგში, მას ისეთი ხელმძღვანელები სჭირდებოდა, რომლებზეც იმედს დაამყარებდა, რომ ისინი საბჭოთა კურსით ივლიდნენ.** მაგრამ, როგორც დასავლეთის ლიდერები იყვნენ საკუთარ სახელში დემოკრატიული სისტემის წნეხის ქვეშ, სტალინიც დაკავშირებული იყო სტალინისეულ სისტემასთან, რომელიც მან საბჭოთა კავშირში შექმნა და მისგან გარკვეულ გავლენასაც განიცდიდა. ეჭვი და უნდობლობა ამ სისტემის არსი იყო და ის, რომ ომის შემდეგ სტალინს საბჭოთა სისტემის შესუსტება არც უცდია და მის გაძლიერებაზე დაიწყო ზრუნვა, იმაზე მეტყველებს, რომ აღმოსავლეთ ევროპაში სტალინის სისტემის გავრცელება მხოლოდ დროის საკითხი იყო. მარშლის წინადადება, სტალინის აზრით, სახიფათო პერსპექტივა იყო და მისი უარყოფის მთავარი მიზეზიც სწორედ ეს იყო. 1948 წლის დასაწყისში ორმა მოვლენამ — პრაღაში კომუნისტურმა გადატრიალებამ და საბჭოთა კავშირსა და იუგოსლავიას შორის ბზარის გაჩენამ — აჩვენა, რომ სტალინს სურდა, ნებისმიერი პარტია მარიონეტულ მდგომარეობამდე არ მიეყვანა. დღემდე არ არის დამტკიცებული, რომ 1948 წლის თებერვალში პრაღაში შექმნილი პოლიტიკური კრიზისი მოსკოვის მიერ იყო ორგანიზებული. **ჩეხოსლოვაკიაში მოწყობილმა გადატრიალებამ საზოგადოებრივ აზრზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია. რთული არ იყო იმის წარმოდგენა, რომ ის, რაც პრაღაში მოხდა, სულ მალე პარიზში ან რომში განმეორდებოდა.**

1948 წლის ბოლოს ანალოგიური სცენარი უნგრეთში, რუმინეთსა და ბულგარეთში განმეორდა. დეკემბერში კომინტერნის ვეტერანი ლიდერი **დიმიტროვი,** რომელიც ბულგარეთის მთავრობას მეთაურობდა, პარტიის სხდომაზე სიტყვით გამოვიდა და სახალხო დემოკრატიის ტარნსფორმაციის შედეგები განიხილა: **„საბჭოთა წყობა და სახალხო დემოკრატიული ფრონტი — ეს სახელმწიფოს მოწყობის ერთი და იგივე ფორმაა. ერთიცა და მეორეც პროლეტარიატის დიქტატურაზეა აგებული.** საბჭოთა გამოცდილება ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის ერთადერთ და საუკეთესო სახეს წარმოადგენს, ისევე, როგორც სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნებში", — თქვა მან. სულ მალე ეს ყველაფერი აღმოსავლეთ გერმანიაზე გავრცელდა. **იმ უხილავი კედლის მიღმა, რომელიც სტალინმა საბჭოთა კავშირი დანარჩენი სამყაროსგან გამოყო, ომის დამთავრებიდან ბოლო ხუთი წლის შემდეგ საოცარი ეკონომიკური აღმშენებლობა დაიწყო. ეკონომისტებს შორის ერთი აზრი არ არსებობს, რა როლი ითამაშა ამაში რეპარაციებმა, მაგრამ ბოლოს ყველა მივიდა დასკვნამდე, რომ: ომის შემდგომი აღორძინება და წარმოების საოცარი ზრდა პირადად სტალინის დამსახურება იყო და სხვა არაფერი.**

მართალია, ომმა უდიდესი გამოცდილება შესძინა საბჭოთა გამომგონებლებს, მაგრამ მშვიდობიანობის პერიოდში შეჯიბრების სტიმული, ცოტა არ იყოს, მინელდა, რამაც საბჭოთა მრეწველობას ტექნოლოგიური პროგრესის მხრივ ჩამორჩენისკენ უბიძგა. მაგალითად, ქიმიურ მრეწველობაში, პლასტიკური და სინთეტიკური მასალის წარმოებაში, ბუნებრივი აირის გამოყენებაში, რომლითაც რუსეთი განსაკუთრებით მდიდარია, აგრეთვე, კომპიუტერულ ტექნიკაში, მაგრამ ცივი ომის გაგრძელების საფრთხემ გვაჩვენა: რუსეთში საკმაოდ ნიჭიერი მეცნიერები არსებობდნენ, ბირთვული იარაღი რომ შეექმნათ და კოსმოსშიც გასულიყვნენ.

1949 წელს საბჭოთა კავშირში ატომური იარაღის გამოცდამ და შემდგომ წლებში კოსმოსური თანამგზავრების გაშვებამ თვითკმაყოფილი ამერიკელები შოკში ჩააგდო.

ქვეყნის მრეწველობის აღორძინების გარდა, სტალინს სოფლის მეურნეობის განვითარებაზეც უდიდესი გავლენა ჰქონდა. მას ეკუთვნის გრანდიოზული პროექტი სახელწოდებით „სტალინის გეგმა ბუნების ტრანსფორმაციის შესახებ", რომელიც 1948 წელს მიიღეს და მისი განხორციელება გლეხებსა და კოლმეურნეებს 1955 წელს უნდა დაესრულებინათ. სტალინმა, აგრეთვე, ხელი მოაწერა ოთხ სახელმწიფო დადგენილებას სერიიდან „სტალინის დიდი პროექტები", რომლებსაც ირიგაციისა და კომუნიკაციის საკითხები უნდა გაეუმჯობესებინა და რომლებიც ოთხი ახალი არხისა და ოთხი ახალი კაშხლის მშენებლობას ითვალისწინებდა.

იქნებ ეს ყველაფერი შეიგნონ უახლესი ისტორიის ქართველმა მკვლევარებმა, რომელთა აზრითაც, ომის შემდგომ პერიოდში სტალინი გამოთიშული (1946 წელს მიღებული ინსულტის გამო) იყო სახელმწიფო საქმეებს და დროს, ძირითადად, შავი ზღვისპირა აგარაკებზე მკურნალობასა და დასვენებას უთმობდა.

განათლება

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სკოლებში განხორციელებული მრავალრიცხოვანი რეფორმებიდან ერთ-ერთი იყო გიმნაზიებში სწავლის ხანგრძლივობის შემცირება 1 წლით. ადრე სწავლობდნენ 9 წლის განმავლობაში, ახლა — 8 წელი, მაგრამ გაკვეთილებისთვის განკუთვნილი საათების რაოდენობა არ შეცვლილა. შედეგად ბავშვები სკოლაში უფრო დიდხანს არიან, ვიდრე მათი მშობლები სამსახურებში. გაკვეთილებზე უფრო მეტი დრო ეთმობა პრეზენტაციებს POWERPOINT (პრეზენტაციის მომზადების პროგრამა)-ში, ვიდრე წიგნის კითხვას და ცოდნის მიღებას. სკოლებში, აგრეთვე, დაიწყეს მრავალრიცხოვანი ტესტების ჩატარება, თითქოს სასკოლო განათლების მიზანი ამ ტესტების კითხვებზე პასუხების გაცემა იყოს.**

# ევროპული განათლების სისტემა ღრმა კრიზისშია, ჩვენ კი ამ სისტემას უაპელაციოდ ვნერგავთ

**გერმანია ჯერ კიდევ ვერ გამოსულა შოკიდან, რომელშიც აღმოჩნდა მოსწავლეთა საგანმანათლებლო მიღწევების შეფასების საერთაშორისო პროგრამით (Programme for International, Student Assessment, PISA) გათვალისწინებული პირველი ტესტის შედეგების გამო. ტესტის შედეგებმა აჩვენა, რომ ქვეყანაში მოსწავლეთა განათლების დონე საშუალოზე დაბალია, მაგალითად, 15 წლის მოსწავლეები დაწყებითი კლასების მოსწავლეების დონეზე კითხულობენ ტექსტს და ვერ იგებენ წაკითხულის შინაარსს. აღსანიშნავია, რომ გერმანულ სკოლებში არ ტარდება ლიტერატურის გაკვეთილები. გიმნაზიებშიც კი ბავშვები მხოლოდ ორ თხელ წიგნს კითხულობენ წელიწადში, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ მოსწავლეებს არ აქვთ კითხვის გამოცდილება და ტექსტების გაანალიზების უნარი.**

ტესტის სამწუხარო შედეგები გამოიწვია ორგანიზაცია OECD-ის (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის) რეკომენდაციით განხორციელებულმა რამდენიმე რეფორმამ, რომელთა არსი განათლების მიღების სისტემიდან კომპეტენციის მიღების სისტემაზე გადასვლაა. საკითხმა იმის შესახებ, როგორი უნდა იყოს განათლება, გერმანელი საზოგადოება ორ ბანაკად გაყო.

კომპეტენციის შესწავლის ერთ-ერთი მომხრე, განათლების სამინისტროსთან ერთად, არის ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსი და პუბლიცისტი რიხარდ დევიდ პრეხტი. ის ამტკიცებს, რომ ბავშვი სკოლაში ნასწავლი მასალის ნახევარზე მეტს ივიწყებს, ამიტომ ასეთი მასალა არ უნდა ისწავლებოდეს. ამასთანავე, ის აღნიშნავს, რომ სკოლებში საგანმანათლებლო მიზნით google-ს საძიებო სისტემის გამოსაყენებლად აუცილებელია საბაზისო ცოდნა, სხვაგვარად ადამიანი, უბრალოდ, დაიკარგება ინფორმაციის უზარმაზარ ნაკადში.

პრეხტს, აგრეთვე, მიაჩნია, რომ სკოლაში მასწავლებლის როლი მინიმუმამდე უნდა შემცირდეს. პედაგოგმა მასალა ისე არ იცის, როგორც იციან მეცნიერებმა და უნივერსიტეტის მასწავლებლებმა, ამიტომ მათი მოსმენა არ ღირს. გაცილებით სასარგებლო იქნება საჭირო თემაზე ვიდეოს ნახვა Youtube-ში. ასეთ პოზიციაში აშკარად ჩანს დიდი IT-კონცერნების იდეოლოგიის გავლენა.

**კონრად ლისმანი** — ავსტრიელი ფილოსოფოსი, პროფესორი, ფილოსოფიისა და ეთიკის მასწავლებელი ვენის უნივერსიტეტში, განათლების სისტემის ახალი რეფორმების გააფთრებული კრიტიკოსია გერმანულენოვან ქვეყნებში: გერმანიაში, ავსტრიასა და შვეიცარიაში. მისი აზრით, ახალი რეფორმებით შეიძლება კომპეტენციის მიღება, მასწავლებლის როლი კი დეგრადირებულია პედაგოგის თავდაპირველ განსაზღვრებამდე ძველ საბერძნეთში, სადაც პედაგოგს უწოდებდნენ მონას, რომელსაც უნდა ეზრუნა 7 წლის ბიჭებზე — წაეყვანა ისინი სკოლაში და დაეცვა, გზაზე რამე რომ არ შემთხვეოდათ. არადა, მასწავლებელი, ლისმანის აზრით, თამაშობს უზარმაზარ როლს საგანმანათლებლო და აღმზრდელობით პროცესში.

სკოლაში მიღებული საბაზისო ცოდნა აფართოებს თვალსაწიერს და ადამიანი შეჰყავს სხვა სამყაროში. როგორც ცნობილი გერმანელი მოაზროვნე **ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი** მიიჩნევდა, ადამიანს, რომელმაც მიიღო კარგი განათლება და ისწავლა ფიქრი, შეუძლია სწრაფად აითვისოს ახალი პროფესია.



Youtube-ში შეიძლება მოიძებნოს ბევრი საინტერესო ლექცია, მაგრამ ეს ცალმხრივი აღქმაა, ასეთი სწავლებისას სრულიად გამორიცხულია დისკუსია და აზრის გაცვლა-გამოცვლა. შეიძლება მოისმინო უამრავი ლექცია ამა თუ იმ თემაზე და მათი აზრი ვერ გაიგო. **მასწავლებელს კი შეუძლია, მოსწავლეს უკარნახოს, რომელ ლექციას მოუსმინოს და რომელი წიგნი წაიკითხოს. ცნობილი ფაქტია, რომ Youtube-ს პლატფორმას მომხმარებელი ჰყავს ე.წ. საინფორმაციო ბუშტში, როცა მას სთავაზობს ვიდეოებს მსგავს თემებზე და ხშირად ერთი და იმავე თვალსაზრისით.**



კონრად ლისმანი

კომპეტენციის განსაზღვრება საკმაოდ აბსტრაქტულია. **თუ ერთი ადამიანი თავს სხვაზე კომპეტენტურად მიიჩნევს, ეს მსჯელობა საკმაოდ სუბიექტურია. მაგალითად, შვეიცარიის დაწყებითი კლასების სასწავლო გეგმის თანახმად, 6-დან 12 წლამდე მოსწავლეებმა 4500 კომპეტენცია უნდა აითვისონ. სასწავლო საათების გაანგარიშებით გამოდის, რომ თითოეული კომპეტენციის ასათვისებლად მოსწავლეს აქვს მხოლოდ 2 წუთი, რა შეიძლება აითვისოს მოსწავლემ 2 წუთში?**

„ასე შეიძლება ნებისმიერი მოქმედება დავიყვანოთ კომპეტენციამდე. მაგალითად, ბავშვმა დროის რაღაც მონაკვეთში შეიძლება ყურადღება გაამახვილოს მასწავლებელზე, როცა ის ლაპარაკობს. უნარი მნიშვნელოვანია, მაგრამ არც ისე მნიშვნელოვანი, რომ მას კომპეტენცია ვუწოდოთ“, — ამბობს ლისმანი. წიგნში **„უვიცობის თეორია: საზოგადოების შეცდომები ცოდნაში“** ის წერს, რომ ინფორმაცია არ უნდა ავურიოთ ცოდნაში. ინტერნეტში გამოქვეყნებული ზოგიერთი სტატიის ზედაპირული წაკითხვით შეუძლებელია საგნის ღრმად გაგება. შეუძლებელია, საბაზისო ცოდნის მიღების გარეშე განისაზღვროს, სტატია სერიოზულია თუ ის არის ფეიკი და ჩვეულებრივი პროპაგანდა. აქედან გამომდინარე, თანამედროვე საზოგადოება არ არის განათლებული, ის არის ინფორმაციისა და მონაცემების საზოგადოება.

განათლების დაყვანა მხოლოდ კომპეტენციების დაუფლებაზე კლავს ძირითად მიზანს — განვითარებას პიროვნებისა, რომელიც მზად იქნება, არა მხოლოდ თავისი წვლილის შესატანად მეცნიერების, ხელოვნების და, საერთოდ, ცივილიზაციის განვითარებაში, არამედ პასუხისმგებლობის დასაკისრებლად თავის საქციელზე კაცობრიობის წინაშე, ამიტომ სკოლის მოსწავლეებისთვის აუცილებელია არა მხოლოდ მათემატიკის, ფიზიკისა და ქიმიის, არამედ ლიტერატურის, ისტორიის, ფილოსოფიის, მუსიკისა და ხელოვნების გაკვეთილები.

## გაუაზრებელი რეფორმები

გერმანული განათლების სისტემის საკითხებში ყველაზე გამაღიზიანებელია ორი იტალიური სიტყვა — ეს არის **ბოლონია** (ბოლონიის დეკლარაცია 1999 წლის) და უკვე ხსენებული PISA (Programme for International, Student Assessment). ეს აბრევიატურა თანახმიანია სახელწოდების იტალიური ქალაქისა პიზა. **1999 წელს ბოლონიის ხელშეკრულებაზე ხელმოწერამ დიდი გავლენა იქონია გერმანიის უმაღლეს სასწავლებლებში გატარებულ რეფორმაზე. რეფორმის მიზანია ევროპაში უმაღლესი განათლების სისტემის სტანდარტიზაცია, რათა სტუდენტებს შეეძლოთ ერთი ქვეყნის უნივერსიტეტიდან მეორეში თავისუფლად გადასვლა, აგრეთვე, აღიარებული იყოს მათი დიპლომები და კვალიფიკაცია.**

შედეგად, გერმანიაში შემოიღეს **ბაკალავრიატისა** (სამწლიანი სწავლება) და **მაგისტრატურის** (ბაკალავრის დიპლომის მიღების შემდეგ 2-წლიანი სწავლება) სისტემა. ამის გამო უმაღლესი განათლების სისტემის დონე, გერმანელი პროფესორების აზრით, მკვეთრად დაეცა, სტუდენტების რაოდენობამ კი, რომლებმაც სწავლა მიატოვეს, მკვეთრად მოიმატა.

უნივერსიტეტმა უნდა მოამზადოს მეცნიერები და ჩაატაროს კვლევები, რეფორმების შედეგად კი უნივერსიტეტი უმწიფარი სპეციალისტების მომზადების კონვეიერად გადაიქცა. არასაკმარისი დაფინანსების გამო მაგისტრატურაში ადგილების რაოდენობა შეზღუდულია, ამიტომ სტუდენტების დიდი ▶

**1999 წელს ბოლონიის ხელშეკრულებაზე ხელმოწერამ დიდი გავლენა იქონია გერმანიის უმაღლეს სასწავლებლებში გატარებულ რეფორმაზე. რეფორმის მიზანია ევროპაში უმაღლესი განათლების სისტემის სტანდარტიზაცია, რათა სტუდენტებს შეეძლოთ ერთი ქვეყნის უნივერსიტეტიდან მეორეში თავისუფლად გადასვლა, აგრეთვე, აღიარებული იყოს მათი დიპლომები და კვალიფიკაცია. შედეგად, გერმანიაში შემოიღეს ბაკალავრიატისა (სამწლიანი სწავლება) და მაგისტრატურის (ბაკალავრის დიპლომის მიღების შემდეგ 2-წლიანი სწავლება) სისტემა. ამის გამო უმაღლესი განათლების სისტემის დონე, გერმანელი პროფესორების აზრით, მკვეთრად დაეცა, სტუდენტების რაოდენობამ კი, რომლებმაც სწავლა მიატოვეს, მკვეთრად მოიმატა**

განათლება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უნივერსიტეტმა უნდა მოამზადონ მეცნიერები და ჩაატაროს კვლევები, რეფორმების შედეგად კი უნივერსიტეტი უმწიფარი სპეციალისტების მომზადების კონვეიერად გადაიქცა. არასაკმარისი დაფინანსების გამო მაგისტრატურაში ადგილების რაოდენობა შეზღუდულია, ამიტომ სტუდენტების დიდი ნაწილი ბაკალავრის დიპლომით კმაყოფილია. ლაპარაკი არ არის სწავლის გაგრძელების სურვილზე — მხოლოდ 10% განაგრძობს სწავლას ევროპის სხვა ქვეყნების სასწავლებლებში.**

**ციფრული რევოლუციის ეპოქაში, როგორც ეს იყო ინდუსტრიალიზაციის ეპოქაში, განათლება პირველ ადგილზეა, მაგრამ თავისი სპეციფიკით. დიდი კორპორაციები მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის დაკარგვის შიშმა აიძულა, რადიკალური ცვლილებებისთვის შეეწყო ხელი განათლების სისტემაში. მსოფლიო პოლიტიკაზე უზარმაზარი გავლენის მქონე მსხვილი კორპორაციების წარმომადგენელთა აზრით, განათლების ძირითადი მიზანი არ უნდა იყოს ჰარმონიული პიროვნების აღზრდა, რომელსაც შეეძლება კრიტიკული აზროვნება და თავისი ინტერესების დაცვა, არამედ სწავლება და აღზრდა homo economicus-ისა, რაციონალური ადამიანის, რომელიც არის სამუშაო ძალის პროდუქტიული ნაწილი, ამართლებს ინვესტიციებს და რომლის მანიპულაცია ადვილად შეიძლება**

◀ ნაწილი ბაკალავრის დიპლომით კმაყოფილია. ლაპარაკი არ არის სწავლის გაგრძელების სურვილზე — მხოლოდ 10% განაგრძობს სწავლას ევროპის სხვა ქვეყნების სასწავლებლებში.

**სკოლებში განხორციელებული მრავალრიცხოვანი რეფორმებიდან ერთ-ერთი იყო გიმნაზიებში სწავლის ხანგრძლივობის შემცირება 1 წლით. ადრე სწავლობდნენ 9 წლის განმავლობაში, ახლა — 8 წელი, მაგრამ გაკვეთილებისთვის განკუთვნილი საათების რაოდენობა არ შეცვლილა. შედეგად ბავშვები სკოლაში უფრო დიდხანს არიან, ვიდრე მათი მშობლები სამსახურებში. გაკვეთილებზე უფრო მეტი დრო ეთმობა პრეზენტაციებს PowerPoint-ში (პრეზენტაციის მომზადების პროგრამა), ვიდრე წიგნის კითხვას და ცოდნის მიღებას. სკოლებში, აგრეთვე, დაიწყეს მრავალრიცხოვანი ტესტების ჩატარება, თითქოს სასკოლო განათლების მიზანი ამ ტესტების კითხვებზე პასუხების გაცემა იყოს.**

ალსანიშნავია, რომ ტესტების მომზადება და ჩატარება გადასახადების გადამხდელთა ჯიბიდან ფინანსდება. მსოფლიოში სკოლის მოსწავლეთა ტესტირების აუცილებლობა, სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებისა და უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებელთა აზრით, ძალიან საეჭვოა. გლობალიზაცია და სტანდარტიზაცია არ იწვევს განათლების ხარისხის გაუმჯობესებას, ის მხოლოდ ამდიდრებს ტესტების მომზადებისა და ჩატარების ინდუსტრიას.

## ციფრული ტექნოლოგიები სკოლებში

2019 წლის დასაწყისში მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება სკოლებში ციფრული ტექნოლოგიების დასანერგავად 5 მლრდ დოლარის გამოყოფის თაობაზე. ეს ფული უნდა დახარჯულიყო სწავლებისთვის განკუთვნილი ციფრული საშუალებების შესაძენად. გერმანელი ნეირობიოლოგები შიშობენ, რომ სკოლების ე.წ. გაციფრულებამ შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს ბავშვის ტვინზე. მაგალითად, **ნეირობიოლოგი, პროფესორი გერტრაუდ ტოიშერ-ნუდტი ამტკიცებს, რომ 14 წლამდე ბავშვების მიერ სმარტფონებისა და პლანშეტების გამოყენებამ შეიძლება დაარღვიოს კავშირი (სისტემა 1 და სისტემა 2 — კინემანის მიხედვით „იფიქრე ნელა, გადაწყვიტე სწრაფად“) აზროვნების სწრაფ ინტუიციურ და ნელ რაციონალურ სისტემებს შორის.**

წახალისების სისტემის წყალობით, რომელიც გამოიყენება ციფრული მოწყობილობებით მუშაობისას (ე.წ. სმაილიკები და სხვა წამახალისებელი სიმბოლოები), აგრეთვე, სურათებისა და ინფორმაციის სწრაფი ცვლილების შედეგად, ბავშვის ტვინში ირღვევა ბიოქიმია და დროისა და სივრცის აღქმა. ბავშვი კარგავს აზროვნებას და ერთ საქმეზე დიდხანს კონცენტრირების უნარს, მაგალითად, გრძელი ტექსტების კითხვის. ნეირობიოლოგ ტოიშერ-ნუდტის აზრით, რაღაც მომენტში სწრაფ ინტუიციურ და ნელ რაციონალურ აზროვნებებს შორის კარი სამუდამოდ დაიხურება და მივიღებთ იდიოტების თაობას.



ასეთი შინაარსის განცხადებები სრულიად არ აღელვებს განათლების სამინისტროს. საგანმანათლებლო რეფორმის ჩატარებისას არასოდეს ითვალისწინებენ იმ მასწავლებლებისა და აღმზრდელების აზრს, რომლებიც ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების აღზრდას ცდილობენ. იმ კორპორაციების აზრისგან განსხვავებით, რომლებიც ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში (როდესაც ბევრი ინტელექტუალური სამუშაოს შესრულება შეუძლია მანქანებს) დაინტერესებულნი არიან ისეთი მომხმარებლების აღზრდით, რომლებსაც ყველაზე მეტი, რაც შეეძლებათ, არის ის, რომ წაიკითხონ რომელიმე საგნის ექსპლუატაციის ინსტრუქცია.

**«ზუსტად არავინ იცის, რა გველის მომავალში. ეს ადამიანებმა არც ადრე იცოდნენ. ბავშვებს უნდა ვასწავლოთ ის, რაც ვიცით თვითონ, ეს კი არის ისტორია, ლიტერატურა, ფილოსოფია, მათემატიკა და ა.შ. მცდელობა, ასწავლო ბავშვებს ის, რაც თვითონ არ იცი — ეს მოტყუებაა»**



ონლაინგაზეთ Deutschlandfunk-ში ცოტა ხნის წინათ გამოქვეყნებულ სტატიაში იყო ცნობა იმის შესახებ, რომ 30-დან 20 გერმანული DAX-კორპორაცია (Deutsher Altienindex — გერმანიის უმნიშვნელოვანესი საფონდო ინდექსი) სპონსორია სხვადასხვა სასკოლო ღონისძიებისა და სასკოლო სახელმძღვანელოებისა, რომელთა შინაარსსაც არავინ ამოწმებს.



ცნობილი 4k: კრიტიკული აზროვნება, კრეატიულობა, კომუნიკაცია და კოოპერაცია.

ბოლო პერიოდში ძალიან პოპულარულია მტკიცება იმისა, რომ სწრაფად ცვალებადი მსოფლიოსთვის აუცილებელია განსაკუთრებული განათლება. ორგანიზაცია OECD-I, დიდი კომპანიების ზეგავლენით, ამერიკული განათლების პროპაგანდას ეწევა ევროპაში. გერმანული განათლების სისტემის ამერიკანიზაციის ერთ-ერთი ინიციატორია ჰამბურგელი მათემატიკოსი **ანდრეას შლიაიხერი.** სწორედ ის იყო გერმანიის, შვეიცარიისა და ავსტრიის სკოლებში ტესტ PISA-ს შემოღების ინიციატორი. **მის მტკიცებას, რომ მომავალში ბავშვებს აღარ დასჭირდებათ ცოდნა, რომელსაც ბოლო 50 წლის განმავლობაში იღებდნენ სკოლაში, ხოლო საკვანძო კომპეტენციები იქნება კრიტიკული აზროვნება, კრეატიულობა, კომუნიკაცია და კოოპერაცია, აკრიტიკებს ზემოხსენებული კონრად ლისმანი: „უწინარესად, ზუსტად არავინ იცის, რა გველის მომავალში. ეს ადამიანებმა არც ადრე იცოდნენ. ბავშვებს უნდა ვასწავლოთ ის, რაც ვიცით თვითონ, ეს კი არის ისტორია, ლიტერატურა, ფილოსოფია, მათემატიკა და ა.შ. მცდელობა, ასწავლო ბავშვებს ის, რაც თვითონ არ იცი — ეს მოტყუებაა“.**

4 კომპეტენციის წარმოჩენა რაღაც განსაკუთრებულ სიახლედ, ლისმანის აზრით, არაეთიკურია, ეს არის შეცდომა. ეს ჰგავს იმას, რომ ამტკიცო: ადამიანებს ადრე არ ჰქონდათ კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, არ იყვნენ კრეატიულები და არ ცდილობდნენ კოოპერაციას. ეს რომ არ ყოფილიყო, კაცობრიობა ვერ განვითარდებოდა. **კრიტიკული აზროვნებისა და კრეატიულობისთვის აუცილებელია ცოდნა, გრძელი ტექსტების კითხვის უნარი, კონცენტრაცია და სხვადასხვა მოვლენას შორის ურთიერთკავშირის პოვნა.**

ციფრული რევოლუციის ეპოქაში, როგორც ეს იყო ინდუსტრიალიზაციის ეპოქაში, განათლება პირველ ადგილზეა, მაგრამ თავისი სპეციფიკით. დიდი კორპორაციები მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის დაკარგვის შიშმა აიძულა, რადიკალური ცვლილებებისთვის შეეწყო ხელი განათლების სისტემაში. მსოფლიო პოლიტიკაზე უზარმაზარი გავლენის მქონე მსხვილი კორპორაციების წარმომადგენელთა აზრით, განათლების ძირითადი მიზანი არ უნდა იყოს ჰარმონიული პიროვნების აღზრდა, რომელსაც შეეძლება კრიტიკული აზროვნება და თავისი ინტერესების დაცვა, არამედ სწავლება და აღზრდა homo economicus-ისა, რაციონალური ადამიანის, რომელიც არის სამუშაო ძალის პროდუქტიული ნაწილი, ამართლებს ინვესტიციებს და რომლის მანიპულაცია ადვილად შეიძლება.

**ედვარდ ბერნეისი**, ერთ-ერთი წამყვანი პიარსპეციალისტი, 1928 წელს დაწერილ წიგნში „პროპაგანდა“ ამტკიცებდა: რაც შეეხება ეთიკას, პროპაგანდის მიმართ ვითარება განათლებაში ისეთივეა, როგორც ბიზნესში ან პოლიტიკაში. მას იყენებენ ბოროტი განზრახვით. შეუძლიათ, რეკლამა გაუწიონ ამა თუ იმ სასწავლო დაწესებულებას და საზოგადოებას შთააგონონ, რომ ხელოვნურად შექმნილი ფასეულობები ნამდვილი ფასეულობებია. იმის გარანტია, რომ ასე არ მოხდება, არ არსებობს“.

**vestitinance.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**

**გიორგი გაჩეჩილაძე**

მულტიკულტურიზმის კრახი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დღეს ეთნიკური დანაშაულების პრობლემის მოგვარებას ცდილობს გერმანიაც. ყველაფერი დაიწყო სისხლის სამართლის საქმეთა პოლიციის ხელმძღვანელის, ანდრე შულცის განცხადებით, რომ „მთავრობა დიდი ხნის განმავლობაში ასულელებდა გერმანიის მოქალაქეებს", როცა მათ აბსოლუტურად შეუსაბამო სტატისტიკას აწვდიდა. მაგალითად, იუწყებოდნენ, რომ 2015 წელს მიგრანტებმა გერმანიაში ჩაიდინეს დაახლოებით 200 ათასი დანაშაული, თანაც ჰამბურგში, ბრემენსა და ჩრდილოეთ რეინ-ვესტფალიაში ჩადენილი დანაშაულები, საერთოდ, არ იყო შეტანილი მონაცემებში. რიცხვი 200 ათასი კი მხოლოდ გახსნილი დანაშაულების რაოდენობას ასახავდა. გახსნილი დანაშაულები კი, ჩეულებრივ, ჩადენილი დანაშაულების რაოდენობის ნახევარზე მეტი არ არის.**

# სადამდე მიიყვანა ევროპა «ტოლერანტობამ» და მულტიკულტურიზმმა

## მიგრანტების მიერ ევროპაში ჩადენილი დანაშაულების მასშტაბები გამაოგნებელია

**ევროპის ყველაზე ლიბერალურად განწყობილი პოლიტიკოსებიც კი აღიარებენ, რომ მათ ქვეყნებში დამთრგუნველი კრიმინალური ვითარების მიზეზი უკონტროლო მიგრაციაა. ევროპული ტოლერანტობის ერთ-ერთმა ბურჯმა — შვედეთმა — პირველად გამოაქვეყნა შემაშფოთებელი სტატისტიკა დანაშაულებისა, რომლებიც სამხრეთიდან ჩასულებმა ჩაიდინეს. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ევროპული ქვეყნების ხელისუფლებები ამ მოვლენას ვერაფერს უპირისპირებენ.**

შვედეთის პრემიერმინისტრმა, ლიბერალმა პოლიტიკოსმა **სტეფან ლევენმა** რამდენიმე დღის წინათ მიცემულ ინტერვიუში თავის კარიერაში პირველად ისაუბრა იმაზე, რომ ქვეყანაში ძალადობრივი დანაშაულების საშინელი მატება გამოწვეულია ინტეგრაციის წარუმატებლობით.

**მკვლელობების, სროლებისა და აფეთქებების რაოდენობა შვედეთში დამთრგუნველი ტემპით მატულობს. მხოლოდ ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით ჩადენილი მკვლელობების რაოდენობამ სამჯერ მოიმატა 2010-2019 წლებში. მეტიც — მიგრანტების ბანდები თავისუფლად გადადიან შვედეთიდან დანიაში. ნოემბრის დასაწყისში დანიის ხელისუფლება იძულებული შეიქნა, დაეხურა საზღვარი შვედეთთან — ეს მოხდა პირველად 1950 წელს. მიზეზი იყო 13 აფეთქება და ორი მკვლელობა დანიაში. ამ დანაშაულებში ეჭვმიტანილები არიან მიგრანტების კლანის წარმომადგენლები. 2018 წელს კი შვედეთში სულ აღირიცხა აფეთქების 160 შემთხვევა. მემარჯვენე პარტიების წარმომადგენლები დარწმუნებულები არიან, რომ ეს აფეთქებები მიგრანტებმა მოაწყვეს.**

მეორე მნიშვნელოვანი თემა, რომელსაც შეეხო მემარჯვენე-ლიბერალი პოლიტიკოსი სტეფან ლევენი, არის ორგანიზებული დანაშაული. სტოკჰოლმისა და მალმეს არც ერთი მცხოვრებისთვის საიდუმლო არ არის, რომ ეთნიკურ გეტოებში ყველაფერს აკონტროლებს რამდენიმე გავლენიანი კრიმინალური კლანი, თანაც ამ კლანების ინტერესები გეტოს ფარგლებს სცილდება.

**აფრიკული და ახლოაღმოსავლური კრიმინალური დაჯგუფებები ქვეყნის თითქმის ყველა დიდ ქალაქში აკონტროლებენ ნარკოვაჭრობას, პროსტიტუციას, საბუკმეიკერო კანტორებს, ფულს სძალავენ მცირე ბიზნესს. ბოლო პერიოდში მოდურ თემად იქცა ადამიანების ტრაფიკი — არალეგალი მიგრანტების გადაყვანით მიღებული შემოსავალი ნარკოტიკების ვაჭრობიდან მიღებულ შემოსავალს გაუტოლდა.**

ამ თემებზე ლაპარაკი შვედეთში აქამდე, პრაქტიკულად, შეუძლებელი იყო. დანაშაულის სტატისტიკა ჩამდენთა ეროვნების მითითებით არ გამოქვეყნებულა 2005 წლიდან. 2016 წელს პარტია „შვედი დემოკრატების" წარმომადგენლებმა მოითხოვეს ამ მონაცემების გამოქვეყნება, მაგრამ საპარლამენტო უმრავლესობამ დაბლოკა ეს ინიციატივა. ვითარება რამდენადმე გამოააშკარავა გაზეთ Dagens Nyheter-ის გამოძიებამ: მან **2017 წელს გამოავლინა, რომ ცეცხლსასროლი იარაღით ჩადენილი დანაშაულების 90% მიგრანტებმა ჩაიდინეს.**

დანაშაულის პროფილაქტიკის შესახებ შვედეთის ეროვნული საბჭოს მოხსენებაში მოყვანილია სრულიად არაპოლიტკორექტული ციფრები, რომელთა მიხედვით ჩრდილოეთ აფრიკიდან წამოსულებმა 23-ჯერ მეტი ქალი გააუპატიურეს, ვიდრე მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენლებმა. ჯგუფური გაუპატიურება, ეს შვედეთისთვის აქამდე უცნობი დანაშაულის სახეობა, მიგრანტებმა შეიტანეს ქვეყანაში.

2016 წლიდან სტოკჰოლმის პოლიციაში მოქმედებს ინსტრუქცია, რომელიც კრძალავს დანაშაულში ეჭვმიტანილის აღწერილობის გამოქვეყნებას. დედაქალაქის პოლიციის პრესსამსახურებმა ჩათვალეს, რომ სიტყვიერი პორტრეტები გააღვივებს რასისტულ განცდებს. შესაბამისად, თემას კრიმინალურ კლანებზე, რომლებიც შვედეთის ქალაქების რაიონების უმრავლესობას აკონტროლებენ, ტაბუ დაადეს. თითქოს შვედეთში არ ყოფილა ორგანიზებული ეთნიკური დანაშაული, სანამ პრემიერმინისტრმა არ აღიარა მისი არსებობა.

**დღეს ეთნიკური დანაშაულების პრობლემის მოგვარებას ცდილობს გერმანიაც. ყველაფერი დაიწყო სისხლის სამართლის საქმეთა პოლიციის ხელმძღვანელ ანდრე შულცის განცხადებით, რომ „მთავრობა დიდი ხნის განმავლობაში ასულელებდა გერმანიის მოქალაქეებს", როცა მათ აბსოლუტურად შეუსაბამო სტატისტიკას აწვდიდა. მაგალითად, იუწყებოდნენ, რომ 2015 წელს მიგრანტებმა გერმანიაში ჩაიდინეს დაახლოებით 200 ათასი დანაშაული, თანაც ჰამბურგში, ბრემენსა და ჩრდილოეთ რეინ-ვესტფალიაში ჩადენილი დანაშაულები არ იყო შეტანილი მონაცემებში. რიცხვი 200 ათასი კი მხოლოდ გახსნილი დანაშაულების რაოდენობას ასახავდა; გახსნილი დანაშაულები კი, ჩეულებრივ, ჩადენილი დანაშაულების რაოდენობის ნახევარზე მეტი არ არის.**

სტატისტიკური მონაცემების მიმართ ყალთაბანდობის შემდეგ გერმანიის პოლიციამ გაბედა რეალური ციფრების გამოქვეყნება. ამ ციფრებმა შეაშფოთა კეთილსინდისიერი ბიურგერები. სისხლის სამართლის ფედერალური პოლიციის ანგარიშის მიხედვით, 2013-2016 წლებში სექსუალურ ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულების რაოდენობამ 5-ჯერ მოიმატა. სექსუალურ ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულების ნახევარზე მეტი მიგრანტების ანგარიშზეა, მიგრანტები კი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოსახლეობის მხოლოდ 5%-ს შეადგენენ.

**მრავალი წლის განმავლობაში პირველად აღიარა ხელისუფლებამ ის, რაც კარგა ხნის წინათ იყო ცნობილი თითოეული ბერლინელისთვის ან ბრემენელისთვის: ცხოვრებას გერმანიის დიდ ქალაქებში,**




**სტატისტიკური მონაცემების მიმართ ყალთაბანდობის შემდეგ გერმანიის პოლიციამ გაბედა რეალური ციფრების გამოქვეყნება. ამ ციფრებმა შეაშფოთა კეთილსინდისიერი ბიურგერები. სისხლის სამართლის ფედერალური პოლიციის ანგარიშის მიხედვით, 2013-2016 წლებში სექსუალურ ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულების რაოდენობამ 5-ჯერ მოიმატა. სექსუალურ ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულების ნახევარზე მეტი მიგრანტების ანგარიშზეა, მიგრანტები კი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოსახლეობის მხოლოდ 5%-ს შეადგენენ**



**უწინარესად, დედაქალაქში, პრაქტიკულად, სრულიად აკონტროლებს დაახლოებით 50 კრიმინალური კლანი, რომელთა წევრებიც, ძირითადად, ლიბანელი, პალესტინელი ან ჩრდილო-აფრიკელები არიან. ბერლინის რაიონები: ნოიკელნი, მოაბიტი, შარლოტენბურგი, კროიცბურგი, უკვე დიდი ხანია, მიგრანტების „მამულად" იქცა.**

ცოტა ხნის წინათ გფრ-ის პოლიციამ ბანდების მიმართ „ნულოვანი ტოლერანტობის" რეჟიმი გამოაცხადა, მაგრამ ხმაურიანი დასაწყისი მხოლოდ ორგანიზებული დანაშაულის ბანდების რიგითი წევრების დაპატიმრებით დასრულდა. დამნაშავეთა დაჯგუფებების მეთაურები კი კვლავაც ტკბებიან თავისუფლებითა და სიმდიდრით. მთავრობა ვერ ბედავს, ხელი ახლოს მათ მდიდრულ ვილებს, უძვირფასეს ავტომობილებსა და საბანკო ანგარიშებს.

**ბოლო პერიოდში ეთნიკური ორგანიზებული დანაშაულის ჯგუფები ძალიან გამდიდრდნენ არალეგალი მიგრანტების ხარჯზე — თავდაპირველად თანამემამულეები ფულის სანაცვლოდ გადაჰყავდათ გერმანიაში სირიიდან, ლიბანიდან, ერაყიდან, ავღანეთიდან, ჩრდილოეთ აფრიკიდან. შემდეგ კი მათ ან თავიანთ „ბოევიკებად" აქცევდნენ, ან მონებად, რომლებსაც კაპიკებისთვის ამუშავებდნენ.**

იმ პერიოდში, როცა პოლიცია თვალს ხუჭავდა ეთნიკური ორგანიზებული დანაშაულის დაჯგუფებების არსებობაზე, რადგან არაპოლიტკორექტულობაში დადანაშაულების ეშინოდა, კრიმინალურმა ავტორიტეტებმა უზარმაზარი კაპიტალი დააგროვეს და სოციალური კავშირებისთვის არხებიც გაჭრეს. **ისინი დაუმეგობრდნენ პოლიტიკოსებს, იურისტებს, ჟურნალისტებს, შოუბიზნესის წარმომადგენლებს. დღეს ისინი პრაქტიკულად მოწყვლადი არ არიან მართლმსაჯულებისთვის და ნელ-ნელა ხდებიან მასობრივი კულტურის ვარსკვლავები. მაფიოზურ არაბულ კლანზე გერმანიაში ტელესერიალებიც კი გადაიღეს — „ოთხი კვარტალი".**

2017 წელს მსოფლიომ შეიტყო ბერლინის მუზეუმ ბოდეს გაძარცვის შესახებ. ბოროტმოქმედებმა მუზეუმიდან წაიღეს უნიკალური ოქროს მონეტა „ნეკერჩხლის ფოთოლი", რომლის წონა 100 კგ-ზე მეტია და 4 მლნ ევრო ღირს. ვიდეოთვალის ჩანაწერების წყალობით, მალე დაადგინეს მძარცველების ვინაობა. ისინი იყვნენ **რემოს** ლიბანური მაფიოზური კლანის წევრები. ამ კლანის მეთაურ **ისას** 13 შვილი ჰყავს. ისინი ეჭვმიტანილები იყვნენ მრავალი დანაშაულის ჩადენაში, მაგრამ თითქმის ყველა დაუსჯელი დარჩა. წლის დასაწყისში რემოს ნათესავები, რომლებმაც ოქროს მონეტა მოიპარეს, დააპატიმრეს, მაგრამ ოჯახმა დაიქირავა 8 ყველაზე ძვირად ღირებული გერმანელი ადვოკატი და მათ იოლად მიაღწიეს დამნაშავეთა გათავისუფლებას გირაოს ნაცვლად. დღეს კი ამბობენ, რომ სასამართლოში არ შეიძლება ვიდეოჩანაწერის მტკიცებულებად გამოყენება, რადგან მასზე მკაფიო გამოსახულება არ არის. საზოგადოება ხედავს, რომ სისხლის სამართლის საქმე მათ თვალწინ ნელ-ნელა ინგრევა.

დღეს ევროპაში დამნაშავეთა ეთნიკურ დაჯგუფებებს დიდი გავლენა აქვთ. ადგილობრივი პოლიცია მათ ვერ გაუმკლავდება, თუნდაც დაივიწყოს ტოლერანტობა და მულტიკულტურიზმი. „ბერლინის საქმე წასულია, — ამტკიცებს გაზეთ Welt-ისთვის მიცემულ ინტერვიუში უსაფრთხოების საკითხების სპეციალისტი **მიხაელ კური**. — კლანები აკონტროლებენ კრიმინალური აქტიურობის ყველა სფეროს. ჩვენ ველარ შევძლებთ იმ ვითარების დაბრუნებას, რომელიც იყო 20 წლის წინათ. ამასთანავე, ორგანიზებული დანაშაულის ჯგუფების წევრები უკვე ძალიან სახიფათო არიან და მათ სრულიად დაკარგეს ხელისუფლებისადმი პატივისცემა".

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

**ბევრი პოლონელის, ჩეხის, უნგრელის თვალში ბრიუსელის ბიუროკრატია არის უსაქმურების ჯგუფი, რომელიც თავს ესხმის დამოუკიდებელი ერების ტრადიციებს. თუ რამდენადმე შელახულ თავმოყვარეობასა და საეჭვოდ ეფექტიან ევრობიუროკრატებს დაემატება ევროკავშირის წევრობით გამოწვეული ეკონომიკური მიზანშეუწონლობა, მაშინ ვლადიმერ პუტინის პროგნოზი, დიდი ალბათობით, ახდება.**

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# პუტინი შიშობს, რომ ევროკავშირი მალე დაიშლება

**რუსეთის პრეზიდენტმა რამდენიმე დღის წინათ იწინასწარმეტყველა ევროკავშირის დაშლა და ვადაც კი დაასახელა — „2028 წლამდე“. მისი აზრით, ბრიტანეთის გზას შეიძლება დაადგეს აღმოსავლეთ ევროპის რამდენიმე ქვეყანა. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ასეთი რამ წარმოუდგენელი იყო, მაგრამ ახლა ყველაფერი ძალიან რეალურია.**



როდესაც **ვლადიმერ პუტინი** ამბობს, რომ ბრიტანეთის გასვლით ევროკავშირის დაშლა შეიძლება არ დასრულდეს, ეს სულაც არ არის ნიშნის მოგებით ნათქვამი, პირიქით: რუსეთს არ სურს, ევროკავშირს ასეთი ბედი ხვდეს წილად, მას სურს, ის პარტნიორად იხილოს. ამისთვის არსებობს რამდენიმე მიზეზი.

**„ჩვენ დაინტერესებულნი ვართ, რომ ყველაფერი შენარჩუნდეს და ეფექტიანად ფუნქციობდეს,** — აღნიშნა რუსეთის სახელმწიფო მეთაურმა, — **ჩვენ შეშფოთებით ვაკვირდებით იმას, რაც იქ ხდება“.**

პუტინის აზრით, ევროკავშირის დეზინტეგრაციის მიზეზი შეიძლება იყოს ეკონომიკა, თანაც არა ეკონომიკური კრიზისი, არამედ ეკონომიკის მატება ევროკავშირის აღმოსავლეთ საზღვრებთან. ლოგიკა აქ გამჭვირვალეა: **სანამ ბრიუსელი აფინანსებს განვითარების სხვადასხვაგვარ პროგრამებს და დოტაციებს მიმართავს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, რომლითაც სურს ჩამორჩენის შემცირება ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის ქვეყნებსა და „ბებერ ევროპას“ შორის, პოლონეთისთვის, უნგრეთისა და სხვა ქვეყნებისთვის ხელსაყრელია ევროკავშირის შემადგენლობაში ყოფნა. მაგრამ, როგორც კი ეს ქვეყნები რეციპიენტიდან დონორებად გადაიქცევიან და იძულებულნი იქნებიან, შეკვეცონ თავიანთი სახსრები ჩამორჩენილთა მხარდასაჭერად, მათ შეიძლება გაუქრეთ ევროკავშირში ყოფნის სურვილი.** მოვლენების ასეთი განვითარება კი გამორიცხული არ არის, ეს მხოლოდ დროის ამბავია და ცხადია, რომ ბრექსიტი დააჩქარებს ევროკავშირის დაშლის თარიღის მოახლოებას, ბრიტანეთი ხომ ერთ-ერთი დონორი იყო?

ამჟამად აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიკები უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე დასავლეთის, გამონაკლისია ჯუჯა სახელმწიფოები და ოფშორული **ირლანდია**, რომელიც დღეს ლიდერთა შორისაა. ყოფილ საბჭოთა ბლოკში ეკონომიკის ყოველწლიური მატება 3-დან 5 პროცენტამდეა, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში — საუკეთესო შემთხვევაში 2%, ხოლო დიდ ეკონომიკებში — 1%.

თუ არ ჩავთვლით შედარებით წარმატებულ **ესტონეთს**, ყველაზე კარგად საქმე აქვს **უნგრეთს** (იქ ეკონომიკის მატება 5%-ია), **პოლონეთს, ჩეხეთსა** და **სლოვაკეთს** — ამ ქვეყნების მოსახლეობა უკვე ავიდა, მაღალ თუ არა, სულ ცოტა, დამაკმაყოფილებელ დონეზე შემოსავლების მიხედვით. საოცარი დამთხვევა: სახელდობრ, **ეს სახელმწიფოები არიან იმ პოლიტიკურ გაერთიანებაში, რომელიც ოფიციალური ბრიუსელის ხისტი ოპონენტია. ლაპარაკია ვიშეგრადის ჯგუფზე, რომელიც 1991 წელს შეიქმნა.**

ბედის ირონიით, იმხანად ეს ქვეყნები გაერთიანდნენ, რათა ერთმანეთისთვის მხარი დაეჭირათ და ერთად შესულიყვნენ ევროკავშირში, მაგრამ დროება შეიცვალა: ახლა ეს კვარტეტი მწვავედ აკრიტიკებს ბრიუსელს მიგრაციული პოლიტიკის გამო, ევრომალალჩინოსნებს კი — „სუვერენული ქვეყნების საშინაო საქმეებში დაუსაბუთებლად ჩარევის გამო“. ვიშეგრადის ჯგუფის 4-დან 3 ქვეყანაში ხელისუფლება ევროსკეპტიკოსთა ხელშია. **პოლონეთში** ეს არის პარტია „სამართალი და სამართლიანობა“, რომელმაც დიდი უპირატესობით მოიგო ბოლო არჩევნები კონსერვატიული ლოზუნგებით, პოლონური ნაციონალიზმითა და ბერლინ-ბრიუსელის კრიტიკით.

**სანამ ბრიუსელი აფინანსებს განვითარების სხვადასხვაგვარ პროგრამებს და დოტაციებს მიმართავს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, რითაც სურს ჩამორჩენის შემცირება ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის ქვეყნებსა და «ბებერ ევროპას» შორის, პოლონეთისთვის, უნგრეთისა და სხვა ქვეყნებისთვის ხელსაყრელია ევროკავშირის შემადგენლობაში ყოფნა, მაგრამ, როგორც კი ეს ქვეყნები რეციპიენტიდან დონორებად გადაიქცევიან და იძულებული იქნებიან, შეკვეცონ თავიანთი სახსრები ჩამორჩენილთა მხარდასაჭერად, მათ შეიძლება გაუქრეთ ევროკავშირში ყოფნის სურვილი**



**უნგრეთში** პოზიციებს არ თმობს **ვიქტორ ორბანი** თავის პარტია „ფიდესთან“ ერთად. ორბანს „ევროკავშირის პუტინსა“ და „გლობალისტ სოროსის მთავარ მტერს“ ეძახიან.

**ჩეხეთში** კი წარმატებით ავსებენ ერთმანეთს ექსცენტრიკული და რუსეთისადმი აშკარა სიმპათიით განწყობილი პრეზიდენტი **ზემანი** და პრემიერი **ბაბიში.**

ამ განსხვავებულ ქვეყნებს აერთიანებთ ის, რომ ისინი ჩამოყალიბდნენ და მივიდნენ დღევანდელ მდგომარეობამდე, სახელდობრ, როგორც ნაციონალური სახელმწიფოები, რომლებიც აფასებენ ისეთ ცნებებს, როგორიც არის სუვერენიტეტი. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ლიბერალი ჩეხები უკვე მეორედ ირჩევენ ისეთ პრეზიდენტს, რომელიც დემონსტრაციულად არ იყენებს ევროკავშირის დროშას, მიუხედავად იმისა, რომ კანონი ავალდებულებს.

ბევრი პოლონელის, ჩეხის, უნგრელის თვალში ბრიუსელის ბიუროკრატია არის უსაქმურების ჯგუფი, რომელიც თავს ესხმის დამოუკიდებელი ერების ტრადიციებს.

თუ რამდენადმე შელახულ თავმოყვარეობასა და საეჭვოდ ეფექტიან ევრობიუროკრატებს დაემატება ევროკავშირის წევრობით გამოწვეული ეკონომიკური მიზანშეუწონლობა, მაშინ ვლადიმერ პუტინის პროგნოზი, დიდი ალბათობით, ახდება.

იმაზე, რომ ევროკავშირში სტრუქტურული კრიზისია, ევროკავშირის შიგნითაც არავინ დავობს. ბევრი ქვეყნის მოსახლეობა ამოწმებს ამ კონსტრუქციას სიმტკიცეზე და ევროსკეპტიკოსების გამარჯვება არჩევნებში შიგნიდან უფრო ეფექტიანი ჩანს, ვიდრე დიდი ბრიტანეთის წასვლა თავისუფალ ცურვაში.




# კეთილმეზობლობის ფასი: მოლდოვა რუსულ ბუნებრივ აირს იაფად მიიღებს

**მოლდოვის პრეზიდენტმა იგორ დოდონმა ტელეარხ „მოლდოვა 1“-ისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ახალმა პრემიერმინისტრმა იონ კიკუმ ერთ კვირაში იმაზე მეტი გააკეთა რუსეთთან სტრატეგიული პარტნიორობის აღსადგენად, რამდენიც მისმა წინამორბედებმა წლების განმავლობაში.**

ერთ კვირაზე ნაკლებია, რაც კიკუს მთავრობა მუშაობს. 20 ნოემბერს პრემიერი ჩავიდა მოსკოვში, პირველად ბოლო 7 წლის განმავლობაში, სადაც მოილაპარაკა 4 ძალიან მნიშვნელოვან საკითხზე.

დოდონმა აღნიშნა, რომ მიღწეულია შეთანხმება იაფ სახელმწიფო კრედიტებზე ინფრასტრუქტურის გასავითარებლად და გზების დასაგებად, აგრეთვე, ბუნებრივი აირის იაფად შეძენაზე — 2020 წლიდან მოლდოვა რუსულ ბუნებრივ აირს 173 დოლარად მიიღებს. ამასთანავე, გაფართოვდა ჩამონათვალი იმ საქონლისა, რომლებსაც მოლდოვა ბაჟის გარეშე მიიღებს. გაიცა რამდენიმე ათასი ნებართვა გადაზიდვებზე, რათა მოლდოველებმა თავიანთი პროდუქცია შეიტანონ რუსეთის ბაზარზე.

დოდონის თქმით, „მუშაობა დაიწყო და ის განვითარდება მიზანმიმართულად, რათა აღდგეს სტრატეგიული პარტნიორობა ქვეყნებს შორის“.



გვერდი მოამზადა გიორგი გაჩეჩილაძემ

მწვანე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩვენი სამოციანელები და ხალხოსნები კარგად ხედავდნენ, რომ ორი ძირითადი მიმართულება — ჯანსაღი და ყალბი პატრიოტიზმი — არსებობდა არა მარტო რუსეთში, არამედ საქართველოშიც. იქაც და აქაც ეს აშკარად მჟღავნდებოდა როგორც საკუთარი სამშობლოს, ისე სხვა ერებისადმი დამოკიდებულებაში“.**

რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე

# დასაძრახი უმადურობა, პოლიტიკური სიბეცე თუ საკუთარი ქვეყნისადმი სიძულვილი...

## როგორ დამოკიდებულებას იჩენდა რუსეთი საქართველოსადმი?

ეს იყო მეტად რთული საკითხი, რადგან რუსულ საზოგადოებაში შეხედულებათა სხვადასხვაობა იყო როგორც საქართველოზე, ისე სხვა ქვეყნებსა და თვით რუსეთზეც კი. ილია ჭავჭავაძე სამართლიანად მიუთითებდა: **„რუსეთი ერთი იმისთანა სახელმწიფოა, საცა სხვადასხვა ტომისა და ენის ერნი სცხოვრობენ, და მერე ისე, რომ თავიანთ მამაპაპეულ მიწა-წყალზედ შეჯგუფებულნი არიან და არა შიგა და შიგ გაფანტულნი. ამიტომაც ერთს უდიდესს საპოლიტიკო საგანს რუსეთისას შეადგენს ჯერ ის, რომ სხვადასხვა ტომის ერნი როგორ უნდა მოეწყონ შინაობაში სათითოოდ, და მერე — როგორ უნდა მოთავსდენ სახელმწიფოსთან“** *(ტ. V, გვ. 20).*

ჩვენი სამოციანელებისა და ხალხოსნების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი შესანიშნავად ერკვეოდნენ ამ რთულ საკითხებში. მართალია, მათ ნაწერებში არსად არ გვხვდება გამოთქმა „ორი რუსეთი“, „ორი კულტურა“, მაგრამ მთელი მათი მოღვაწეობა და შემოქმედება იმაზე მეტყველებს, რომ ისინი მკვეთრად განასხვავებდნენ მეფის რუსეთსა და უბრალო რუს ხალხს.

XIX საუკუნის სამოციან წლებში ახალი ეტაპი დაიწყო, როგორც ეროვნული და სოციალური მოძრაობის ისტორიაში, ისე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში და თვით პატრიოტიზმის გაგებაში.

აი რას წერს ამის თაობაზე **ვანო შადური** წიგნში **„რევოლუციამდელი ქართველი მწერლები რუსეთის შესახებ“:**

„თერგდალეულთა და ხალხოსანთა ჭეშმარიტი პატრიოტიზმი გამოვლინდა არა მარტო სამშობლოს აწმყოსადმი, თანამედროვეობისადმი დამოკიდებულებაში, არამედ საქართველოს წარსულისა და მომავლის გაშუქებაშიც. **გარდასულ ჟამთა ამბებს ისინი სამშობლოს აწმყოსა და მომავლის თვალსაზრისით განიხილავდნენ. ისტორია მათ აინტერესებდათ არა ძველ „დაწყობილებათა რესტავრაციისა“ და „მკვდრის აღდგენის“ მიზნით, არამედ „ცოცხლის გამოყვანისათვის ჭაობიდან“.** წინაპართა ვაჟკაცობისა და მამულისათვის თავდადების აღწერა სამოციანელთა თხზულებებში მიმართული იყო იმ თანამედროვეთა წინააღმდეგ, რომელთა ინტერესები ეგოისტური, პირადი კეთილდღეობით იყო შემოფარგლული. წინაპართა საქმენი საგმირონი იმის კარგ მაგალითს იძლეოდა, თუ როგორ უნდა იბრძოდეს ნამდვილი პატრიოტი თავისი სამშობლოსა და ხალხის უკეთესი მერმისისათვის“.

ეს მაგალითი წინ უდევთ დღევანდელ ვაიპატრიოტებს, რომლებიც უტიფრად, უსირცხვილოდ საკუთარი ინტერესებს ანაცვალებენ საქართველოს, მშობელი ხალხის კეთილდღეობას, ხელს უშლიან ერის წინსვლასა და განვითარებას. წარსულში იმ მიზნით იქექებიან, რათა როგორმე რაც შეიძლება მეტი ნაგავი ამოკრიბონ რუსეთის დასამუნათებლად და არად დაგიდევენ, რა გავლენას იქონიებს ეს სამშობლოს აწმყოსა და მომავალზე. სამწუხაროდ, მათ არ აინტერესებთ „ცოცხლის გამოყვანა ჭაობიდან“. და, როგორც ამ სიტუაციის შემყურე ბატონმა ოტია იოსელიანმა ბრძანა, „მორევში ვართ ცოდვების დიდის......გახდა ქვეყანა მოღალატის, გამცემის, ფლიდის“, „არავინ გვივის, ვინც ილვწის ხსნისთვის“... შედეგად ეს ქვეყანა „ხელიდან მიდის, მიდის და მიდის!“

**„ერი,** — წერდა ილია, — **როგორც კრებული ისტორიით შედუღებულ ერთ-სულ და ერთ-ხორც მკვიდრთა, ყოველ პატიოსანისა და ჭკუათმყოფელ ადამიანისაგან უნდა პატივცემულ იყოს ყოველ შემთხვევაში, და მისი ასე თუ ისე გაუპატიურება, ავად ხსენება — დიდად სათაკილო საქციელია. ყოველს ერს თავისი საკუთარი სახე აქვს, თავისი საკუთარი გულთათქმა, თავისი წადილები, თავისი სულთასწრაფვა, თავისი ღირსება. ამაების შეგინება ერთი იმისთანა სიბრიყვეა, რომელიც გონებაგახსნილს ადამიანს არ ეპატიება, არ შეენდობა“** *(ტ. VIII, გვ. 97).*

ილია ჭავჭავაძე კმაყოფილების გრძნობით აღნიშნავს, რომ ამ ჯანსაღ და კეთილშობილ აზრს ეროვნულ საკითხზე იზიარებს თვით „რუსეთის დაწინაურებული საზოგადოება“, რომ „ეს აზრი თანდათან ფეხს იდგამს და ფრთასა ჰშლის თითონ რუსეთშიაც. ამას გვიმტკიცებს თითონ რუსეთის ლიტერატურაცა“ *(ტ. V, გვ. 81-83).*

აქ ილია, პირველ რიგში, რუს რევოლუციონერ დემოკრატებს გულისხმობს, მაგრამ საცენზურო პირობების გამო მათ არ ასახელებს. ილია თვითონვე მიუთითებდა: „ამ წერილს თირკმლები განგებ ამოვაცალეთ და შუა წელი გამოვსჭერით, რომ თავსა და ბოლოს მაინც ნება ჰქონოდა ქვეყანაში გამოსვლისა“ *(ტ. V, გვ. 84).*

დავუბრუნდეთ ისევ ვანო შადურს: „თავის სამშობლოს აწმყოსა და მომავალს თერგდალეულები და ხალხოსნები ამ პროგრესულ-კულტურულ რუსეთს უკავშირებდნენ. მასში ხედავდნენ კეთილმოსურნე და კეთილშობილ ძალას და ამიტომ ყოველთვის მგზნებარე სიყვარულითა და ღრმა პატივისცემით ლაპარაკობდნენ მასზე. ი. ჭავჭავაძის თქმით, **„აქედან წარმომდგარი ღრმა მადლიერების გრძნობა წარმოადგენს იმ დაუშრეტელ წყაროს, რომელსაც შეუძლია რუსეთისადმი კეთილგრძნობათა ყლორტები გადააქციოს სიცოცხლის მშვენიერ ხედ, რომელიც ყველას და ყოველივეს გადააფარებს თავის გაშლილ რტოებს“.**

„დიდი რუსეთის გარეშე არ არის ხსნა საქართველოსა და ქართველებისათვის“, — წერდა ი. ჭავჭავაძე.

ასეთივე აზრისაა ა. წერეთელიც. მისი ღრმა რწმენით, საქართველო რუსეთთან შეკავშირებული უნდა იყოს „სიყვარულის ოქროს ჯაჭვით“. *(შვიდტ., ტ. VI, გვ. 264).*

**„ჩვენ დიდად ვაფასებთ,** — ამბობდა იგი, — **ძმობას, ერთობას და მეგობრობას რუსეთის ერებთან. მართალია, რუსთა შორის ისეთებიც არიან, რომლებსაც ეჯავრებათ ჩვენი ასეთი ძმური კავშირი, მაგრამ არის სამაგიეროდ ახალგაზრდა რუსეთი, რომელთანაც ჩვენ გვსურს ხელიხელჩაკიდებული სიარული არა მარტო ეროვნული, არამედ საკაცობრიო იდეალების განსახორციელებლად, იმ იდეალებისა, რომელთაც ეწოდება ძმობა, ერთობა, თანასწორობა“** *(თხუთმეტტომ. ტ. XV, გვ. 562).*



> **«არ გიყვარდეს რუსეთი, რომელმაც ჩვენ სიმშვიდე დაგვიმკვიდრა და წინსვლის პირობები შეგვიქმნა, ეს ნიშნავს გამოამჟღავნო არა მარტო დასაძრახი უმადურობა და პოლიტიკური სიბეცე, არამედ შენი საკუთარი სამშობლოსადმი სიძულვილიც»**

რაც შეეხება **ნიკო ნიკოლაძეს**, მან ჯერ კიდევ 1865 წელს გერცენის „კოლოკოლში“ აღნიშნა, რომ **საქართველო რუსეთთან კავშირში „უფრო მალე მიაღწევს თავისი მდგომარეობის საუკეთესოდ მოწყობას, ვიდრე მაშინ, როცა მას მოკავშირედ ან მფარველად ეყოლება (აღარაფერს ვამბობთ მფლობელობაზე) ევროპის რომელიმე ერი, რომ აღარაფერი ვთქვათ ოსმალეთსა და სპარსეთზე, რომლებისაც საქართველოში არც ერთი საღად მოაზროვნე ადამიანი მოწადინებული არ არის“.**

უფრო მოგვიანებით ნიკო ნიკოლაძემ წერილში **„კავკასიის უნივერსიტეტი“** ჩინებულად ჩამოაყალიბა თავისი აზრი „ორი რუსეთის“ შესახებ. **„რუსეთი,** — წერდა იგი, — **და ბნელი მოხელეები, რომლებიც მივარდნილ კუთხეებში მისი სახელით იმუქრებიან, ერთი და იგივე არაა, ოფიციალური რუსეთის უკან დგას ნამდვილი რუსეთი, რომელსაც წინსვლის უნარი შესწევს, რომელსაც შეუძლია განვითარების გზით ადამიანური წესები დაამყაროს“** *(ტ. V, გვ. 483).*

გამოჩენილმა ქართველმა პუბლიცისტმა, ჩერნიშევსკის თაყვანისმცემელმა და მოწაფემ, კარგად იცოდა, რომ **„ჩვენი მამულის ბედი და მომავალი მტკიცედ გადასკვნილია რუსეთის მდგომარეობაზე“** და ღრმად სწამდა, რომ **„ჩვენი მხარის დაწინაურება დამოკიდებულია მთელი რუსეთის პროგრესზე, ჩვენ გულწრფელად გაგვახარებს ამ პროგრესის მიერ ყოველი წინ გადადგმული ნაბიჯი და მხურვალედ ვისურვებთ, რომ ჩვენი მხარეც მას შეუერთდეს“** *(ტ. V, გვ. 278).*

„...ნუ დავივიწყებთ, — წერდა ი. მანსვეტაშვილი თავის მოგონებებში, — **რომ ილიაც და ჩვენ, ყველა იმისი თანამოკალმენი, გაზრდილნი ვიყავით რუსეთის მწერლობაზე. ვინ იყვნენ მასწავლებელნი, ჩვენი ჭკუისა და გონების გამწვრთნელნი? ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, პისარევი და რუსეთის მეცნიერნი; ვინ გვაძლევდა საკვებს გრძნობისას და გემოვნების გაღვიძების და განვითარებისათვის? — პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი, ტურგენევი, დოსტოევსკი, ტოლსტოი და სხვანი. ჩვენ ვიყავით იმათი ღვიძლნი სულიერნი შვილნი. და განა დასაგმობი არ იქნებოდა ისეთი შვილი, რომელიც შეაგინებს, შეურაცხყოფს თავის დედას, იმ დედას, რომელმაც იგი თავისი ძუძუთი გამოზარდა? ჩვენ ამას ვერ ვიზამდით, რადგან, უმადურობა კი არა, უგუნურობაც იქნებოდა“.**

ჩვენი სამოციანელები და ხალხოსნები კარგად ხედავდნენ, რომ ორი ძირითადი მიმართულება — **ჯანსაღი და ყალბი პატრიოტიზმი** — არსებობდა არა მარტო რუსეთში, არამედ საქართველოშიც. იქაც და აქაც ეს აშკარად მჟღავნდებოდა როგორც საკუთარი სამშობლოს, ისე სხვა ერებისადმი დამოკიდებულებაში.

როგორც ვიცით, გასული საუკუნის მეორე ნახევარში, განსაკუთრებით „მამათა და შვილთა“ შორის ბრძოლის გამწვავების დროს, ქართულ პრესაში ხშირად იმართებოდა კამათი იმის შესახებ, თუ ვინ ჩაითვლება ნამდვილ მამულიშვილად.

**იაკობ გოგებაშვილი** სამართლიანად მიუთითებს, რომ **ჭეშმარიტი ქართველი მამულიშვილები „მოღვაწეობენ არა იმ განზრახვით, რომ სხვანი დავთრგუნოთ და მათი დამცირებით ჩვენი თავი ავამაღლოთ“, ან ძველ, დრომოჭმულ „დაწყობილობათა რესტავრაცია“ მოვახდინოთ. არა. მათ „სურთ არა მკვიდრის აღდგენა, არამედ ცოცხლის გამოყვანა ჭაობიდგან.** იგინი ნატრობენ იმასვე, რასაც მოისურვებდნენ, ჩვენს ქვეყანაში რომ ემოქმედნათ, რუსეთის უნიჭიერესნი მოდასავლეთენი (ზაპადნიკები) ბელინსკი, დობროლიუბოვი, ავტორები რომანებისა: „ვინ სტყუვის“ (გერცენი) და „რა ვქნათ?“ (ჩერნიშევსკი), შჩედრინი და სხვანი. ჩვენის პატრიოტების მოქმედება იმ ეროვნულს გზასავე ადგია, რომელიც ხსენებულის მეორე რომანის ავტორმა ჩერნიშევსკიმ ვალად დაადო უკრაინელებს. სახელდობრ — ეროვნული ენის, ლიტერატურის და მეცნიერების აყვავება“ *(ტ. I, გვ. 375).*

ნამდვილ პატრიოტად ჩაითვლება, — ამბობს ი. გოგებაშვილი, **ის, „ვისაც სიცოცხლის უმთავრეს საგნად გაუხდია მშობლიურის ქვეყნის ბედნიერება, ვინც თავგამოდებულად და შეუპოვრად ებრძვის დაულალავად ყოველს დაბრკოლებას, რომელიც მის სამშობლოს ქვეყანას წარმატების გზაზედ გადაღობებია“** (ტ. I, გვ. 371). ასეთი პატრიოტები, ავტორის რწმენით, არიან რუსი რევოლუციონერი დემოკრატები და ჭეშმარიტი ქართველი მამულიშვილები (იგულისხმებიან, ცხადია, პირველ ყოვლისა, ილია ჭავჭავაძე და მისი თანამოაზრენი).

ეს მრავალმხრივ საყურადღებო წერილია, რომელშიც ი. გოგებაშვილმა სწორად დაახასიათა დამყაყებული ნაციონალიზმი და ჯანსაღი პატრიოტიზმი, განსაკუთრებით გახაზა ქართველ და რუს სამოციანელთა ეროვნული კონცეფციების მსგავსება. აქ საქმე გვაქვს ფრიად საინტერესო და სამართლიან ანალოგიასთან.

ცნობილია, რომ „სრულიად რუსეთის დემოკრატ-რევოლუციონერი ჩერნიშევსკი და მისი თანამოაზრენი შეუპოვრად იბრძოდნენ როგორც რუსი, ისე სხვა ხალხების სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის. ...სწორედ სამშობლოს ამ ნამდვილი სიყვარულისათვის სწამებდნენ ჩერნიშევსკის რუსეთისადმი სიძულვილს კატკოვი და სხვა რეაქციონერები თუ ფსევდოპატრიოტები.

თითქმის მსგავსი სიტუაცია შეიქმნა საქართველოშიც (თუმცა აქ სპეციფიკური პირობების გამო წინა პლანზე ეროვნულმა საკითხმა წამოიწია). **ქართველი კონსერვატორები და ნაციონალისტებიც ხომ ამტკიცებდნენ, რომ თერგდალეულები „რუსოფილები“ არიან და საქართველო სძულთო...** ერთი (ზერელე) შეხედვით ასეთი ბრალდებისათვის მათ საბუთებიც საკმაოდ მოეპოვებოდათ, გავიხსენოთ, მაგალითად, ილია ჭავჭავაძის „ბედნიერი ერი“ და „კაცია ადამიანი?!“, აკაკი წერეთლის სატირული ლექსები და დაუმთავრებელი რომანი „იმერლები“, რომელშიაც საქართველო შედარებულია „დიდსა და ბნელ აკლდამასთან, სადაც ძველი აზრების კაცნი დაბოდიალობენ“. თუ ჩერნიშევსკიმ რუსებს „მონების ერი“ უწოდა, ილიამ თავისი ერი ისეთი ეპითეტებით შეამკო, როგორიცაა: „უწყინარი“, „უჩინარი“, „ქედდრეკილი“, „უშფოთველი“, „ყოვლად მთმენი“, „მუნჯი“, „თვალაბმული“, „უზრუნველი“ და სხვ., მაგრამ ეს ეპითეტებიც, ცხადია, მხოლოდ და მხოლოდ სამშობლოსადმი ნამდვილი სიყვარულ- ▶

# „თუ შენ საქართველო გიყვარს და მოითხოვ, რომ სიყვარულის ეს ბუნებრივი და კანონიერი გრძნობა გაგებული და პატივცემული იყოს სხვის მიერ, მაშინ ისიც უნდა გესმოდეს, რომ ასევე ბუნებრივი და კანონიერია სხვა ერის შვილის სიყვარული საკუთარი სამშობლოსადმი და მასაც პატივი უნდა სცე. საქართველოსადმი ნამდვილი სიყვარული შეუთავსებელია სიძულვილთან სხვა ერებისადმი, მით უმეტეს რუსეთისადმი“.

მწარე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ით, კაეშნით შეპყრობილი სიყვარულით იყო ნაკარნახევი. გავიხსენოთ „აჩრდილის“ ავტორის გულისტკივილით ნათქვამი სიტყვები:

„ჩემზედ ამბობენ: „ის სიავეს ქართვლისას ამბობს,
ჩვენს ცუდს არ მალავს, ეგ ხომ ცხადი სიძულვილია!“
ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს —
ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია“.

აქ მკვეთრად გამოვლინდა ი. ჭავჭავაძის „სიძულვილი სიყვარულიდან“, მისი ჯანსაღი, გონივრული, ჭეშმარიტი პატრიოტიზმი და ჰუმანიზმი, მისი მაღალი და კეთილშობილი აზრები და გრძნობები. **ნამდვილი მამულიშვილობა, დიდი ილიას ღრმა რწმენით, იმას როდი ნიშნავს, რომ გიყვარდეს ყველა ქართველი — მჩაგვრელიც და ჩაგრულიც, პარაზიტიც და მშრომელიც, რადგან იგი შენი თანამემამულეა, რომ მოგწონდეს ყველაფერი ქართული — ავიც და კარგიც, მხოლოდ იმიტომ, რომ ის ქართულია. თათქარიძეებს და მის მსგავს ცოცხალ ლეშებს „ოთარაანთ ქვრივის“ ავტორი, გასაგებია, კაცურკაცებად ვერ ჩათვლიდა.**

საქართველოსადმი ასეთი გონივრული დამოკიდებულება ახასიათებდა თითქმის ყველა ჩვენს სამოციანელს და ხალხოსანს. აი, მაგალითად, რას წერდა **ანტონ ფურცელაძე:**

„...თავისი ინტერესების დაცვა მარტო იმას არ ნიშნავს, რომ წაეჭიდო ყველა, თუმცა დამკვიდრებულს, მაგრამ წამხდარს ანუ უსარგებლო ნიჭს, გარემოებას, წყობილებას, ზნეს, ინტერესების დაცვა უნდა ისახებოდეს იმაში, რომ ასწონოს ერმა, რაც შეუძენია და რაც შეადგენს მისს წარმატების სახსარს და დაიცვას; რაც არის სავნო და უვარგისი, ის მოჰკვეთოს და აღმოფხვრას“.

...სამოციან წლებში ახალი ეტაპი დაიწყო როგორც ეროვნული და სოციალური მოძრაობის ისტორიაში, ისე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში და თვით პატრიოტიზმის გაგებაში.

წინაპართა ვაჟკაცობისა და მამულისათვის თავდადების აღწერა სამოციანელთა თხზულებებში მიმართული იყო იმ თანამედროვეთა წინააღმდეგ, რომელთა ინტერესები ეგოისტური, პირადი კეთილდღეობით იყო შემოფარგლული. წინაპართა საქმენი საგმირონი იმის კარგ მაგალითს იძლეოდა, თუ როგორ უნდა იბრძოდეს ნამდვილი პატრიოტი თავისი სამშობლოსა და ხალხის უკეთესი მერმისისათვის.

„როდესაც პოეზია ცდილობს, გამოსახოს ძველნი გმირნი, ის უნდა ცდილობდეს, იპოვოს და აჩვენოს იმათში ის მხარეები, რომელნიც დღესაც სახმარნი იყვნენ კაცის წარმატებისა და ბედნიერებისათვის“, — წერს **ანტონ ფურცელაძე.**

ანალოგიურ შეხედულებას ვხვდებით შესანიშნავი ხალხოსანი პუბლიცისტისა და კრიტიკოსის — **გიორგი მაიაშვილის (ზდანოვიჩის)** წერილში „ჩვენი დედაკაცები და ახალი დრო“. იგი სამართლიანად მიუთითებდა, რომ **წარსული მომავლის ნიმუშად არ გამოდგება, მისი დაბრუნება არც სასურველია და არც შესაძლებელი**. ვინც „რუსების სლავიანოფილების მსგავსად“ მოუწოდებს, „დავბრუნდეთ უკანო“, დიდად სცდება. „ეს იმას არ ნიშნავს, რომ უარყოფით უნდა ვეკიდებოდეთ ჩვენს წარსულს მხოლოდ იმიტომ, რომ წარსულიაო, გავლილი გზაა, თავისი დრო მოჭმული აქვსო. სრულიადაც არა: თუ გნებავთ, წარსულში შესაძლოა ვეძებოთ, ასე გასინჯეთ ზოგიერთი ისეთი რამაც, რაც მერმისისათვის გამოგვადგება, მხოლოდ იმ აზრით კი არა, რომ აღვადგინოთ იგი წარსული, — ეს, როგორცა ვსთქვით, ყოვლად შეუძლებელი და დონ-კიხოტური საქმეა, — არამედ იმ აზრით, რომ დავიცვათ და კვლავ დავიბრუნოთ ცნობილი ტიპი, ცნობილი მეთოდი საზოგადოებრივი ზრდა-წარმატებისა“...

„...ჩემი აზრით, — განაგრძობს ავტორი, — ის კაცი მერმისის კაცი არ არის, ვინც ოცნებობს, აწმყოს ადგილას პირდაპირ წარსული გაამეფოს და თვის იდეალებს ეძებს ძველ საფლავებსა და აკლდამებში. მხოლოდ რეაქციის კაცს, ისეთს კაცს, რომელსაც შეუძლიან ასეთი, რამდენადაც აუსრულებელი, იმოდენად მავნებელი და დამღუპველი იმედები იქონიოს“.

საპროგრამო მოწოდებად გაისმოდა ილია ჭავჭავაძის შესანიშნავი სიტყვები:

„მას ნუღარ ვსტირით, რაც დამარულა,
რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა;
მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი.
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყობადი,
ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს“.

სამოციანელთა სახელოვან ბელადს მშვენივრად ჰქონდა შეგნებული ის საპატიო მისია, რომელიც მის თაობას ისტორიამ დააკისრა ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლაში, დიდ მამულიშვილს მტკიცედ სწამდა, რომ „აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია“, რომ

**„ველარ განუძლებს**
**ქვეყანა ძველი**
**განახლებულის**
**გრიგალის ქროლას,**
**ველარ განუძლებს**
**ქვეყნის მძარცველი**
**ჭეშმარიტებით**
**აღძრულსა ბრძოლას, —**
**და დაიმსხვრევა იგი**
**ბორკილი,**
**შემფერხებელი**
**კაცთა ცხოვრების,**
**და ახალ ნერგზედ**
**ახალ შობილი**
**ესე ქვეყანა კვლავ**
**აჰყვავდების...**
**შრომის სუფევა**
**მოვა მაშინა“.**

აკაკი წერეთელმაც ხომ ასევე გონების თვალით განჭვრიტა სამშობლოს მომავალი, ის ბედნიერი დრო, როცა ეროვნულ და სოციალურ ჩაგვრას შეცვლის „ძმობა, თანასწორობა და სიყვარული“.

ასეთი იყო თერგდალეულთა და ხალხოსანთა დამოკიდებულება სამშობლოს აწმყოს, წარსულისა და მომავლისადმი. ასევე მკვეთრად გამოვლინდა მათი ჯანსაღი პატრიოტიზმი სხვა ერების, კერძოდ რუსეთის მიმართ.

გავიხსენოთ აკაკი წერეთლის სიტყვები: **„სამშობლოს უკულმართი სიყვარული, როცა იმას ანაცვლებენ სხვის კეთილდღეობას და ბედნიერებას, საძაგლობაა“.** სხვანი კი არ უნდა „დავთრგუნოთ და ამით ჩვენი ვალი ავიმაღლოთ“ (ი. გოგებაშვილი), არამედ პირიქით. **ყველა ერი „ყოველი პატიოსანისა და ჭკუათმყოფელი ადამიანისაგან უნდა პატივცემულ იყოს“**, — ამბობდა ი. ჭავჭავაძე, შემდეგ დასძენდა: დიდი უსამართლობა და სიბრიყვე იქნება, რომ სხვისგან მოვითხოვდეთ ჩვენი ერისადმი პატივისცემას და ამავე დროს ჩვენ თვითონ უპატივცემულოდ ვექცეოდეთ სხვა ერებს. თუ შენ საქართველო გიყვარს და მოითხოვ, რომ სიყვარულის ეს ბუნებრივი და კანონიერი გრძნობა გაგებული და პატივცემული იყოს სხვის მიერ, მაშინ ისიც უნდა გესმოდეს, რომ ასევე ბუნებრივი და კანონიერია სხვა ერის შვილის სიყვარული საკუთარი სამშობლოსადმი და მასაც პატივი უნდა სცე. საქართველოსადმი ნამდვილი სიყვარული შეუთავსებელია სიძულვილთან სხვა ერებისადმი, მით უმეტეს რუსეთისადმი. **არ გიყვარდეს რუსეთი, რომელმაც ჩვენ სიმშვიდე დაგვიმკვიდრა და წინსვლის პირობები შეგვიქმნა, ეს ნიშნავს გამოამჟღავნო არა მარტო დასაძრახი უმადურობა და პოლიტიკური სიბეცე, არამედ შენი საკუთარი სამშობლოსადმი სიძულვილიც. ვისაც ნამდვილად უყვარს საქართველო, მის ბედზე გული შესტკივა და მისი კეთილდღეობა სურს, მას არ შეიძლება არ უყვარდეს რუსეთი.**

ეს აზრი წითელ ხაზად გასდევს თერგდალეულთა და ხალხოსანთა შემოქმედებასა და მოღვაწეობას. განსაკუთრებით მკვეთრადაა იგი ჩამოყალიბებული ი. ჭავჭავაძის ე. ლ. მარკოვისადმი მიძღვნილ სიტყვაში და თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორისადმი მიწერილ წერილში.

რუსეთთან ურყევი და მეგობრული კავშირი, ი. ჭავჭავაძის ღრმა რწმენით, საქართველოს არსებობისა და პროგრესის აუცილებელი პირობაა, ქართველი ხალხის კეთილდღეობისა და ბედნიერი მომავლის საწინდარია. ერთი სიტყვით, ქართველების რუსეთისადმი სიყვარული განპირობებული და გამოწვეულია საკუთარი სამშობლოსა და ხალხისადმი სიყვარულით.

„რუს და ქართველ ხალხთა ტრადიციული ურთიერთსიყვარული, — სწერდა ი. ჭავჭავაძე თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორ სერაფიმეს 1898 წელს, — ჩვენთვის უფრო საჭირო, ვიდრე რუსთათვის, ვინაიდან ამაშია ჩვენი კეთილდღეობის, ჩვენი ხსნის ერთადერთი საწინდარი. დიდ, თვალუწვდენელ რუსეთისათვის კი — ქართველის მისდამი სიყვარულის საკითხი შეიძლება იყვეს მხოლოდ ზნეობრივი ხასიათის კეთილშობილური მზრუნველობის საგანი და მოკლებულია ყოველგვარ პრაქტიკულ მნიშვნელობას; ვინაიდან რუსეთი თავისთავად მეტად ღონიერი და ძლიერია და ამიტომ არ სჭირდება რომელიმე პატარა ხალხის თანაგრძნობაში ეძიოს თავისთვის საყრდენი; ვიმეორებ, **ჩვენთვის, ქართველებისათვის, ეს სიყვარული დაკავშირებულია ჩვენი ყოფნა არ ყოფნის საკითხთან“.**

ამაზე უფრო ზუსტად და ნათლად, ძნელია, კაცმა ჩამოაყალიბოს თერგდალეულთა შეხედულება ჩვენთვის საინტერესო საკითხზე“.

თუ ილიას ეპოქაში „რუსეთი თავისთავად მეტად ღონიერი და ძლიერია და ამიტომ არ სჭირდება რომელიმე პატარა ხალხის თანაგრძნობაში ეძიოს თავისთვის საყრდენი“, მით უმეტეს დღეს ის გაცილებით ძლიერი და ღონიერი სახელმწიფოა, რომლის ინტერესებსაც ანგარიშს უწევენ ჩვენზე ბევრად წელგამართული ქვეყნები და პრობლემებსაც არ იქმნიან. ჩვენ კი, თუ ისევ ილიას დავესესხებით, ვამჟღავნებთ არა მარტო დასაძრახ უმადურობასა და პოლიტიკურ სიბეცეს, არამედ საკუთარი სამშობლოსადმი სიძულვილსაც.



## «საქართველო რუსეთთან კავშირში «უფრო მალე მიაღწევს თავისი მდგომარეობის საუკეთესოდ მოწყობას, ვიდრე მაშინ, როცა მას მოკავშირედ ან მფარველად ეყოლება (აღარაფერს ვამბობთ მფლობელობაზე) ევროპის რომელიმე ერი, რომ აღარაფერი ვთქვათ ოსმალეთსა და სპარსეთზე, რომლებისაც საქართველოში არც ერთი საღად მოაზროვნე ადამიანი მოწადინებული არ არის»



## ეს მაგალითი წინ უდევთ დღევანდელ ვაიპატრიოტებს, რომლებიც უტიფრად, უსირცხვილოდ საკუთარ ინტერესებს ანაცვალებენ საქართველოს... წარსულში იმ მიზნით იქექებიან, რათა როგორმე რაც შეიძლება მეტი ნაგავი ამოქრიბონ რუსეთის დასამუნათებლად და არად დაგიდევენ, რა გავლენას იქონიებს ეს სამშობლოს აწმყოსა და მომავალზე... «მორევში ვართ ცოდვების დიდის... გახდა ქვეყანა მოღალატის, გამცემის, ფლიდის», «არავინ გვივის, ვინც ილვწის ხსნისთვის»... შედეგად კი, ეს ქვეყანა «ხელიდან მიდის, მიდის და მიდის!»

ეს უნდა ვიცოდეთ

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ᲐᲦᲕᲡᲘᲚᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲣᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲑᲘᲗ, ᲑᲝᲠᲝᲢᲔᲑᲘᲗ, ᲐᲜᲒᲐᲠᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲐᲕᲘᲗ, ᲡᲐᲕᲡᲔᲜᲘ ᲨᲣᲠᲘᲗ, ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲗ, ᲨᲣᲚᲘᲗ, ᲕᲔᲠᲐᲒᲝᲑᲘᲗ, ᲣᲖᲜᲔᲝᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲑᲔᲖᲦᲐᲠᲝᲑᲘᲗ. ᲪᲘᲚᲘᲡᲛᲬᲐᲛᲔᲑᲔᲚᲜᲘ, ᲦᲕᲗᲘᲡ ᲛᲝᲫᲣᲚᲔᲜᲘ, ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲛᲧᲝᲤᲔᲚᲜᲘ, ᲐᲛᲞᲐᲠᲢᲐᲕᲐᲜᲜᲘ, ᲛᲙᲕᲔᲮᲐᲠᲜᲘ, ᲑᲝᲠᲝᲢᲒᲐᲛᲖᲠᲐᲮᲕᲔᲚᲜᲘ, ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲠᲩᲜᲘ.

*(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)*




## პორნოფილმმა შეიწირა

**იტალიაში 60 წლის ბრიტანელი მამაკაცი გარდაიცვალა პორნოფილმის ყურებისას ერთ-ერთ სექსშოპში, — იუწყება The Sun.**

განმარტავენ, რომ ეს კაცი ველოსიპედით მოგზაურობდა. ვენეციაში ერთ-ერთ სექსშოპში გაჩერდა და გადაიხადა 5 ევრო ცალკე კაბინაში პორნოფილმის 15 წუთის განმავლობაში საყურებლად.

მაღაზიის გამყიდველებმა განგაში ატეხეს მას შემდეგ, რაც ეს კაცი ნახევარი საათის შემდეგ კაბინიდან არ გამოვიდა. შევიდნენ ოთახში და დაინახეს, რომ იატაკზე უგონოდ ეგდო.

სასწრაფოდ გამოძახებულმა მედიკოსებმა დაადგინეს, რომ იგი უკვე მკვდარი იყო. პოლიცია გარდაცვალების მიზეზს ადგენს.



## სამხრეთ კორეაში ადამიანებს ცოცხლად მარხავენ

**უცნაურმა ტენდენციამ იჩინა თავი ბოლო წლებში სამხრეთ კორეაში: ფრიად პოპულარულია ისეთი მომსახურება, როცა ცოცხალ ადამიანებს... მარხავენ.**

ისინი არიან ადამიანები, რომლებმაც ისურვეს, თავიანთი დაკრძალვის ცერემონია სიცოცხლეშივე იხილონ და დარწმუნდნენ, რომ გარდაცვალების შემდეგ ტრადიციის დაცვით გაისტუმრებენ საიქიოში. ასე „ცოცხლად“, Reuters-ის ცნობით, ერთ-ერთმა სპეციალიზებულმა ცენტრმა 25 ათასი კაცი „დამარხა“.

საინტერესოა, რომ დაკრძალვის წეს-ჩვეულების ხილვა სწადიათ როგორც ყმაწვილ, ასევე საკმაოდ ხანში შესულ სამხრეთ კორეელებს.

მას შემდეგ, რაც მათ კუბოებში ჩააწვენენ, მომსახურეები სახურავებს დაახურავენ და სიმბოლურად, ვითომ ლურსმნებს აჭედებენ, დააკაკუნებენ ჩაქუჩებს კუბოსთავებზე, „გარდაცვლილები“ მარტონი, უკუნ სიბნელეში თავიანთი აფორიაქებული ფიქრების ამარა რჩებიან ათიოდ წუთის განმავლობაში.

კლიენტები აღნიშნავენ: ეს დრო ყოფნით საიმისოდ, რომ სრულად გაიაზრონ თავიანთი ცხოვრება, კარგიც და ცუდიც, და შესთხოვონ უფალს, შეუნდოს ცოდვები, და იფიქრონ მზიან, ლამაზ და ხალისიან მომავალზე.

„დამარხვის“ ცენტრის ორგანიზატორებს მიაჩნიათ, რომ ასეთი ცერემონია დადებითად მოქმედებს ადამიანების ფსიქიკაზე და რეალურად ეხმარება მათ დაიწყონ ახლებური ცხოვრება. რაც სამხრეთ კორეისთვის ფრიად აქტუალურია, რადგან თვითმკვლელობის დონე ამ ქვეყანაში ძალიან მაღალია.



# ნეოლიბერალური ზნეობა

## უკრაინა: რისთვის ვიბრძოდით...

**უკეთესად არ ვცხოვრობთ, სამაგიეროდ პედერასტებს უფლება დავრთეთ, წყვილად იარონ. ჩერნოვიცის ქალაქის თავი ᲐᲚᲔᲥᲡᲔᲘ ᲙᲐᲡᲞᲠᲣᲙᲘ ვეტოს დაადებს გადაწყვეტილებას ლგბტ ღონისძიებების ქალაქში გამართვის შესახებ, თუმცა დარწმუნებულია, რომ ასეთი აკრძალვა ეწინააღმდეგება უკრაინის კონსტიტუციას და არღვევს ადამიანის უფლებებს.**



„მე რთულ სიტუაციაში ვიმყოფები, რადგან ვიცი, რომ ჩემი ოპონენტები გააბუქებენ ამ სიტუაციას. მეორე მხრივ, ვიცი, რომ არსებობს უკრაინის კანონები და კონსტიტუცია, რომლებიც კრძალავს დისკრიმინაციას“, — განაცხადა კასპრუკმა.

მან ასევე შეგვახსენა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება მოსკოვში ლგბტ მარშის გამართვის წინააღმდეგ. ევროპულმა სასამართლომ მაშინ დაადგინა, რომ ასეთი აკრძალვა არღვევს საერთაშორისო შეთანხმებებს.

გავრცელდა ინფორმაცია, რომ მერიაში ამზადებენ დადგენილების პროექტს, რომელსაც ქალაქის საბჭოს სესიაზე გაიტანენ.

31 ოქტომბერს ჩერნოვიცის საქალაქო საბჭოს 24-მა დეპუტატმა მხარი დაუჭირა ქალაქში ლგბტ ღონისძიებების აკრძალვის შესახებ პეტიციას. პეტიციის ავტორი ადგილობრივი იურისტი და საზოგადოებრივი აქტივისტი **ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲘ ᲒᲣᲜᲙᲝ** დარწმუნებულია, რომ პირიქით, ამ აკრძალვით დეპუტატები განამტკიცებენ უკრაინის კონსტიტუციას.

**„მივესალმები ჩერნოვიცის საზოგადოებას მორალურ ფრონტზე მორიგი გამარჯვების გამო და გულწრფელ მადლობას ვეუბნები თითოეულ დეპუტატს, რომლებმაც ხმა მისცენ ქალაქის ტერიტორიული თემის წესდებაში ცვლილების შეტანას ლგბტ საჯარო ღონისძიებების გამართვაზე მორატორიუმის გამოცხადების შესახებ“,** — განაცხადა მან.

## ფრანგმა მომღერალმა ქალმა რომან პოლანსკი ამხილა





**ეს დანაშაული პოლანსკის 44 წლის წინათ ჩაუდენია, როცა ᲕᲐᲚᲔᲜᲢᲘᲜᲐ ᲛᲝᲜᲘᲔ, ფრანგი მსახიობი, და ᲠᲝᲛᲐᲜ ᲞᲝᲚᲐᲜᲡᲙᲘ, რეჟისორი შვეიცარიის სამთოსათხილამურო კურორტზე დასასვენებლად იმყოფებოდნენ, — იუწყება Le Parisien.**

— 1975 წელს მე გამაუპატიურა რომან პოლანკსიმ. მასთან არავითარი კავშირი არ მქონია — არც პროფესიული, არც პირადი. ოდნავ ვიცნობდი. ეს არც წვეულება იყო, არც ალკოჰოლი, არც ნარკოტიკები, — თქვა მონიემ.

ცნობილი რეჟისორი მას მეგობრებმა გააცნეს. ერთხელ ერთად ადიოდნენ მთაზე საბაგირო გზით, როცა პოლანსკიმ მონიეს არშიყი დაუწყო. ვალენტინა მაშინ 18 წლისა იყო. რეჟისორმა ჰკითხა, მზად იყო თუ არა ფიზიკური დაახლოებისთვის. ქალიშვილმა უარი უთხრა.

იმავე საღამოს მხიარული კომპანია რესტორანს ეწვია, ქალიშვილი და პოლანსკი კი განმარტოვდნენ ქოხში, რომელიც მეგობრებს ჰქონდათ დაქირავებული. იქ რეჟისორმა იძალადა 18 წლის ქალიშვილზე.

მონიემ განმარტა, რომ პოლიციას დაუყოვნებლივ არ მიმართა იმიტომ, რომ შეშინდა: მაშინ უკვე ცნობილ რეჟისორს შეეძლო მოეკლა, ისტორია ქვეყანას რომ არ მოსდებოდა. პოლიცია დაუკავშირდა მონიეს ნაცნობს, რომელიც ურჩევდა მსახიობს, მიემართა სამართალდამცავებისთვის. იგი მზად იყო, მიეცა ჩვენება, თუ საჭირო გახდებოდა.

მიზეზი, რომლითაც მონიემ ახსნა განცხადების ამდენი ხნით დაგვიანება, დაკავშირებულია პოლანსკის ახალი ფილმის „ოფიცერი და ჯაშუში“ გამოსვლასთან. იგი (ფილმი) ეძღვნება ყველაზე უფრო გახმაურებულ პროცესს საფრანგეთის ისტორიაში — „დრეიფუსის საქმეს“.

„ლაიფი“ იუწყებოდა, რომ პოლანსკი 2018 წელს გარიცხეს კინოაკადემიიდან ძალადობისა და გაუპატიურების ოთხი შემთხვევის გამო, მათ შორის 13 წლის გოგონასი, მაგრამ რეჟისორი არ ნებდება და აპირებს, აღიდგინოს აკადემიის წევრობა სასამართლოს მეშვეობით.

სამომავლო საპროტესტო აქციების ფონზე კოლუმბიის ხელისუფლებამ მკაცრ ზომებს მიმართა, კერძოდ, მერებსა და გუბერნატორებს ნება დართო, დააწესონ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი, რომელიც გულისხმობს ალკოჰოლური სასმელების გაყიდვის აკრძალვას, ცეცხლსასროლი იარაღის ტარების შეზღუდვასა და კომენდანტის საათის შემოღებას. უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ხელისუფლებამ, აგრეთვე, მიიღო გადაწყვეტილება, დახუროს სახმელეთო და სამდინარო საზღვრები

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მილიონობით უკმაყოფილო: კოლუმბია საპროტესტო აქციებმა მოიცვა



**შეგახსენებთ: კოლუმბია იყო აშშ-ის ბურჯი ვენესუელის კანონიერი პრეზიდენტ ნიკოლას მადუროს წინააღმდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობისთვის. კოლუმბიაში მასობრივი ანტისამთავრობო საპროტესტო აქციები დაიწყო. საყოველთაო გაფიცვაზე გამოსვლას მილიონზე მეტი ადამიანი აპირებს. მანამდე კი საპროტესტო აქციაზე გამოსულები პოლიციელებს დაუპირისპირდნენ და მოლოტოვის კოქტეილები დაუშინეს. შეტევებისას დაიღუპა ერთი სტუდენტი, დაიჭრა — რამდენიმე. ქვეყნის ხელისუფლებამ უკმაყოფილო ადამიანებს დემონსტრაციების მშვიდობიანად ჩატარებისკენ მოუწოდა, პარალელურად კი ჯარები გადაიყვანა დედაქალაქში და დახურა საზღვრები.**

ანტისამთავრობო დემონსტრაციები თანდათან იპყრობს სამხრეთ ამერიკის ქვეყნებს და ახლა კოლუმბიის ჯერი დადგა. ქვეყნის მოსახლეობამ საყოველთაო ეროვნული აქციები მოაწყო. აქციას მხარს უჭერენ ოპოზიციური პარტიები და პროფკავშირები. ადგილობრივი მედიის მონაცემებით, კოლუმბიის ქუჩებში გამოსვლას აპირებს მილიონზე მეტი ადამიანი, რათა მიაღწიოს ხელისუფლების პოლიტიკის შეცვლას. მთავარი დემონსტრაცია გაიმართა კოლუმბიის დედაქალაქ ბოგოტაში. სამომავლო საპროტესტო აქციების ფონზე კოლუმბიის ხელისუფლებამ მკაცრ ზომებს მიმართა, კერძოდ, მერებსა და გუბერნატორებს ნება დართო, დააწესონ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი, რომელიც გულისხმობს ალკოჰოლური სასმელების გაყიდვის აკრძალვას, ცეცხლსასროლი იარაღის ტარების შეზღუდვასა და კომენდანტის საათის შემოღებას (ბოგოტასა და კალიში უკვე შემოიღეს კომენდანტის საათი). უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ხელისუფლებამ, აგრეთვე, მიიღო გადაწყვეტილება, დახუროს სახმელეთო და სამდინარო საზღვრები. კოლუმბიის არმიის 8 ათასი ჯარისკაცი კი ბოგოტასა და სხვა ქალაქების გარეუბნებში გადაიყვანეს. საპროტესტო გამოსვლების მთავარი მიზეზია მთავრობის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა — კოლუმბიელები უკმაყოფილონი არიან მთავრობის ბევრი გადაწყვეტილებით. მოქალაქეებს, აგრეთვე, არ მოსწონთ ხელისუფლების პოზიცია აშშ-ის მიმართ. სიტუაცია გაუარესდა ვენესუელის მიმართ პოლიტიკის გამოც, ბოგოტამ ვენესუელის ოპოზიციის ლიდერი **ხუან გუაიდო** ვენესუელის სახელმწიფო მეთაურად აღიარა და ამით ლეგიტიმური პრეზიდენტის, **ნიკოლას მადუროს,** წინააღმდეგ წავიდა.

ამას გარდა, ვენესუელელი ოპოზიციონერები პრეზიდენტ მადუროს სამართალდამცავ ორგანოებს თავს არიდებენ და კოლუმბიის ტერიტორიაზე იმალებიან, რაც კოლუმბიელთა საპროტესტო განწყობას კიდევ უფრო ამძაფრებს.

ვითარება ძალიან რთულია ამჟამინდელი პრეზიდენტისთვის — მისი ბედი ბეწვზე ჰკიდია. **ივან დუკე** და მისი კაბინეტი ძალიან დასუსტებულია. მათ არ იციან, როგორ გააჩერონ ადამიანები, რომლებიც ქუჩაში გამოვიდნენ.





# ვლადიმერ პუტინმა შვეიცარიის პრეზიდენტთან ამიერკავკასიის კონფლიქტებზე იმსჯელა

**რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა 21 ნოემბერს მოლაპარაკებები გამართა შვეიცარიის პრეზიდენტ ული მაურერთან.** პრეზიდენტებმა იმსჯელეს ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის განვითარებასა და აქტუალურ საერთაშორისო თემებზე, ზოგიერთი წყაროს ცნობით, მათ შორის, კონფლიქტებზე ამიერკავკასიაში.



# ევროპაში მეოთხე რაიხის შესაქმნელად ემზადებიან?

**ერთიანი ევროპული არმია, თუკი ასეთი შეიქმნება, რუსეთის წინააღმდეგ იბრძოლებს. ეს, ფაქტობრივად, არის „მეოთხე რაიხი“, — განაცხადა ისრაელის სპეცსამსახურ „ნათივის“ ყოფილმა ხელმძღვანელმა იაკობ კედმიმ.**

ისრაელელმა ექსპერტმა ყველას შეახსენა, რომ ერთიანი ევროპის ბოლო არმია 1945 წელს დამარცხდა და მას ვერმახტი ერქვა.

**„ვერმახტის გარდა, სხვა ერთიანი ევროპული არმია ვერ იქნება. ერთიანი ევროპა ვერმახტის ჩარჩოებში ებრძოდა ბოლშევიზმს, საბჭოთა კავშირს, ან იქნება მეოთხე რაიხი და მაშინ იქნება ერთიანი ევროპა, რომელიც იბრძოლებს რუსეთის წინააღმდეგ, ან არ იქნება“,** — განაცხადა კედმიმ.



**იერუსალიმის პატრიარქმა თეოფილე II-მ მართლმადიდებელი ეკლესიების წინამძღოლებს მოუწოდა, იორდანიაში შეიკრიბონ მართლმადიდებელი სამყაროს ერთიანობის შესანარჩუნებლად.**

# იერუსალიმის პატრიარქმა მართლმადიდებელ ეკლესიებს ერთობის საკითხზე თათბირის ჩატარებისკენ მოუწოდა

„მშვიდობის სულისკვეთებით, ძმური სიყვარულითა და ზრუნვით გამოვდივართ წინადადებით: ჩვენს სახლში, იერუსალიმის საპატრიარქოში, გვსურს, მივიღოთ ჩვენი ძმები, მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღოლები და კანონების მიხედვით ვიმსჯელოთ ევქარისტულ ურთიერთობაში ჩვენი ერთობის შენარჩუნების საკითხზე“, — თქვა პატრიარქმა მაცხოვრის სახელობის მოსკოვის ტაძარში მისთვის მართლმადიდებელ ხალხებში ერთობის ფონდის პრემიის გადაცემისას.

მან აღნიშნა, რომ ადგილობრივი ეკლესიების წინამძღოლებს **„ეკისრებათ უფლის მიერ მიცემული პასუხისმგებლობა ეკლესიის ერთიანობის შენარჩუნებისთვის ბრძოლაში, ეს მსხვერპლსაც რომ მოითხოვდეს“.**

„ჩვენ ვდგავართ ღმერთის წინაშე და არ გვაქვს სხვა არჩევანი გარდა იმისა, რომ ძალისხმევა მივმართოთ ჩვენი ერთიანობის დასაცავად. ვსარგებლობ ამ შესაძლებლობით და ვაცხადებ, რომ იორდანიის სამეფოში ჩვენი სახლის კარს ვაღებთ ძმური შეხვედრის ჩასატარებლად, რათა დავადასტუროთ მართლმადიდებელი ეკლესიის ერთიანობა“, — აღნიშნა პატრიარქმა.

იერუსალიმის ეკლესია მართლმადიდებელი ეკლესიების დიპტიქში („პატივის სიაში“) მეოთხე ადგილს იკავებს (საქართველოზე წინ არის) და, ამასთანავე, ყველაზე ძველია. პატრიარქმა თეოფილემ ადრე მხარი დაუჭირა უკრაინის კანონიკურ მართლმადიდებელ ეკლესიასა და კიევისა და სრულიად უკრაინის მიტროპოლიტ ონოფრეს. იერუსალიმის პატრიარქის წინადადებას მხარი დაუჭირეს მოსკოვის საპატრიარქოში. **„პირდაპირი დიალოგის დაწყებას ალტერნატივა არ აქვს“,** — განაცხადა მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების ხელმძღვანელის მოადგილემ, დეკანოზმა **ნიკოლაი ბალაშოვმა.**

**«მშვიდობის სულისკვეთებით, ძმური სიყვარულითა და ზრუნვით გამოვდივართ წინადადებით: ჩვენს სახლში, იერუსალიმის საპატრიარქოში, გვსურს, მივიღოთ ჩვენი ძმები, მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღოლები და კანონების მიხედვით ვიმსჯელოთ ევქარისტულ ურთიერთობაში ჩვენი ერთობის შენარჩუნების საკითხზე»**

გვერდი მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

ყველაზე ყველაზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

აი ასეთია დაღმართი შვედეთისა და ნორვეგიის საზღვარზე.



სახელმწიფო საზღვარი — ეს, ჩვეულებრივ, არიან კბილებამდე შეიარაღებული მესაზღვრეები, გაწვრთნილი ნაგაზები, მავთულხლართები და მკაცრი საპასპორტო რეჟიმი, მაგრამ ყოველთვის ასე არ არის — ბევრ ქვეყანას შორის საზღვარი სიმბოლური, წარმოსახვითი ხაზია.

# საზღვრები, რომლებიც ანგრევს სტერეოტიპებს



## გერმანია — ჩეხეთი

შთამბეჭდავი საზღვარი გერმანიასა და ჩეხეთს შორის. მხოლოდ პეიზაჟი რად ღირს!



## პოლონეთი — უკრაინა

გიგანტური თევზები სიმბოლოებია იმის, რომ პოლონეთსა და უკრაინას შორის საზღვარი პირობითია. ამ თევზების შემქმნელია პოლონელი მხატვარი იაროსლავ კოზიარა.



## არგენტინა — ბრაზილია — პარაგვაი

მარცხნივ არგენტინაა, მარჯვნივ — ბრაზილია, შუაში — პარაგვაი.



## ბრაზილია — ურუგვაი

აქ ქვეყნებს შორის საზღვარი პირდაპირ ტროტუარზე გადის. მარცხნივ ბრაზილიაა, მარჯვნივ — ურუგვაი.



## რუსეთი — აშშ

ეს კუნძული 35 კმ-ით არის დაშორებული როგორც რუსეთის ჩუკოტკიდან, ისე აშშ-ის ალიასკიდან, მაგრამ, დროის მიხედვით, მათ შორის სხვაობა 21 სთ-ია.



## შვედეთი — ფინეთი

შვედეთისა და ფინეთის საზღვარზე შეგიძლიათ გოლფი ითამაშოთ.



## ჩინეთი — მონღოლეთი

ჩინეთისა და მონღოლეთის საზღვარზე განსაკუთრებული არაფერია, დინოზავრების კოცნის გარდა.




## კანადა — აშშ




## ბელგია — ნიდერლანდები

შეხვალ ნიდერლანდების კაფეში, გამოხვალ ბელგიის კაფედან.



## ნეპალი — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა

ნეპალსა და ჩსრ-ს შორის საზღვარი პირდაპირ ჯომოლუნგმას ქედზე გადის.



## ავსტრია — სლოვაკეთი — უნგრეთი



## გერმანია — ნიდერლანდები

ბიზნესცენტრ Eurode-ში გერმანიასა და ნიდერლანდებს შორის საზღვარი აღნიშნულია ლითონის ზოლით და, მიუხედავად იმისა, რომ საფოსტო ყუთები დგას სასაზღვრო ხაზის ორივე მხარეს, წერილების მისვლას ადრესატამდე ერთი კვირა მაინც სჭირდება.

მოამზადა ნიკა კორინთელმა

**რონალდინიო 7 წლიდან სწავლობდა ლანჟენდონკის საფეხბურთო სკოლაში. სწორედ იქ შეარქვეს მას რონალდინიო. მოგვიანებით, თანამემამულე რონალდოსგან განსხვავებული რომ ყოფილიყო, გვარისთვის გაუჩოს დამატება მოუწია. რონალდინიო 13 წლის იყო, პირველად რომ მიიპყრო ბრაზილიის მედიასაშუალებების ყურადღება, როცა მისმა გუნდმა ფუტზალში (მინი-ფეხბურთში) მეტოქე ანგარიშით 23:0 დაამარცხა და 23-ვე ბურთი რონალდინიომ გაიტანა.**

სპორტი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რონალდინიო გაუჩო — ფეხბურთელი-გენიოსი

**რონალდუ დი ასის მორეირა, იგივე რონალდინიო გაუჩო (გაუჩო — სუბეთნიკური ჯგუფი არგენტინაში, ურუგვაისა და ბრაზილიის შტატ ნიუ-გრანდეში. ტერმინი გაუჩო ან გაუშო (პორტ.) შინაარსობრივად ჰგავს ამერიკულ კოვბოის) 2002 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის გამარჯვებულია ბრაზილიის ნაკრებთან ერთად, არის 2005 წლის „ოქროს ბურთის“ მფლობელი, 2004 და 2005 წლებში დასახელებული იყო მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად, ფიფას ვერსიით.**




რონალდინიო დაიბადა 1980 წლის 21 მარტს ბრაზილიის სამხრეთ შტატ რიუ-გრანდეს ქალაქ პორტუ-ალეგრიში. ის ოჯახში მესამე შვილია. 7 წლის იყო, როცა მამა გარდაეცვალა. უფროსმა ძმამ **რობერტომ**, რომელიც იმედისმომცემ თავდამსხმელად ითვლებოდა, კონტრაქტი გააფორმა ადგილობრივ საფეხბურთო კლუბ „გრემიოსთან“ და ოჯახის შემოსავლებმა ოდნავ მოიმატა. კლუბმა, იმის გამო, რომ რობერტოს შენარჩუნება სურდა, მას სახლიც კი აჩუქა, მაგრამ ტრავმის გამო რობერტოს კარიერა შეწყდა. ფეხბურთის სპეციალისტების ყურადღება უმცროსმა ძმამ მიიპყრო, რომელიც 7 წლიდან სწავლობდა ლანჯენდონკის საფეხბურთო სკოლაში. სწორედ იქ შეარქვეს მას რონალდინიო. მოგვიანებით, თანამემამულე რონალდოსგან განსხვავებული რომ ყოფილიყო, გვარისთვის გაუჩოს დამატება მოუწია. რონალდინიო 13 წლის იყო, პირველად რომ მიიპყრო ბრაზილიის მედიასაშუალებების ყურადღება, როცა მისმა გუნდმა ფუტზალში (მინი-ფეხბურთში) მეტოქე ანგარიშით 23:0 დაამარცხა და 23-ვე ბურთი რონალდინიომ გაიტანა.

„გრემიოს“ ახალგაზრდულ გუნდში რონალდინიო 15 წლიდან თამაშობდა, პარალელურად გატაცებული იყო ფუტზალითა და პლაჟის ფეხბურთით. 1997 წელს მან პირველი პროფესიონალური კონტრაქტი გააფორმა კლუბთან და ბრაზილიის ახალგაზრდული ნაკრების მაისურიც მოირგო. „გრემიოს“ ძირითად შემადგენლობაში რონალდინიოს დებიუტი 1998 წელს ლიბერტადორესის თასის გათამაშებაში შედგა.

1999 წელს კი ჭაბუკმა რონალდინიომ პირველი ტიტული მოიპოვა — „გრემიო“ შტატის ჩემპიონი გახდა. ფეხბურთის მოყვარულებმა და სპეციალისტებმა სათანადოდ შეაფასეს მისი თამაში — ფინტები, ბრწყინვალე გადაცემები, გოლები... ეს შენიშნეს კლუბების მფლობელებმაც.

2000 წელს რონალდინიომ „გრემიოს“ ხელმძღვანელობისგან მალულად გააფორმა წინასწარი კონტრაქტი ფრანგულ „პარი სენ-ჟერმენთან“, განაწყენებული გულშემატკივრები მინდორზე მის ყოველ გამოჩენას სტვენით ხვდებოდნენ. მან „გრემიოში“ 35 მატჩი ჩაატარა და 14 გოლი გაიტანა. „პარი სენ-ჟერმენში“ პირველ წელიწადს რონალდინიო ხან ძირითად შემადგენლობაში თამაშობდა, ხან სათადარიგოთა სკამზე იჯდა. 2002-2003 წლების სეზონში კი მან სრულად გამოავლინა თავისი ნიჭი და ეს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ სპეციალისტებს. რონალდინიოს შთამბეჭდავი თამაშის მიუხედავად, „პარი სენ-ჟერმენი“ ჩემპიონთა ლიგის მიღმა დარჩა და ამიტომ ბრაზილიელმა ფორვარდმა კლუბი დატოვა.

2003 წლის 19 ივლისს რონალდინიო „ბარსელონამ“ შეიძინა. მოლაპარაკებები რთული იყო. რონალდინიოს გადასვლა კატალონიურ კლუბს 32,25 მლნ ევრო დაუჯდა. პირველივე სეზონში მან 22 ბურთი გაიტანა.


რონალდინიო ბავშვობაში



2005 წელს რონალდინიომ დიდი უპირატესობით მოუგო ფრენკ ლემპარდოს „ოქროს ბურთისთვის“ ბრძოლა და მოიპოვა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული.

2007-2008 წლების სეზონში ტრავმის გამო რონალდინიო გუნდის ძირითადი შემადგენლობიდან გამოიყვანეს, მოგვიანებით კი მან დატოვა „ბარსელონა“ და მილანის „მილანში“ გადაბარგდა. 2010-2011 წლების სეზონში ფეხბურთელს კონფლიქტი ჰქონდა კლუბის ხელმძღვანელებთან, მას ხშირად ხედავდნენ ღამის კლუბებში. ამ პერიოდიდან რონალდინიოს კონტრაქტების ვადები სულ უფრო მცირდებოდა. ის კლუბს კლუბზე იცვლიდა, მათ შორის იყო „ატლეტიკო მინეირო“ (მინეს ჟერაისოს შტატის ჩემპიონი, ბრაზილია), „ფლამენგო“ (ბრაზილია), „კერატარო“ (მექსიკა), „ფლუმინენსე“ (ბრაზილია), „ბარსელონა“ (გუაიკილი, ეკვადორი).

ვარსკვლავის სტატუსს ხელი არ შეუშლია ფეხბურთელისთვის ნათესავებზე ზრუნვაში. ძმა რობერტო მისი აგენტი გადა, და **დეიზი** — პრესმდივანი.


რონალდინიო და მაიკლ ტაისონი







რონალდინიო მეუღლესა და შვილთან ერთად

2000-იანი წლების დასაწყისში რონალდინიოს რომანი ჰქონდა ღამის კლუბის მოცეკვავე ბრაზილიელ **ჟანაინა მენდესთან.** 2005 წელს დაიბადა მათი შვილი, რომელსაც **ჟოაო** დაარქვეს, რონალდინიოს მამის პატივსაცემად. აღსანიშნავია, რომ რონალდინიო, რომელმაც ბევრი ქალის გული დაიპყრიო, თავს ულამაზო, თუმცა მომხიბვლელ მამაკაცად მიიჩნევს.

2016 წელს ფეხბურთელმა შექმნა საკუთარი მობილური დანართი Emojinho (android-ისა და ios-ის ბაზაზე), რომელიც „სმაილიკების“ სტანდარტულ ნაკრებს რონალდინიოს გამოსახულებიანი სტიკერებით ავსებს.

2016 წლიდან რონალდინიო „ბარსელონას“ ოფიციალური ელჩია აშშ-ში.

**2016 წელს სახელგანთქმულ მოკრივე მაიკ ტაისონთან ერთად მონაწილეობდა გადაღებებში ფილმისა „კიკმოკრივე ლამბერი“. ეს არ ყოფილა მისი პირველი გამოცდილება კინემატოგრაფიში. პირველად ის გადაიღეს 2002 წელს ფილმში „ითამაშე ისე, როგორც ზიზუ თამაშობს“ (ითამაშა საკუთარი თავი). მონაწილეობს „ნაიკის“, „კოკა-კოლას“, „პეპსის“ EA Sport-ის, Danone-ს რეკლამებში.**

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**



# მხარეებმა «ნორმანდიული ოთხეულის» სამიტის შემაჯამებელი დოკუმენტი შეათანხმეს

**რუსეთის, უკრაინის, საფრანგეთისა და გერმანიის ლიდერების თანაშემწეებმა შეათანხმეს შემაჯამებელი დოკუმენტის პროექტი „ნორმანდიული ოთხეულის“ სამიტისა, რომელიც 9 დეკემბერს პარიზში გაიმართება.**

სამიტის დაწყებამდე დოკუმენტის შეთანხმების ინიციატორი რუსული მხარე იყო, რაც ოფიციალურ კიევს შეუზღუდავს მინსკის შეთანხმების ჩარჩოებიდან გასვლის მცდელობას მოლაპარაკებების მიმდინარეობისას. გადაწყვეტილებას ტექსტის გამოქვეყნებაზე მხარეები პარიზში მიიღებენ. შემაჯამებელი დოკუმენტის შეთანხმება დაადასტურეს რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში და აღნიშნეს, რომ ის სრულიად შეესაბამება მინსკის შეთანხმებას.



# უკრაინელ «რასკოლნიკებს» შობის აღნიშვნა 25 დეკემბერს უნდათ

**უკრაინის „რასკოლნიკური“ მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღოლი ეპიფანე დუმენკო წინადადებით გამოვიდა, შობა 25 დეკემბერს აღინიშნოს, ნაცვლად 7 იანვრისა.**

მან განაცხადა, რომ ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უკრაინელები მხარს დაუჭერენ ამ იდეას.

2017 წლის დეკემბერში უკრაინაში დასვენების დღედ კათოლიკური შობა გამოაცხადეს. მას შემდეგ ქვეყანა ორჯერ ზეიმობს შობას — 25 დეკემბერს და 7 იანვარს.

# რას ვყიდულობთ რუსეთისგან — ტოპ-5 პროდუქტი

**2019 წლის იანვარ-ოქტომბერში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 10 366.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 0,5 პროცენტით მეტია. აქედან ექსპორტი 3 035.7 მლნ აშშ დოლარს (10,4 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი 7 331.2 მლნ აშშ დოლარს (3,1 პროცენტით ნაკლები) შეადგენს.**



აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში ათი უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან იმპორტში 65,6 პროცენტი შეადგინა. იმპორტის თვალსაზრისით, ქვეყნების ათეულში მე-2 ადგილს რუსეთი იკავებს, საიდანაც იმპორტმა 774.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

**ჩამონათვალი ტოპ 5 პროდუქტისა, რომლებიც რუსეთიდან შემოგვაქვს**

*** ნავთობი და ნავთობპროდუქტები — 165 850 800 აშშ დოლარი;**

*** ხორბალი და მესლინი — 70 650 400 აშშ დოლარი;**

*** ქვანახშირის კოქსი და ნახევარკოქსი — 28 461 700 აშშ დოლარი;**

*** ნავთობის აირები — 25 543 200 აშშ დოლარი;**

*** მზესუმზირის ზეთი — 25 350 900 აშშ დოლარი.**

# ევროკომისიის პრეზიდენტი: «უკრაინა ვერ გახდება ევროკავშირისა და ნატოს წევრი. ნუ მოატყუებთ ხალხს!»



**ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟან-კლოდ იუნკერმა ჰააგაში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა:**

„უახლოესი 20-25 წლის განმავლობაში უკრაინა ვერ გახდება ევროკავშირის წევრი, იგივე ეხება ნატოში უკრაინის წევრობას“, — განაცხადა ევროკომისიის პრეზიდენტმა.

მანვე მოუწოდა ყოფილ პრეზიდენტ პოროშენკოსა და მის პარტიას, ნუ შეეცდებიან უკრაინის გახლეჩას და ხალხის მოტყუებას ამ თემით.

**P.S. ზოგიერთ არასერიოზულ ქართველს დღემდე სჯერა, რომ საქართველო მალე გახდება ევროკავშირ-ნატოს წევრი.**



# «ირანი გაანადგურებს აშშ-ს და მის მოკავშირეებს, თუ ისინი წითელ ხაზებს გადაკვეთენ»

**ირანის რევოლუციური გვარდიის მეთაურმა მთავრობის მხარდამჭერ აქციაზე განაცხადა, რომ ირანი გაანადგურებს შეერთებულ შტატებსა და მის მოკავშირეებს იმ შემთხვევაში, თუ ისინი გადაკვეთენ თეირანის წითელ ხაზებს.**

„ჩვენ დიდი მოთმინება გამოვიჩინეთ... ჩვენ მოვითმინეთ ამერიკის, სიონისტური რეჟიმის (ისრაელი) და საუდის არაბეთის ბრძოლა ირანის წინააღმდეგ... მაგრამ ჩვენ მათ გავანადგურებთ, თუ ისინი გადაკვეთენ ჩვენს წითელ ხაზებს“, — განაცხადა ჰოსეინ სალამიმ.

25 ნოემბერს ირანში მთავრობის მხარდამჭერი მასშტაბური აქცია გაიმართა. დემონსტრანტები რევოლუციის მოედანზე შეიკრიბნენ დროშებითა და ლოზუნგებით „სიკვდილი ამერიკას“, „სიკვდილი ისრაელს“, შემდეგ კი საჯაროდ დაწვეს ამერიკის დროშები.



# პაიეტმა მადლობა გადაუხადა ათენის არქიეპისკოპოსს უკრაინის «რასკოლნიკური» ეკლესიის აღიარებისთვის

**საბერძნეთში აშშ-ის ელჩი ჯეფრი პაიეტი შეხვდა ათენისა და სრულიად საბერძნეთის არქიეპისკოპოს იერონიმეს და მადლობა გადაუხადა უკრაინის „რასკოლნიკური“ ახალი ეკლესიის აღიარებისთვის.**

შეხვედრის შემდეგ პაიეტმა აღნიშნა იერონიმეს გადაწყვეტილების „ისტორიული მნიშვნელობა“ და განაცხადა, რომ არქიეპისკოპოსს გადასცა მსოფლიოში რწმენის თავისუფლების საკითხების კურატორ **სემუელ ბრაუნბეკის** წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები „აღიარებს იერონიმეს სიბრძნეს“. იერონიმემ, თავის მხრივ, განაცხადა, რომ პაიეტმა და მან ილაპარაკეს ლტოლვილებისა და უკრაინის პრობლემებზე.

საქართველო და მსოფლიო

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:

„ ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74

„მაცნე“ — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22

ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი

www.geworld.ge
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894